

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მარიამ ჭანტურია

ელექტრონული ხელმოწერის პრობლემები, საერთაშორისო გამოცდილება და
გამოწვევები საჯარო მმართველობაში

წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
სადოქტორო პროგრამა – საჯარო მმართველობა
შიფრი – 1109

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი, 0160, საქართველო
2022 წელი

საავტორო უფლება © 2022 წელი, „მარიამ ჭანტურია“

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერი ვადასტურებთ, რომ გავეცანით **მარიამ ჭანტურიას** მიერ შესრულებულ სადოქტორო ნაშრომს დასახელებით: „ელექტრონული ხელმოწერის პრობლემები, საერთაშორისო გამოცდილება და გამოწვევები საჯარო მმართველობაში“ და ვაძლევთ რეკომენდაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების, საჯარო მმართველობის და მენეჯმენტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

„----“ „-----“ 2022 წელი

ხელმძღვანელი: დავით ლელაძე, ასოცირებული პროფესორი

რეცენზენტი: -----

რეცენზენტი: -----

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2022 წელი

ავტორი: მარიამ ჭანტურია

დასახელება: ელექტრონული ხელმოწერის პრობლემები, საერთაშორისო გამოცდილება და გამოწვევები საჯარო მმართველობაში

სადოქტორო პროგრამა: საჯარო მმართველობა

ხარისხი: საჯარო მმართველობის აკადემიური დოქტორი

სხდომა ჩატარდა: “-----“ “-----“ 2022 წ.

ინდივიდუალური პიროვნების ან ინსტიტუტების მიერ ზემოთ-მოყვანილი დასახელების სადისერტაციო ნაშრომის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში, მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებულ საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიური მიმართულების ლიტერატურის ციტირებას, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

თანამედროვე სამყაროში ეფექტიანი მართვა პირდაპირ კავშირშია მოქნილი და გამართული ელექტრონული მმართველობის სისტემის დანერგვა-მოდერნიზაციასთან, მის მუდმივ სრულყოფასთან და სწრაფ განვითარებასთან. ელექტრონული მმართველობის განვითარების პროცესში უმნიშვნელოვანეს კომპონენტებს წარმოადგენენ ელექტრონული დოკუმენტი და ელექტრონული ხელმოწერა.

ბოლო ათწლეულში განსაკუთრებულად სწრაფი ტემპით დანერგილმა და განვითარებულმა ციფრულმა ტექნოლოგიებმა, საინფორმაციო და საკომუნიკაციო მომსახურებებმა უპრეცედენტო და არნახული სისწრაფით მიმდინარე გლობალურ ცვლილებებს დაუდო საფუძველი. ელექტრონული სერვისების დანერგვამ, ტექნოლოგიურმა ინოვაციებმა და გატარებულმა რეფორმებმა, როგორც ლოკალურად, ისე მსოფლიო მასშტაბით, შესაძლებელი გახადა სწრაფი ინტეგრაციული პროცესების განვითარება. მთელს მსოფლიოში სულ უფრო მზარდია მოთხოვნა სწრაფ, იაფ და ხელმისაწვდომ ელექტრონულ სერვისებზე.

ელექტრონული სერვისების დანერგვა დიდ ზეგავლენას ახდენს ქვეყნების ყოველდღიურ ცხოვრებაზე, მნიშვნელოვნად ცვლის სახელმწიფოთა მართვის პრინციპებს და უკავშირდება მრავალი ახალი შესაძლებლობის გაჩენას.

უდავოა, რომ თანამედროვე სამყაროში, სხვადასხვა მიმართულებით არსებული საკითხების გადასაჭრელად, ელექტრონული სერვისები და ციფრული გადაწყვეტები მარტივი გზაა როგორც მოქალაქეებისთვის, ისე საჯარო და კერძო სექტორისათვის.

ნებისმიერ სფეროში, მართვის ეფექტიანობის ასამაღლებლად, სისტემების მეტი მოქნილობის, ხელმისაწვდომობის და სიმარტივისათვის ელექტრონული სერვისების დანერგვა და უკვე არსებული სერვისების ელექტრონულ/ციფრულ ფორმატში გადატანა ავტომატურად გულისხმობს ყოველდღიურად სულ უფრო მზარდ მოთხოვნას სხვადასხვა ტიპის ელექტრონულ ხელმოწერაზე.

შეიძლება ითქვას, რომ მოცემულობიდან გამომდინარე, დღევანდელ მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ საკითხს წარმოადგენს ელექტრონული ხელმოწერა და მასთან დაკავშირებული იდენტიფიკაციის, უსაფრთხოებისა და დაცულობის სფერო და ის პრობლემები, რომლებიც ამ მიმართულებით გამოვლინდა.

არნახული ტემპით მიმდინარე ციფრული რევოლუცია სრულებით ახალ ეტაპზე გადაიყვანა მსოფლიო მასშტაბით არსებულმა პანდემიურმა ვითარებამ (COVID 19). აუცილებლობამ განაპირობა ადამიანის ფუნქციონირების ყველა სფეროში ჯერ კიდევ არსებული არაელექტრონული სერვისების ელექტრონულ ფორმატში გადატანა, რამაც კიდევ უფრო მეტად გაზარდა მოთხოვნა სანდო და დაცულ ელექტრონულ ხელმოწერაზე.

ყოველდღიურად მთელს მსოფლიოში მილიონობით ადამიანი

ახორციელებს ელექტრონულ ხელმოწერას სხვადასხვა ტიპის ელექტრონულ დოკუმენტზე. გაზრდილმა მოთხოვნამ გამოავლინა უსაფრთხოების, სანდოობის, გავრცელებისა და სხვა მიმართულებებით არსებული არაერთი პრობლემა.

ნაშრომში მოცემული დასკვნები ეფუძნება კვლევის თვისებრივი მეთოდების გამოყენების შედეგად მიღებულ ინფორმაციას. კერძოდ, ოფიციალური დოკუმენტების/სტატისტიკის ანალიზსა და სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდს. კვლევის ფარგლებში დამუშავებულია სტატისტიკური ინფორმაცია, განხორციელებულია კონსულტაციები და ინტერვიუები სხვადასხვა სფეროს წამყვან ექსპერტებთან. (პირველადი წყარო).

ნაშრომში განხილულია მსოფლიო მასშტაბით კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის განვითარების ისტორია, საკანონმდებლო ნოვაციის იმპლემენტაციის წარმატებული/წარუმატებელი მაგალითები, სასამართლო დავების პრაქტიკა, ელექტრონული ხელმოწერის დანერგვისას და განხორციელებისას გამოვლენილი ხარვეზები და ექსპერტიზის კუთხით არსებული არასახარბიელო ვითარება.

განხილული და გაანალიზებულია თანამედროვე საქართველოს საკანონმდებლო ბაზა, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის, იმპლემენტაციის, განვითარების, გავრცელების, სანდოობის და ექსპერტიზის მიმართულებით არსებული პრობლემები. ასევე, განხილულია საექსპერტო და სასამართლო პრაქტიკა.

კვლევის ინფორმაციულ ბაზაში ჩართულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დაქვემდებარებაში არსებული „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“, საქართველოს ეროვნული ბანკის, ასევე, თბილისის უზენაესი და საქალაქო სასამართლოების, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული მონაცემები.

ნაჩვენებია, რომ არსებული პრობლემური ვითარებიდან გამოსავალი მხოლოდ ახალი მიდგომების, ტექნოლოგიებისა და ინიციატივების შემუშავებით/დანერგვით არის შესაძლებელი.

კვლევის ფარგლებში გამოკვეთილი პრობლემების გადაწყვეტისათვის შემუშავებულია ელექტრონული ხელმოწერის განხორციელების ინოვაციური კონცეფცია, რომლის მიზანიცაა ახალი ტიპის მოწყობილობის შექმნა. მან, თავისი ტექნიკური მახასიათებლებიდან გამომდინარე, უნდა გადაწყვიტოს ელექტრონული ხელმოწერის ექსპერტიზის პრობლემა. ამასთანავე, ჩვენი ინიციატივაა შეიქმნას „დაშიფრული ელექტრონული ხელმოწერების საცავი“ ბლოკჩეინ ტექნოლოგიის გამოყენებით, რაც ელექტრონული ხელმოწერების უსაფრთხოების გარანტი იქნება.

უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომის ფარგლებში განხორციელებული კვლევებისგან მიღებული შედეგების საფუძველზე, ინოვაციური

კონცეფციის შემუშავების პროცესში, ნაშრომის მთავარი მიგნების - ახალი ტიპის საინჟინერო შექმნის შესაძლებლობის, საჭიროების, გამოსაძვინგების, მასზე შესრულებული ელექტრონული ხელმოწერის ექსპერტიზის შესაძლებლობის, მისი უსაფრთხოებისა და დაცულობის საკითხებზე კონსულტაციები გავლილია ყველა იმ სფეროს წარმომადგენელთან, რომელთა მონაწილეობა და ჩართულობა სამომავლოდ საჭირო იქნება ახალი ტიპის მოწყობილობისა და მისი პლატფორმის შესაქმნელად.

კვლევის ფარგლებში ექსპერტული შეფასები მიღებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის გრაფიკული და დოკუმენტების ტექნიკური ექსპერტიზის განყოფილების უფროსისაგან/მთავარი ექსპერტისაგან, კომპანია სოფთლაინ საქართველოს ბიზნეს განვითარების მენეჯერისაგან, Check Point-ის სერტიფიცირებული უსაფრთხოების ექსპერტისაგან და კომპანია „ლომსა“-ს (lomsa.com) CTO - ტექნიკური დირექტორისაგან.

შესაბამისი სფეროს პროფესიონალების მხრიდან მიღებული ექსპერტული შეფასებებით დასტურდება, რომ ახალი ტიპის მოწყობილობის შექმნა შესაძლებელია და რომ ის ავთენტური, უსაფრთხო და დანერგვისათვის გამოსაძვინგია.

Abstract

In today's world, effective governance is directly related to the introduction and modernization of a flexible and efficient e-government system, its continuous improvement and rapid development. Electronic documents and electronic signatures are the most important components of the development of e-government.

The introduction and development of digital technologies, information and communication services at a particularly rapid pace in the last decade have laid the foundation for global changes occurring at an unprecedented speed. The introduction of e-services, technological innovations and reforms carried out both locally and globally have allowed the development of rapid integration processes. Demand for fast, cheap and accessible e-services is growing all over the world.

The introduction of electronic services has a great impact on the daily life of countries, significantly changes the principles of government and is associated with the emergence of many new opportunities.

Undoubtedly, in today's world, e-services and digital solutions are an easy way for citizens, as well as the public and private sectors, to solve problems in different directions.

In order to improve management efficiency in any area, the introduction of electronic services for greater flexibility, accessibility and simplicity of systems and the transition of existing services to electronic/digital format automatically entails a growing demand for various types of electronic signatures.

It can be said that, given the data, one of the most pressing issues in the world today is the electronic signature and the related field of identification, security and protection, as well as the problems that have been identified in this regard.

The ongoing digital revolution at an unprecedented pace has taken the global pandemic situation to a whole new level (COVID 19). The need has led to the transfer of non-electronic services in all spheres of human life to electronic formats, which has further increased the demand for reliable and secure electronic signatures.

Every day, millions of people around the world digitally sign various types of electronic documents. The increased demand has revealed a number of problems in safety, reliability, distribution and other areas.

The conclusions presented in the article are based on information obtained using qualitative research methods. In particular, the analysis of official documents/statistics and the method of in-depth interviews. In the course of the study, statistical information was processed, consultations and interviews were held with leading experts in various fields. (Original source).

The article discusses the history of the development of a qualified electronic signature in the world, successful / unsuccessful examples of the introduction of legislative innovations, judicial practice, identified shortcomings in the implementation and implementation of an electronic signature, as well as an

unfavorable situation from an expert point of view.

The legal base of modern Georgia, the existing problems in the field of introduction, implementation, development, distribution, trust and examination of a qualified electronic signature are considered and analyzed. Expertise and case law are also discussed.

The research database includes information from the Public Services Development Agency under the Ministry of Justice of Georgia, the Municipal Services Development Agency under the Tbilisi City Hall, the National Bank of Georgia, the National Bureau of Forensic Science Levan Samkharauli, the Supreme and city courts and the forensic department of the Ministry of Internal Affairs.

It is shown that the solution of the existing problematic situation is possible only through the development/implementation of new approaches, technologies and initiatives.

To solve the problems identified during the study, an innovative concept of electronic signature has been developed, the purpose of which is to create a new type of device. In addition, our initiative is to create an "encrypted electronic signature store" using blockchain technology, which will guarantee the security of electronic signatures.

the process of developing an innovative concept, the main conclusions of the article are the possibility of creating a sign pad of a new type. Consultations were held with representatives of all areas, whose participation and involvement will be required in the future to create a new type of device and its platform.

As part of the study, expert assessments were received from the head/chief expert of the graphic and technical expertise department of the Forensic Department of the Ministry of Internal Affairs, Softline Business Development Manager in Georgia, a certified Check Point security expert and Lomsa. (lomsa.com) - from the technical director.

Expert judgments received from experts in the relevant field confirm that a new type of device can be created and that it is authentic, safe and suitable for implementation.

შინაარსი

ტიტულის გვერდი	1
ხელმოწერების გვერდი.....	2
საავტორო უფლების გვერდი.....	3
რეზიუმე (ქართულ ენაზე)	4
რეზიუმე (ინგლისურ ენაზე).....	7
შინაარსი.....	9
ცხრილების ნუსხა	11
დიაგრამების ნუსხა.....	12
გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა	13
მადლიერების გვერდი	15
შესავალი	16
ლიტერატურის მიმოხილვა	25
თავი 1. ელექტრონული ხელმოწერის განვითარების ისტორია და მისი დანერგვის საკანონმდებლო საფუძვლები	50
1.1. ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის საკანონმდებლო ბაზის მიმოხილვა (ა.შ.შ-ს, დიდი ბრიტანეთის, ევროკავშირის ქვეყნების, რუსეთის ფედერაციისა და კანადის მაგალითზე).....	50
1.2. საქართველოში ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის საკანონმდებლო ბაზის მიმოხილვა.....	62
1.3. სანდო ელექტრონული სერვისების უსაფრთხოება საქართველოში... 66	
თავი 2. ელექტრონული ხელმოწერის ცნება, შექმნის ისტორია და ავთენტურობის პრობლემები	68
2.1. ელექტრონული ხელმოწერის ცნება და მისი სახეები.....	68
2.2. სხვადასხვა სახის ელექტრონული ხელმოწერის გაყალბება	73
2.3. ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მოწყობილობის მინიმალური სტანდარტები	75
თავი 3. ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მოწყობილობის ისტორია და დღევანდელი მდგომარეობა	78
3.1. ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მოწყობილობის ევოლუცია....	78
3.2. Sign Pads - შედარებითი ანალიზი	82
თავი 4. ელექტრონული ხელმოწერის დანერგვისა და გავრცელების მაჩვენებლები საქართველოში	88
4.1. მონაცემთა შეგროვების და კვლევის მეთოდოლოგია	88

4.2. ელექტრონული ხელმოწერის ექსპერტიზის პრაქტიკა საქართველოში.....	89
4.3. კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის დანერგვისა და გავრცელების მაჩვენებლები საჯარო სექტორში (ადგილობრივი თვითმმართველობის მაგალითზე)	92
4.4. ID ბარათისა და მისი წამკითხველის გავრცელების მაჩვენებელი	97
4.5. ელექტრონული ხელმოწერის დაფა - საქართველოში.....	102
თავი 5. საქართველოს საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის დანერგვისა და განვითარების საკანონმდებლო საფუძვლების ზოგადი მიმოხილვა საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან მიმართებაში	105
5.1. საქართველოს საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის საკანონმდებლო ბაზის მიმოხილვა.....	105
5.2. საბანკო სისტემაში განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის პრაქტიკაში დანერგვა.....	109
5.3. დღევანდელ საქართველოში საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის/შტამპის განვითარების მაჩვენებელი.....	114
თავი 6. ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული გზით შექმნილი დოკუმენტების ავთენტურობასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკა.....	116
6.1. სასამართლო პრაქტიკა - საქართველო.....	116
6.2. სასამართლო პრაქტიკა - საზღვარგარეთის ქვეყნები	124
დასკვნა	135
გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა	144

ცხრილების ნუსხა

ცხრილი 1. ადგილობრივი თვითმმართველობაში შემავალი ორგანიზაციების რიცხოვნობა, რომელსაც ემსახურება MSDA 2020	94
ცხრილი 2. ID ბარათებისა მისი წამკითხველის გაცემის სტატისტიკას 2011- 2020 წლებში.....	100

დიაგრამების ნუსხა

დიაგრამა 1. 5 დიდი ქალაქის შედარებითი ანალიზი, MSDA მიერ რეგისტრირებული იუზერები - /2017-2020/	95
დიაგრამა 2. MSDA შედარებითი ანალიზი თბილისი და სხვა მუნიციპალიტეტები (ჯამური მონაცემი)	95
დიაგრამა 3. ID ბარათის გამოყენებით განხორციელებული კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/შტამპის მეშვეობით განხორციელებული ხელმოწერების რაოდენობა.	96
დიაგრამა 4. ID ბარათებისა მისი წამკითხველის გაცემის სტატისტიკას 2011/2012 - 2020 წლებში	99
დიაგრამა 5. ID ბარათის წამკითხველის გაცემის ჯამური მაჩვენებელი 2012-2020 წლებში	100
დიაგრამა 6. ID ბარათის წამკითხველის გაცემის ჯამური მაჩვენებელი 2012-2020 წლებში	101
დიაგრამა 7. ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებადობა	115

გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა

ID card – Identification card (პირადობის ელექტრონული მოწმობა)

Sign Pad – Signature Pad (ხელმოწერის დაფა)

RSA – Rivest-Shamir-Adleman public-key cryptosystem – (რივესტი-შამირი-ადლემანი - კრიპტოგრაფიული ალგორითმი ღია გასაღებით)

UNCITRAL – The United Nations Commission on International Trade Law (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისია)

NCCUSL – National Conference of Commissioners on Uniform State Laws (ერთიანი სახელმწიფო კანონების მიმღებ კომისართა ეროვნული კონფერენცია ამერიკის შეერთებულ შტატებში)

ALI - American Law Institute (ამერიკის სამართლის ინსტიტუტი)

UETA - Uniform Electronic Transactions Act („ერთიანი ელექტრონული ტრანზაქციების შესახებ“ ფედერალური კანონი)

ESIGN – Electronic Signatures in Global and National Commerce Act („გლობალურ და ეროვნულ ვაჭრობაში ელექტრონული ხელმოწერის შესახებ“ ფედერალური კანონი)

eIDAS – electronic IDentification, Authentication and trust Services – (ელექტრონული იდენტიფიკაციისა, ავთენტიფიკაციისა და სანდო მომსახურების შესახებ N910/2014 ევროკავშირის რეგულაცია)

PIPEDA - Personal Information Protection and Electronic Documents Act („პერსონალური ინფორმაციის დაცულობისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ კანონი)

Directive - Directive 1999/93/EC of the European Parliament and of the Council of 13 December 1999 on a Community framework for electronic signatures (ელექტრონული ხელმოწერის შესახებ ევროკავშირის დირექტივა)

(EC) N°910/2014 – eIDAS

NIST - National Institute of Standards and Technology (სტანდარტებისა და ტექნოლოგიების ეროვნული ინსტიტუტი)

DSS - Digital Signature Standard (ციფრული ხელმოწერის სტანდარტი)

SES - Simple electronic signature (მარტივი ელექტრონული ხელმოწერა)

AES - Advanced electronic signature (განვითარებული ელექტრონული ხელმოწერა)

QES - Qualified electronic signature (კვალიფიციური ელექტრონული

ხელმოწერა)

EESSI – European Electronic Signature Standardization Initiative
(ელექტრონული ხელმოწერის სტანდარტიზაციის ევროპის ინიციატივა)

SSCD - Secure signature creation device (უსაფრთხო ხელმოწერის შექმნის მოწყობილობა)

PKI - Public Key Infrastructure (ღია გასაღების ინფრასტრუქტურა)

PIN – Personal Identification Number (პერსონალური საიდენტიფიკაციო კოდი)

PUK - Personal unblocking code (პერსონალური განბლოკვის კოდი)

ISO – International Organization for Standardization (სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია)

PDF – Portable Document Format („მოძრავი“ დოკუმენტის ფორმატი)

SDA - Public Service Development Agency (სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო)

MSDA - Municipal Services Development Agency (მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო)

COVID 19 - Coronavirus disease (SARS-CoV-2) (კორონავირუსით გამოწვეული ინფექცია)

მადლიერების გვერდი

მადლობა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტს დოქტურანტურის საფეხურზე სწავლის შესაძლებლობისთვის.

პირველ ყოვლისა, მადლობას ვუხდით სამეცნიერო ხელმძღვანელს, ასოცირებულ პროფესორს, ბატონ დავით ლელაძეს. მის მიერ გაწეული მხარდაჭერის, უაღრესად ღირებული რჩევებისა და რეკომენდაციების გარეშე სადისერტაციო ნაშრომი ვერ იქნებოდა პრაქტიკულ შედეგზე ორიენტირებული და ინოვაციური. ბატონი დავითი არის კვლევის ფარგლებში შემუშავებული ინოვაციური კონცეფციის თანაავტორი და მისი წვლილის გარეშე, შემუშავებული უნიკალური სისტემა ვერ მიიღებდა ამგვარ საბოლოო სახეს.

მადლობა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტის აკადემიურ პერსონალს პროფესორების - ბატონი შოთა დოლონაძისა და ბატონი გენადი იაშვილის ხელმძღვანელობით.

განსაკუთრებული მადლობა პროფესორ გიორგი ბალათურიასა და ასოცირებულ პროფესორ ოთარ ბალათურიას - სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში განხორციელებულ კვლევებზე მუშაობის პროცესში მოცემული რჩევებისა და რეკომენდაციებისათვის.

შესავალი

„ციფრული ტექნოლოგიების ერად“ წოდებულ 21-ე საუკუნეში, განვითარებული ქვეყნების პრაქტიკულად აბსოლიტური უმრავლესობა ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებით ელექტრონულ საქმისწამოებაზეა გადასული.

ელექტრონული სერვისების არნახული მასშტაბით გამოყენებამ დღის წესრიგში დააყენა ელექტრონული ხელმოწერის სანდოობის საკითხი, რასაც ავტომატურად მოჰყვა ელექტრონული ხელმოწერის ექსპერტიზის საჭიროება.

კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შექმნა გულისხმობს ID ბარათის მეშვეობით განხორციელებულ ელექტრონულ ხელმოწერას, რომელსაც დაცულობისა და ავთენტურობის უმაღლესი დონე გააჩნია. თუმცა, მსოფლიო პრაქტიკა აჩვენებს, რომ მისი გამოყენება არც ისე ხშირია. ამ გზით შექნილი ელექტრონული ხელმოწერის ალტერნატივად გვევლინება ე.წ საინ პადებით (Sign Pad) და ელექტრონული ხელმოწერის პლატფორმების გამოყენებით შესრულებული ელექტრონული ხელმოწერები, რომლებიც კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერისათვის კანონით დადგენილ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. პრობლემურია მათზე შესრულებული ელექტრონული ხელმოწერის ავთენტურობის, სანდოობის და ექსპერტიზის საკითხები. აღნიშნული პრობლემების არაერთი მტკიცებულება არსებობს - როგორცაა მსოფლიო მასშტაბით არსებული სასამართლო პრაქტიკა. ასევე, ის ფაქტი, რომ დღეისათვის წარმოებულ საინ პადებზე (Sign Pad) შექმნილი ელექტრონული ხელმოწერის ექსპერტიზა შეუძლებელია პადის არასაკმარისი ტექნიკური მონაცემების გამო. აღნიშნულს თან ერთვის მთელს მსოფლიოში, მათ შორის საქართველოში, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის იმპლემენტაციის პრობლემები.

მსოფლიოში არსებული მოცემულობა ნათლად მიუთითებს ელექტრონული ხელმოწერის არსებული ტიპების ნაკლოვანებებსა და პრობლემებზე და მოითხოვს მათი გადაჭრის გზების მოძიებას.

მსოფლიო ტენდენციების კვალდაკვალ, ბოლო ათწლეულის განმავლობაში, საქართველოშიც აქტიურად მიმდინარეობს ელექტრონულ საქმისწარმოებაზე გადასვლისა და ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის პროცესი.

აღიარებულია ფაქტი, რომ დღეის მდგომარეობით, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის გაყალბება პრაქტიკულად შეუძლებელია. საქართველოში სახელმწიფოს მხრიდან ყველანაირი ღონისძიება იქნა გატარებული ID ბარათის პოპულარიზებისა და გავრცელების ხელშესაწყობად, რასაც შედეგად მისი მასიური გავრცელება მოყვა და დღეს ქვეყნის მოქალაქეების პრაქტიკულად აბსოლიტური უმრავლესობა ფლობს პირადობის ელექტრონულ მოწმობას.

აღნიშნული ნაბიჯის შემდგომ, სახელმწიფოს დაგეგმილი ჰქონდა კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის მასიური დანერგვა და ისეთივე პოპულარიზაცია, როგორც ეს ID ბარათის შემთხვევაში მოხდა. ამისათვის არსებობდა ყველანაირი პირობა - ID ბარათი, მისი წამკითხველი, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, უსაფრთხოების კოდები, ელექტრონული სერთიფიკატი. არსებული საკანონმდებლო ბაზისა და რეგულაციების მიუხედავად, აღნიშნული ინიციატივის სათანადო მასშტაბით დანერგვა ვერ განხორციელდა. მიზეზი მრავალგვარია. გამოიკვეთა რიგი პრობლემებისა: სახელმწიფო ორგანიზაციების არასათანადო მზადყოფნა, იუსტიციის სახლი არ აღმოჩნდა მზად, რომ აღედგინა დაკარგული პინ კოდები, მიღებული რეგულაციების ამოქმედების შემდეგ შესაბამისი თანამდებობის პირების მიერ ერთდროულად და მასიურად დაიწყო პირადობის მოწმობების ID ბარათებით შეცვლა, რაც რიგ შემთხვევაში დადგენილებით დათქმული დროისათვის ვერ ესწრებიდა, ამ უკანასკნელმა ფაქტმა გამოიწვია მიღებული დადგენილებების გადავადება და კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის ვადებმა დროში კიდევ გადაიწია. მხედველობაშია მისაღები ის ფაქტიც, რომ უსაფრთხოების ზომებიდან გამომდინარე, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის სერთიფიკატი განახლებას საჭიროებს გარკვეული პერიოდულობით.

ყველა ზემოჩამოთვლილი ფაქტის ერთიანობა გამოიკვეთა, როგორც პრობლემების ჯაჭვი, რომელიც კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის ხელისშემშლელი ფაქტორი გახდა.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ელექტრონული ხელმოწერის არცერთი ტიპის ექსპერტიზა არ ხორციელდება.

მიუხედავად იმისა, რომ სხვა ტიპის ელექტრონული ხელმოწერისაგან განსხვავებით ამ დროისათვის კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის ავთენტურობის პრობლემა არ დგას და მას დაცულობის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი დონე აქვს, მისი დანერგვა და გავრცელება რთული საკითხია და დაკავშირებულია სხვადასხვა სახის პრობლემასთან.

ნაშრომში შემოთავაზებულია ზემოაღნიშნული პრობლემიდან გამოსავალი - კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის (შექმნის მეთოდის) ერთგვარი ალტერნატივა - იდეა ახალი ტიპის საინჟინერო შექმნის შესახებ, რომელიც მისი მსგავსი მოწყობილობებისაგან განსხვავებული იქნება მასზე შესრულებული ელექტრონული ხელმოწერის ავთენტურობით, ექსპერტიზის შესაძლებლობით, არის სწრაფი, იაფი, მარტივი.

კვლევის შედეგად არსებული მიგნება საშუალებას მოგვცემს გავამარტივოთ ელექტრონული ხელმოწერის პროცედურა. ელექტრონული ხელმოწერა იქნება ავთენტური, სანდო და შესაძლებელი გახდება მისი ექსპერტიზა.

საჯარო სამსახურში (თბილისი, ადგილობრივი თვითმმართველობა) არაერთწლიანი სამუშაო პრაქტიკიდან გამომდინარე, მომიწია მონაწილეობა მიმედო ელექტრონული დოკუმენტბრუნვის, ელექტრონული ხელმოწერის დანერგვისა და იმპლემენტაციის მთელ პროცესში. საქართველოს საჯარო სამსახურის სივრცეში ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის პირველივე დღიდან ყურადღებით ვაკვირდებოდი რეფორმის გატარების ყველა ეტაპს. დაკვირვების შედეგად გამოვლენილმა ხარვეზებმა და პრობლემებმა მომცა ბიძგი დამეწყო სამეცნიერო ფიქრი. დოქტურანტურა ჩემთვის გახდა საშუალება იმისა, რომ ამ მიმართულებით მეწარმოებინა კვლევა და მომეძიებინა გამოსავალი არსებული პრობლემებიდან.

სადოქტორო ნაშრომზე მუშაობის პროცესში განხორციელებული კვლევა, მოძიებული სხვადასხვა ტიპის, მათ შორის სტატისტიკური ინფორმაცია, ჩატარებული ექსპერიმენტი და ინტერვიუები, ასევე, არსებული საკანონმდებლო, სამეცნიერო და ტექნიკური ბაზების ანალიზი, შესაძლებლობას იძლევა გადაიჭრას ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების, სანდოობისა და ექსპერტიზის მიმართულებით არსებული პრობლემები და დაისახოს ხარვეზების აღმოფხვრის გზები.

თემის აქტუალურობა. ბოლო ათწლეულის განმავლობაში, პანდემიური ვითარებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით მზარდია მოთხოვნა ელექტრონულ სერვისებზე, როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში. მსოფლიოს მასშტაბით დღემდე გადაუწყვეტელია ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებისა და ექსპერტიზის მიმართულებით არსებული პრობლემები, რაზეც არაერთი ფაქტი მიუთითებს.

ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის, გავრცელების, გამოყენების, სანდოობის და ექსპერტიზის მიმართულებით პრობლემებია საქართველოშიც.

სტატისტიკა ნათლად მეტყველებს, რომ მსოფლიოში კვლიფიციური ელექტრონული ხელმოწერის გამოყენება სხვა ტიპის ელექტრონულ ხელმოწერებთან შედარებით გაცილებით მცირე რაოდენობით ხდება, ხოლო საქართველოში მათი გამოყენება - მიზეზურია. აღნიშნულის მიზეზი, მაღალი ალბათობით, არის მისი გამოყენების სირთულე და ექსპერტიზის შეუძლებლობა.

როგორც მთელ მსოფლიოში, საქართველოშიც ელექტრონული ხელმოწერის მიმართულებით არსებობს რიგი პრობლემებისა, რომლებიც მოითხოვენ დაუყოვნებელ რეაგირებასა და გადაჭრის გზების მოძიებას.

გამოვლენილი პრობლემების გადაჭრისათვის აუცილებელია ახალი მიდგომებისა და გაუმჯობესებული ტექნოლოგიების შექმნა.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ელექტრონული ხელმოწერის მიმართულებით საქართველოში ძალზე მცირე რაოდენობით მოიპოვება სამეცნიერო ლიტერატურა და პრაქტიკულად არ არის ჩატარებული კვლევა.

ზემოთ აღნიშნული მოცემულობა და პრობლემები განაპირობებენ თემის აქტუალურობას, როგორც საქართველოში, ისე მთელ მსოფლიოში.

კვლევის მიზანი. კვლევის მიზანს წარმოადგენს კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის, გავრცელების და ექსპერტიზის მიმართულებით არსებული ვითარების დადგენა, გამოვლენილი პრობლემების გადაჭრის გზების მოძიება.

კვლევის ამოცანები. კვლევის ამოცანას წარმოადგენს შეიქმნას ელექტრონული ხელმოწერის ისეთი მოდელი, სადაც მასში მონაწილე ყველა მხარე დარწმუნებული იქნება შესრულებული ხელმოწერის ავთენტურობაში, უსაფრთხოებაში, დაცულობაში, და საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება მისი ექსპერტიზა.

მიზნის მისაღწევად კვლევა განხორციელდა შემდეგი ამოცანების გადაწყვეტით:

1. ელექტრონული ხელმოწერის შესახებ მსოფლიოს რამოდენიმე ქვეყნისა და საქართველოს საკანონმდებლო ბაზების ანალიზი;
2. ელექტრონული ხელმოწერის შექმნისათვის არსებული მოწყობილობების, ე.წ. საინ პადების, ტექნიკური შესაძლებლობების ანალიზი;
3. საქართველოში ელექტრონული ხელმოწერის დანერგვისა და გავრცელების მიმართულებით არსებული სტატისტიკური მონაცემების ანალიზი;
4. ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების, სანდოობისა და ექსპერტიზის შეუძლებლობის მიმართულებით არსებული პრობლემების გამოკვეთა და გადაწყვეტის გზების ძიება;
5. ბიბლიოგრაფიული და სტატისტიკური ანალიზის ჩატარება და არსებული ვითარების შეფასება;
6. მიგნების წარდგენა;
7. რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის საგანი: კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის დანერგვისა და გავრცელების სირთულეების მიზეზები;

კვლევის ობიექტი: კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა;

კვლევის მეთოდოლოგია: ანალიზის, აღწერითი, ანალიტიკური, თეორიული და ემპირიული კვლევის მეთოდები, როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი პირველადი და მეორეული ინფორმაციის გამოყენებით, ასევე, კვლევის ლოგიკის (ინდუქციისა და დედუქციის), მონაცემების კლასიფიკაციისა და ფორმალიზაციის, ანალიზისა და სინთეზის მეთოდები, აგრეთვე ზოგადსამეცნიერო მეთოდები: სამეცნიერო აბსტრაგირება, ანალოგიების ანალიზისა და შედარებითი (კომპარატიული) ანალიზის მეთოდები.

კვლევის თეორიულ ბაზას წარმოადგენს საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების საკანონმდებლო ბაზები და ნორმატიული დოკუმენტაცია, რომლებიც უკავშირდება ელექტრონული ხელმოწერის დანერგვასა და განვითარებას. ასევე, მეცნიერთა და მკვლევართა ნაშრომები, მონოგრაფიები, სამეცნიერო სტატიები, სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების მასალები, საჯარო მმართველობის სფეროში დაცული სადოქტორო დისერტაციები და სხვა.

პირველად ინფორმაციაზე დაყრდნობით ჩატარებულია ემპირიული კვლევა არასტრუქტურირებული ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდით, რომლის ფარგლებშიც გაანალიზებულია ელექტრონული ხელმოწერის დაცულობისა და მისი ექსპერტიზის პროცესებთან დაკავშირებით დარგის პროფესიონალების მიერ გამოთქმული მოსაზრებები. ანალიზის შედეგად გამოტანილია დასკვნები და შემუშავებულია სათანადო რეკომენდაციები.

ემპირიული კვლევის საკვანძო საკითხებია: ელექტრონულ ხელმოწერასთან დაკავშირებული საერთაშორისო საკანონმდებლო აქტები და რეგულაციები; საქართველოში მოქმედი, ელექტრონულ ხელმოწერასთან დაკავშირებული საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები; მეცნიერთა შრომები საჯარო მმართველობის, ადგილობრივი თვითმმართველობის და ელექტრონული მმართველობის პროცესების, ასევე, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის, ელექტრონული ხელმოწერის იმპლემენტაციისა და ელექტრონული ხელმოწერის ექსპერტიზის მიმართულებით არსებული სამეცნიერო კვლევები, სტატიები და შრომები.

კვლევის ინფორმაციულ ბაზაში ჩართულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დაქვემდებარებაში არსებული „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“, საქართველოს ეროვნული ბანკისა და სხვა ავტორიტეტული საჯარო თუ კერძო მმართველობის სფეროში მოღვაწე ორგანიზაციების მხრიდან მიღებული სტატისტიკური მონაცემების ანალიზი საქართველოში ელექტრონული ხელმოწერის იმპლემენტაციის, გავრცელებისა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

კვლევა მნიშვნელოვანია თეორიული, პრაქტიკული და საგანმანათლებლო თვალსაზრისით.

ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს:

1. შესწავლილი და გაანალიზებულია მსოფლიოს ლიდერ სახელმწიფოებსა და საქართველოში ელექტრონული ხელმოწერის კუთხით არსებული საკანონმდებლო ბაზები;
2. შესწავლილი და გამოკვლეულია საქართველოში, როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში, არსებული ორგანიზაციების მიერ ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის, გავრცელებისა და გამოყენების კუთხით არსებული ვითარება;
3. გაანალიზებულია სხვადასხვა ტიპის უწყებაში კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის იმპლემენტაციის მიმართულებით არსებული ვითარება და გამოკვეთილია პრობლემები;
4. შესწავლილი და გაანალიზებულია საქართველოში (ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე) ელექტრონული დოკუმენტბრუნვის პროგრამა და ელექტრონული საქმისწარმოებისას კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/შტამპის გამოყენების მაჩვენებლები და გამოკვეთილია არსებული ხარვეზები;
5. შესწავლილია საქართველოში საჯარო და კერძო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მოწყობილობის ე.წ Sign Pad-ის დანერგვის მაჩვენებლები;

6. გაანალიზებულია მსოფლიოს ქვეყნებში და საქართველოში ელექტრონული ხელმოწერის შექმნისათვის არსებული მოწყობილობები, ტექნოლოგიები და პორტალები;

7. ელექტრონული ხელმოწერის დანერგვა-განვითარების პროცესში ხელისშემშლელი ფაქტორებისა და პრობლემების გამოვლენისათვის გაანალიზებულია საქართველოსა და მსოფლიოს რამოდენიმე ქვეყნის სასამართლო-საექსპერტო პრაქტიკა;

8. კვლევის ფარგლებში განხორციელებულია ლაბორატორიული ექსპერიმენტი;

9. გამოვლენილია საქართველოსა და მსოფლიოში ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის და გავრცელების ხელისშემშლელი და შემაფერხებელი ფაქტორები. გამოკვეთილია მათი გადაჭრის გზა;

10. კვლევის ფარგლებში შემუშავებულია **ინოვაციური კონცეფცია**, რომლის მიზანია ახალი ტიპის მოწყობილობის აგება. დანერგვის შემთხვევაში იგი შეძლებს გადაწყვიტოს ელექტრონული ხელმოწერის სანდოობასთან და ექსპერტიზის შეუძლებლობასთან დაკავშირებული პრობლემები;

11. კვლევის ფარგლებში შემუშავებულია **ინიციატივა**. ამ გზით შექმნილი ელექტრონული ხელმოწერის საიმედოობის მაღალი სტანდარტის მისაღწევად, საქართველოში, იუსტიციის სამინისტროს ბაზაზე არსებულ სერვერებზე შეიქმნას „**დაშიფრულ ხელმოწერათა საცავი**“ .

კვლევაში წარმოჩენილი პრობლემები არ ახალია, თუმცა მათი გადაჭრის გზა და ხერხი არის სრულიად ინოვაციური და დღეისათვის უნიკალური მსოფლიოს მასშტაბით. იმედია, რომ ამ კვლევის შედეგების დროული პუბლიკაცია საქართველოს მოუტანს შესაბამის აღიარებას.

დღევანდელ გლობალურ სამყაროში ყველა ადამიანი მის პროფესიულ სივრცეში უფრო მეტადაა ინტეგრირებული, ვიდრე მისი ქვეყნის საზღვრებში, ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ტექნოლოგიური გიგანტების ნაცვლად, სწორედ საქართველოში მოხდა ამ მიგნების აღმოჩენა და პრობლემის რეალური გადაწყვეტის გზების დასახვა.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა. ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს - ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის, გავრცელების, დაცულობისა და ექსპერტიზის კუთხით არსებული პრობლემების გადაჭრის ახლებული გზების ძიებაში, მეთოდოლოგიისა და ინოვაციური კონცეფციის შემუშავებაში.

ნაშრომი წარმოადგენს როგორც თეორიულ, ისე მეცნიერულ სიახლეს და მას აქვს გამოყენებითი მნიშვნელობა.

სადისერტაციო ნაშრომის დასკვნები გამოსადეგია ყველა იმ დაწესებულებისათვის, რომლებსაც სურთ ელექტრონული მმართველობის პროცესში ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის მაჩვენებლის გაუმჯობესება და სანდოობის ამაღლება.

იმ მოცემულობის გათვალისწინებით, რომ დღეს ქართულ რეალობაში საკმაოდ მწირია ელექტრონულ ხელმოწერასთან დაკავშირებული სამეცნიერო ნაშრომები და კვლევები, ნაშრომი მნიშვნელოვანი დამხმარე სამეცნიერო ლიტერატურა იქნება საკითხით დაინტერესებულ პირთათვის, მათ შორის უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებისათვის სამივე საფეხურზე სტუდენტებთან მუშაობისას.

კვლევის პროცესში შემუშავებული ინოვაციური კონცეფციის შემდგომი განვითარება შესაძლებლობას მისცემს ელექტრონულ მმართველობას გადავიდეს განვითარების სრულებით ახალ ეტაპზე.

დისერტაციის სტრუქტურა. დისერტაცია მოიცავს შესავალს, 6 თავს, 18 ქვეთავს, ლაბორატორიულ ექსპერიმენტს, დასკვნას და რეკომენდაციებს.

ლიტერატურის მიმოხილვა

კვლევის პროცესში გამოყენებულია სამეცნიერო-მეთოდური ნაშრომები, შესწავლილი და გაანალიზებულია კვლევები, რომლებიც მოიცავს საჯარო მართვას, ელექტრონულ მმართველობას, ელექტრონულ ბიზნესს, ელექტრონული დოკუმენტბრუნვისა და ელექტრონული ხელმოწერის სფეროებს. შესწავლილი და გამოყენებულია, ელექტრონული ხელმოწერის უარყოფისას, სხვადასხვა ქვეყნის სასამართლო და ექსპერტიზის პრაქტიკა. ასევე, განხორციელდა ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მოწყობილობის - Sign Pad-ის, მსოფლიო მასშტაბით ლიდერ მწარმოებელთა მიერ მოცემული ტექნიკური მახასიათებლების მოძიება, განხილვა და ტექნიკური მონაცემების ურთიერთშედარება. ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის მიმართულებით, მსოფლიოს მასშტაბით არსებული ვითარების შესასწავლად, გამოყენებული იქნა სხვადასხვა ქვეყნის საკანონმდებლო ბაზის ანალიზი.

ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის, გავრცელების, გამოყენების, სანდოობისა და უსაფრთხოების მიმართულებით არსებული პრობლემის გადაწყვეტის გზები შემოთავაზებულია მეცნიერთა და სპეციალისტთა მიერ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ მიმართულებით ქართულ რეალობაში არსებული სამეცნიერო ლიტერატურა და კვლევები საკმაოდ მწირია.

კვლევის პროცესში გამოკვეთილი საკითხების განხილვისას მნიშვნელოვანი და ღირებული ინფორმაციის შემცველია ავტორთა ისეთი შრომები და კვლევები, როგორებიცაა:

დოლონაძე შ., იაშვილი გ., საჯარო სამსახური საქართველოში: რეფორმები, გამოწვევები. ელექტრონული მთავრობა. თბ.: გამომც. „ცის ნამი“. 2013.

ნაშრომში მოცემულია საქართველოს საჯარო სამსახურის წინაშე მდგარი პრობლემები და ის თავისებურებები, რომლებიც ქართული საჯარო სამსახურისთვისაა დამახასიათებელი.

ავტორები ნაშრომში საუბრობენ სახელმწიფო მართვაზე „ელექტრონული მთავრობისა“ და სხვა თანამედროვე მეთოდების გამოყენებით,

რომლებიც საჯარო მმართველობის ეფექტურობის ამაღლების ძირითად საფუძველს წარმოადგენენ. ავტორები აღნიშნავენ, რომ „ელექტრონულ მთავრობას“ მართვა სრულებით ახალ საფეხურზე გადაყავს და წარმოადგენს საჯარო სამსახურის განვითარების მომავალს.

ნაშრომში განხილულია მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი რომლებიც, შესაძლოა იქცეს დასმული საკითხის თეორიული გადაჭრის საფუძველად.

დოღონაძე ს., დოღონაძე შ., იაშვილი გ., საჯარო მმართველობის საფუძველები. სახელმძღვანელო, თბ.: გამომც. „ტექნიკური უნივერსიტეტი“. 2018. ნაშრომში ავტორები აღნიშნავენ, რომ საჯარო მმართველობა - როგორც სასწავლო დისციპლინა და დარგი - წარმოადგენს სიახლეს. სწორედ ეს არის ძირითადი მიზეზი ამ მიმართულებით ქართულენოვანი ლიტერატურის მწირი რაოდენობისა.

აღნიშნული ვითარების გათვალისწინებით ნაშრომი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. ავტორების მიერ განხილულია საკითხები, რომლებიც ეხება დემოკრატიული მმართველობის პრინციპებს, მმართველობის საწყის დებულებებს და ა.შ.

ამასთანავე, ნაშრომში ქართული რეალობის გათვალისწინებით, გაანალიზებულია საჯარო მმართველობის საფუძველები.

ლებანიძე მ., ბერიშვილი თ., ბონე ე., დეპე ი., სვანიშვილი ს., ტურავა პ., ფუკნერი გ., ქარდავა ე., ყალიჩავა კ., ხიშტოვანი გ., ხუბუა გ., ადმინისტრაციული მეცნიერების სახელმძღვანელო, ტომი IV, გამომც.: „პეტიტი“, თბ., 2018. ევროპის, აზისა და ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითებზე სახელმძღვანელოს მე-15 თავში ავტორი განიხილავს ელექტრონული მმართველობის მსოფლიო პრაქტიკასა და განვითარების ისტორიას. ასაბუთებს საჯარო მმართველობაში ტექნოლოგიების გამოყენების მნიშვნელობას.

სახელმწიფო სექტორის ინფორმაციული სისტემების დაგეგმვაში ავტორი გამოყოფს რამოდენიმე ტიპოლოგიურ ჯგუფს, კერძოდ, ინფორმაციული ნაკადის მართვის (დოკუმენტბრუნვისა და მართვის

ინფორმაციული სისტემები) და მონაცემთა ბაზების მართვის, წვდომისა და გაზიარების სისტემებს.

ავტორები გამოყოფენ და განიხილავენ მთელ რიგ ფაქტორებს, რომლებიც უდავოდ ზეგავლენას ახდენენ ელექტრონული მმართველობის წარმატებაზე.

საჯარო სამსახურის ბიურო, დისტანციური მუშაობის სახელმძღვანელო - Guidelines on Remote Work. გამოცემის ელექტრონული ვერსია. საჯარო სამსახურის ბიურო. 2021.

დოკუმენტში ასახულია პანდემიის გამო (Covid 19) მსოფლიოში საჯარო მმართველობაში შექმნილი ვითარება. ხაზგასმულია, რომ რაც პანდემიამდე თავისუფალი არჩევანი იყო, დღეისათვის საქმიანობის გაგრძელების ძირითადი წინაპირობა გახდა. დოკუმენტში დისტანციური მუშაობა განხილულია, როგორც საჯარო მმართველობისათვის ახალი გამოწვევა. ასევე საუბარია, მის უპირატესობებზე, ხარვეზებსა და შედეგებზე და არსებული საჭიროებებიდან გამომდინარე მართვის ახალი მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებაზე.

დოკუმენტში განხილულია, დისტანციური მუშაობის პროცესისას, ორგანიზაციის სწორად მართვის მნიშვნელობა და ის ასპექტები, რომელთა დანერგვაც ამ პროცესისათვის ძალზე მნიშვნელოვანია. ნაშრომში განხილულია საკითხები, რომლებიც ეხება დისტანციური მუშაობის პრაქტიკის აქტუალობის შენარჩუნებას და დისტანციური მუშაობის გაგრძელების შესაძლებლობას პანდემიის დასრულების შემდეგაც.

აღაპიშვილი ი., გუნაშვილი დ., გურეშიძე თ., დვალიშვილი მ., ინაური ლ., მაგრაქველიძე გ., მიქაძე ი., პეტრიაშვილი მ., ფურცხვანიძე ნ., ღვალაძე ნ., ჩაჩანიძე ე., ჭკუასელი გ., ჯანიბეგაშვილი ნ., მართვა და ლიდერობა საჯარო სამსახურში, თბ.: გამოც. საჯარო სამსახურის ბიურო. 2020.

ნაშრომი შემუშავებულია საჯარო სამსახურში დასაქმებული, მრავალწლიანი გამოცდილების მქონე პრაქტიკოსი მენეჯერებისა და საჯარო მოხელეების პროფესიული განვითარების კუთხით მომუშავე ექსპერტების მიერ, რომლებიც კარგად იცნობენ საჯარო სამსახურის

სპეციფიკასა და დღეისათვის არსებულ გამოწვევებს.

ავტორების მიერ ხაზგასმულია ახალი გამოწვევების კვალდაკვალ საჯარო სამსახურებში „ცვლილებების მართვის“ პროცესის მნიშვნელობა. ასევე, განხილულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა რისკებისა და კრიზისების მართვა და სხვა.

გაბისონია ზ., გაგნიძე ნ., სამადაშვილი ლ., მართვა და ლიდერობა ელექტრონულ სამყაროში, თბ.: გამოც. საჯარო სამსახურის ბიურო. 2021.

ნაშრომში განმარტებულია ელექტრონული მმართველობის ძირითადი პრინციპები და ის ნაჩვენებია, როგორც მომავალში სახელმწიფოს მართვის უალტერნატივო მოდელი. განხილულია საჯარო მმართველობის სისტემა, რომელშიც ელექტრონული მმართველობა პროგრესულად ვითარდება და მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღება ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით ყოველდღიურობადაა ქცეული.

ავტორების მიერ ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ სამყაროში მიმდინარე მმართველობითმა ტრანსფორმაციამ განაპირობა ახალი ტექნიკური საშუალებების დანერგვა მართვის პროცესში.

ასევე, განხილულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა: ელექტრონული დოკუმენტი, ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული შტამპის სახეები, მნიშვნელობა და იურიდიული ბუნება, კიბერუსაფრთხოების ძირითადი გამოწვევები, ხელოვნური ინტელექტი ელექტრონულ მმართველობასა და ადმინისტრაციულ ორგანოებში და სხვა.

გაბისონია ზ., გაბრიელაშვილი გ., გაგნიძე ნ., ჰაიჭაძე გ., სამადაშვილი ლ., ელექტრონული მმართველობა და ლიდერობა, თბ.: გამოც. საჯარო სამსახურის ბიურო. 2021.

ნაშრომში განხილულია საქართველოში ელექტრონული მმართველობის ირგვლივ არსებული საკითხები და ხაზგასმულია ის გამოწვევები, რაც მომავალში აუცილებლად უნდა იქნეს გადაჭრილი.

ავტორები აღნიშნავენ, რომ ელექტრონული მმართველობა მიზნად ისახავს საჯარო მმართველობის ეფექტურობას, ეკონომიურობას, სწრაფი, ხარისხიანი და ყოვლისმომცველი სერვისების მიწოდების შესაძლებლობის

შექმნას. ხაზგასმულია, რომ პანდემიამ აქტუალობა შემატა საჯარო სექტორში ელექტრონული მმართველობის განვითარებას და გამოკვეთა, ის, როგორც საჯარო მმართველობის შეუფერხებლად განხორციელების გარანტი.

ნაშრომში განხილული კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია საჯარო მმართველობის განხორციელებაში მუდმივად განახლებადი ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენება. იგი არსებითად ცვლის საჯარო მმართველობის მომავალს, რამდენადაც მმართველობის პროცესში სულ უფრო ნაკლებია ტრადიციული საჯარო-სამართლებრივი ინსტრუმენტის გამოყენება და ზრდადია მათი ჩანაცვლების ტენდენცია ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით, რომელიც სამართლებრივად ჯერ კიდევ დაურეგულირებელია.

ავტორების მიერ განხილულია ელექტრონული მმართველობის როლი ორგანიზაციის მართვასა და განვითარებაში, ლიდერობა და მართვა ციფრულ სამყაროში, ელექტრონული ხელმოწერა, კობერუსაფრთხოების საკითხები, ელექტრონული მმართველობის ხელშემწყობი გადაწყვეტილებები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

ციხილოვი ა., ბლოკჩეინი პრინციპები და საფუძვლები, თბ.: გამოცემ. საქართველოს აკადემიური გამომცემლობა. 2021. ავტორი განიხილავს თანამედროვე ციფრული ელექტრონული ხელმოწერის შექმნისა და უსაფრთხოების ძირითად პარამეტრებს. აღნიშნავს, რომ ტერმინი „ხელმოწერა“ ძალიან ძველია და დოკუმენტების შემოწმების ამოცანა უძველესი დროიდან დგას კაცობრიობის წინაშე.

განიხილავს კრიპტოგრაფიული ალგორითმების და მისი შემადგენელი ორი აუცილებელი ელემენტის - მონაცემთა ერთობლიობის ჰეშის და ხელმოწერის მფლობელის დახურული გასაღების მუშაობის პრინციპებს. აღნიშნავს, რომ თანამედროვე სამყაროში „ბლოკჩეინ ტექნოლოგიაში“ აქტიურად გამოიყენება სწორედ „ასიმეტრიული კრიპტოგრაფიის“ მეთოდი. ავტორი აღნიშნავს, რომ ციფრული ელექტრონული ხელმოწერის დაცულობის გარანტი დღევანდელ რეალობაში ბლოკჩეინ ტექნოლოგიაა.

ზამბახიძე თ., ელექტრონული ვაჭრობის სამართლებრივი რეგლამენტაციის საფუძვლები (პრობლემები და პერსპექტივა), ქართული სამართლის მიმოხილვა, თბ. 2005. ავტორი განიხილავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა ელექტრონული ხელმოწერის სახეები, სანდოობა, მათი განხორციელებისა და გაყალბებისაგან დაცვის მექანიზმები. აღწერს ელექტრონული ხელმოწერის მნიშვნელობას ელექტრონული გარიგებებისას. საუბრობს იმ ფაქტზე, რომ ელექტრონული დოკუმენტის თავისებურებიდან გამომდინარე შეუძლებელია მასზე განხორციელდეს ტრადიციული, სველი ხელმოწერა და რომ ეს უთუოდ ელექტრონული საშუალებით უნდა განხორციელდეს. ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ელექტრონული ხელმოწერის მრავალი განმარტების მიუხედავად, ისინი ერთიანდებიან რამოდენიმე მნიშვნელოვანი მოთხოვნის ქვეშ: რომ ელექტრონული ხელმოწერა ელექტრონული დოკუმენტის ნაწილია, ან ლოგიკურადაა მასთან დაკავშირებული და იძლევა ავთენტურობის შესაძლებლობას.

ავტორი ასევე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ელექტრონული გზით ხელშეკრულების დასადებად საჭიროა არსებობდეს ხელმოწერის ტექნიკურად უსაფრთხო და სამართლებრივად აღიარებული საშუალებები. ასევე იმ ფაქტს, რომ ელექტრონული კომუნიკაციის პროცესში დღემდე ხშირი და პრობლემურია ელექტრონული ხელმოწერის უარყოფის შემთხვევაში.

დარჯანია თ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I(მუხ. 1-146) , გამოცემის ელექტრონული ვერსია lawlibrary.info/ge. თბ. 2017.

ავტორი საუბრობს ელექტრონული ხელმოწერის მეშვეობით შედგენილი დოკუმენტების მნიშვნელობასა და იმ სპეციფიკაზე, რაც ელექტრონული გარიგების წარმოების პროცესში ახლავს ელექტრონული ხელმოწერის განხორციელებას. განიხილავს ელექტრონული ხელშეკრულების ელექტრონული ფორმით ხელმოწერის გზებსა და მნიშვნელობას. აღნიშნავს, რომ ნებისმიერი ელექტრონული საშუალების გამოყენებით შექმნილი მონაცემთა ერთობლიობა, რომელსაც ხელმოწერი იყენებს ელექტრონულ დოკუმენტთან მისი კავშირის აღსანიშნავად, წარმოადგენს ელექტრონულ ხელმოწერას.

თუმანიშვილი გ., გარიგებები (სამართლებრივი ბუნება და ნორმატიული რეგულირება). თბ. 2012. ავტორი ნაშრომში განიხილავს ელექტრონული ხელმოწერის ავთენტურობის საკითხს. ეთანხმება მოსაზრებას, რომ ელექტრონული ციფრული ხელმოწერა იმ შემთხვევაში ითვლება ტრადიციული, სველი ხელმოწერის ექვივალენტურად და თანაბარი იურიდიული ძალის მქონედ, თუ ის ელექტრონული დოკუმენტის ხელმოწერისას მოქმედ სერტიფიკატში მითითებული მონაცემების შესაბამისად გამოიყენება.

ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ციფრული ხელმოწერის სანდოობისათვის ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორებია ნამდვილობის შემოწმება და მისი დადასტურება.

Diffie W., Hellman M. E., New Directions in Cryptography, IEEE Transactions on information theory, Vol. 22, Iss. 6.1976. ავტორები ნაშრომში განიხილავენ ღია და დახურული გასაღებების მუშაობის პრინციპებს და მათი სანდოობის დონეს. გამოყოფენ კრიპტოგრაფიის ისეთ პრობლემებს, როგორებიცაა კონფიდენციალურობის საკითხი და დაუცველ არხზე არსებული შეტყობინებებიდან ინფორმაციის არასანქცირებული მოპოვების თავიდან აცილების სირთულე. საუბრობენ ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებისას არსებულ პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე.

Rivest R., Shamir A., Adleman L., A Method for Obtaining Digital Signatures and Public-Key Cryptosystems. Commun. ACM - NYC, USA: ACM. Vol. 21, Iss. 2. 1978. ავტორები განიხილავენ ღია და დახურული გასაღებების მნიშვნელობას ელექტრონული ხელმოწერის დაცულობასთან მიმართებაში. აღნიშნავენ, რომ ასიმეტრიული კრიპტოგრაფია არის გარანტი იმისა, რომ ხელმოწერა არ გაყალბდება და ხელმოწერილი ხელმოწერის შესრულების შემდეგ ვერ უარყოფს ამ ფაქტს. განიხილავენ ელექტრონული ფოსტის მიერ ქაღალდის დოკუმენტების ჩანაცვლების შემთხვევაში მოსალოდნელ პრობლემებს.

ავტორები გვთავაზობენ შიფრაციის მათემატიკური ალგორითმის ვერსიას, რომელიც ელექტრონული ხელმოწერის უსაფრთხოებასა და

ავთენტურობას განაპირობებს.

Smart A.R., E-Sign versus State Electronic Signature Laws: The Electronic Statutory Battleground, North Carolina Banking Institute, Vol. 5 - Iss 1. 2001.

ამერიკულ კანონმდებლობასთან მიმართებაში ავტორს განხილული აქვს ელექტრონული ხელმოწერის საფუძვლები და ელექტრონული კომერციის განვითარებაში ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული ხელმოწერის მნიშვნელობა. ხაზს უსვამს ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორებიცაა მსოფლიო მასშტაბით საერთო კანონმდებლობის მიღება, რაც ელექტრონული გზით შესრულებული სხვადასხვა დოკუმენტისა და მათზე დატანილი ელექტრონული ხელმოწერის ავთენტურობის, სანდოობისა და იურიდიული აღიარების გარანტი იქნება.

Wright C., Electronic Contracting In An Insecure World. SANS Institute. 2008. ბრიტანეთის კანონმდებლობის გათვალისწინებით ნაშრომში ავტორი განიხილავს ელექტრონული ხელმოწერის სანდოობისა და ავთენტურობის პრობლემებს. აღნიშნავს, რომ მხოლოდ საკანონმდებლო რეგულაცია ვერ გახდება ელექტრონული გზით შესრულებული ხელმოწერის ავთენტურობისა და ამ გზით დადებული ელექტრონული ხელშეკრულების დაცულობის გარანტი. გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ელექტრონული მტკიცებულებების მეტი ძალის მისაღწევად საჭიროა ელექტრონული ხელმოწერის უსაფრთხოების მექანიზმები გახდეს მეტად სრულყოფილი.

Bolam P., Choi R., Electronic signatures: when are they effective? Internet Law Bulletin LexisNexis. Vol 15 .No 7. 2012. ავტორები განიხილავენ ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული ხელმოწერის ავთენტურობასა და სანდოობას. ეთანხმებიან არსებულ მოსაზრებას, რომ ელექტრონული ხელმოწერის სხვადასხვა სახეს შორის, ყველაზე დაცული ასიმეტრიული კრიპტოგრაფიის გამოყენებით შესრულებული ხელმოწერაა.

განმარტავენ ელექტრონულ-ციფრული ხელმოწერის შექმნის პროცესს. აღნიშნავენ, რომ ელექტრონულ-ციფრული ხელმოწერა სიმბოლოთა ერთობლიობაა, რომლის გენერირება ხორციელდება სპეციალური ალგორითმის საშუალებით, დოკუმენტის ტექსტისა და დოკუმენტზე

ხელმოწერი პირის პირადი კოდის „შერევით“.

Ndou V.,E – Government for developing countries: opportunities and challenges, Department of Business Administration University of Shkoder, Albania, Electronic Journal of Information Systems in Developing Countries. 2004.

ავტორი განიხილავს განვითარებადი ქვეყნებისათვის ელექტრონული მმართველობის განსაკუთრებულ მნიშვნელობას და აღნიშნავს, რომ თუ განვითარებულ ქვეყნებში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები მხოლოდ დამატებითი კომფორტის შესაძლებლობაა, განვითარებადი ქვეყნებისთვის ის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი მექანიზმია კორუფციის შესამცირებლად, საჯარო სექტორში დახარჯული ფინანსების გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, სახელმწიფოს კონტროლისა და ანგარიშვალდებულების გასაძლიერებლად, რაც არამხოლოდ ეკონომიკურ ზრდას, არამედ დემოკრატიული პროცესების საგრძნობ განვითარებას იწვევს.

Kuzkov s., Electronic vs. digital signatures: everything you need to know, GlobalSign Blog, 2020. ციფრული კონტენტის „signNow“-ს ავტორი, მოცემულ სტატიაში განიხილავს ელექტრონული და კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის ტექნიკურ მახასიათებლებს, დეტალურად განიხილავს ელექტრონული ხელმოწერის შექმნისათვის გასავლელ თითოეულ საფეხურს. აღნიშნავს, რომ ხელმოწერის სანდოობა განისაზღვრება მისი გადამოწმების შესაძლებლობით. ხაზს უსვამს ფაქტს, რომ მსოფლიოს ყველა კუთხეში ათასობით დოკუმენტი იქმნება და ეწერება ხელი ელექტრონული ხელმოწერის მეშვეობით და აღნიშნული მოცემულობის ფონზე უაღრესად მნიშვნელოვანია ელექტრონული ხელმოწერის იმ ტიპის გამოყენება, რომელსაც ავთენტურობისა და გაყალბებისაგან დაცვის მაღალი დონე გააჩნია.

ავტორი საუბრობს ჰეშირების, კრიპტოგრაფიული ალგორითმების, ღია და დახურული გასაღებების, ციფრული სერთიფიკატებისა და სხვა მნიშვნელოვანი კომპონენტების არსსა და მნიშვნელობაზე, რომლებიც ელექტრონული ხელმოწერის სანდოობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მატარებელია.

ავტორი სანდოობის მაღალი ხარისხის ხელმოწერად მიიჩნევს

ციფრულ ხელმოწერას და აღნიშნავს, რომ ის სამი ძირითადი შედეგის მისაღწევად გამოიყენება, ესენია: მონაცემთა მთლიანობა, ავთენტიფიკაცია და უარყოფის შეუძლებლობა.

ავტორი განიხილავს სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობას, იმ სფეროებს, რომლებშიც დღეს აქტიურადაა დანერგილი ელექტრონული ხელმოწერა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

Siswanto B., Surgawiwaha D., Implementation of digital signature for research paper legalization, authentication and ratifikacion case study: training center for national cyber and crypto agency. U.S.A., PEOPLE: International Journal of Social Sciences Volume 5 Issue 2, 2019. ნაშრომში ავტორების მიერ განხილულია ნაციონალური კიბერ და კრიპტო სააგენტოს ტრენინგ ცენტში (ინდონეზია) სტუდენტთა საბოლოო ნაშრომების შეფასების სისტემაში ელექტრონული ხელმოწერის პრაქტიკაში დანერგვის შემთხვევა. ციფრული ხელმოწერა, რომელიც სასწავლო ცენტში დაინერგა, მოიცავდა ავთენტურობისა და სანდოობის ყველა მდგენელს. ავტორები აღწერენ პროცესის თითოეულ ეტაპს და დასკვნის სახით აღნიშნავენ სარგებელს, რაც სააგენტოს სასწავლო ცენტრმა მიიღო ციფრული ხელმოწერის დანერგვით, კერძოდ, სტუდენტთა საბოლოო ნაშრომების შეფასების პროცესი გახდა უფრო უსაფრთხო, მარტივი, სწრაფი და შეფასების განხორციელება შესაძლებელი გახდა ნებისმიერ დროსა და აგდილას, სადაც არსებობს ინტერნეტ ქსელი.

ავტორები რეკომენდაციას უწევენ ციფრული ხელმოწერის დანერგვას სხვადასხვა ტიპის ოფისებში, რათა ადმინისტრირება გახდეს უფრო სწრაფი და მოქნილი.

Dmytrenko T., Digital signatures and circulation of electronic promissory notes as means of improving the financial market transparency, ЕКОНОМІЧНА НАУКА. Kyiv. 2018. ავტორი სტატიაში განიხილავს მსოფლიო მასშტაბით ელექტრონული ფინანსური ტრანზაქციების პრობლემურ საკითხებს, რომლებიც უმეტესწილად ელექტრონული ხელმოწერის მეშვეობით ელექტრონული თამასუქის შედგენის მიმართულებას და ასევე, რეგულირების

გარეშე დარჩენულ ზოგიერთი ტიპის ელექტრონულ დოკუმენტს უკავშირდება.

სტატიაში ხაზგასმულია, რომ მაშინ როდესაც, კიბერსივრცე იქცა გლობალურ გარემოდ, საჭიროა ახალი, უფრო ეფექტური ელექტრონული საკანონმდებლო რეგულაციების შემუშავება, ელექტრონული ხელმოწერის მეტად დანერგვა/გამოყენება ელექტრონული ფინანსური ტრანზაქციების განჭვირვალობის უზრუნველსაყოფად.

Мухаев Р. Т., Система государственного и муниципального управления, Изд. „Юрайт“, Москва. 2014. ავტორი განიხილავს საჯარო და მუნიციპალური მართვის ძირითად პარადიგმებს. სახელმძღვანელოში განხილულია ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, საფრანგეთის, ჩინეთის, იაპონიის, რუსეთის ფედერაციის საჯარო მმართველობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მართვის მოდელები, სტრუქტურა, სპეციფიკა და ფუნქციონირების მექანიზმები.

ნაშრომი შეიცავს ძალზე მნიშვნელოვან და ამომწურავ ინფორმაციას სხვადასხვა ქვეყანაში საჯარო მმართველობის სივრცეში მართვის არსებული მოდელების კუთხით.

Василенко И.А., Административно-государственное управление в странах запада: США, Великобритания, Франция, Германия, Изд. „ Логос“, Москва. 2001. სახელმძღვანელოში განხილულია ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპის რამოდენიმე ქვეყანაში ადმინისტრაციული მეცნიერების კუთხით არსებული ისტორიული ძვრები. გაანალიზებულია ამერიკის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიისა და საფრანგეთის ადმინისტრაციული სკოლები, მათი მიდგომები და კონცეფციები, რომლებსაც ისინი ანვითარებენ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მართვის კუთხით. განხილულია ბიჰევიორალური მეთოდი, რომელსაც სკოლების უმეტესობა აღიარებდა.

Erdosi P., Egersezegi K., Problems in the implementation of the electronic signature, Department of Information and Knowledge Management Budapest University of Technology and Economics, H-1521 Budapest, Hungary. 2003.

ავტორები აღნიშნავენ, რომ ელექტრონული ხელმოწერა „ჯადოსნუ-

რი“ და უნაკლო არ არის, მაგრამ ნამდვილად გვევლინება ელექტრონული გზით შეტყობინების გადაცემისა და ელექტრონული დოკუმენტის უსაფრთხოების გაუმჯობესების წინაპირობად. ავტორები აღნიშნავენ, რომ უსაფრთხოების დონის გასაუმჯობესებლად აუცილებელია ახალი მიდგომების შემუშავება და კრიპტოგრაფიის უახლესი მიღწევების გათვალისწინება.

ღირებული პოზიცია, რომელიც ნაშრომშია მოცემული, ეხება ელექტრონული ხელმოწერების სწორი გამოყენების უზრუნველსაყოფად მოსაზრებას საინფორმაციო სისტემების უსაფრთხოების მორგებულობისა და ადაპტირებულობის შესახებ - რომ თავიდან უნდა იქნეს აცილებული უსაფრთხოების მასიური დარღვევები, რათა შედეგად არ მივიღოთ ელექტრონული ხელმოწერის მიმართ ნდობის სრული დაკარგვა.

Electronic Records Management Guidelines, Electronic and Digital Signatures, Minnesota State Archives, Minnesota Historical Society. Version 5. 2012.

ნაშრომში განხილულია ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული სერვისების გავლენა როგორც სამთავრობო, ისე ადგილობრივი თვითმმართველობის სახელმწიფო უწყებებზე და ბიზნესზე. განხილულია ელექტრონული მმართველობის დანერგვის შედეგად ელექტრონული დოკუმენტის შინაარსისა და ელექტრონული ხელმოწერის გადამოწმების შესაძლებლობის განსაკუთრებული მნიშვნელობა, ასევე საუბარია იმ ფაქტზე, რომ ელექტრონული ტექნოლოგიების შემდგომ გავრცელებას ხელს შეუწყობს ელექტრონული ხელმოწერის გრძელვადიანი შენახვისა და მტკიცებულებად გამოყენების შესაძლებლობა. ასევე ხაზგასმულია, რომ ელექტრონულმა ხელმოწერამ სანდოობის მაღალი სტანდარტები უნდა დააკმაყოფილოს იქ, სადაც სველი ხელმოწერა სიცოცხლისუნაროა.

ნაშრომში საუბარია ელექტრონული ხელმოწერის აპლიკაციებისა და კონკრეტული უწყების ელექტრონული პროგრამების ადაპტირების შესაძლო პრობლემებზე, რაც თავის მხრივ უკავშირდება ელექტრონული ხელმოწერის შექმნის, შენახვისა და წვდომის გამართული არქიტექტურის შექმნის პრობლემას.

Turner I.J., Kazmierczyk Z., Self-identification of electronically scanned signatures (ESS) and digitally constructed signatures (DCS),Forensic Sciences Research. 2021. ნაშრომში ავტორების მიერ განხილულია მნიშვნელოვანი კვლევის შედეგები. ავტორები აღნიშნავენ, რომ ელექტრონული ხელმოწერების, როგორც მაიდენტიფიცირებლის, გამოყენება სულ უფრო ხშირია მსოფლიო მასშტაბით, თუმცა მათ არ აქვთ თანდაყოლილი დინამიური ფუნქციონირების უნარი. კვლევის ფარგლებში ელექტრონული ხელმოწერის (ESS) შესაქმნელად განხორციელდა „სველი“ ხელმოწერის სკანირება. ამ უკანასკნელის გარდაქმნა კი მოხდა ციფრულ ფორმატში. მიღებული მონაცემი გამოყენებულ იქნა ციფრული ხელმოწერის (DCS) შესაქმნელად.

ელექტრონული ხელმოწერა და ციფრული ხელმოწერა, აღნიშნული გარდაქმნების შემდეგ დაუბრუნდა მათ შემსრულებელ კვლევის მონაწილეებს იმის დასადგენად, რომელი იყო მათ შორის ნამდვილი.

ავტორები აღნიშნავენ, რომ კვლევის მონაწილეთა მხოლოდ 1%-მა შეძლო სწორად ამოცნო ხელმოწერა. საიდენტიფიკაციო საშუალო ქულამ შეადგინა 57,6 %.

ავტორების აზრით კვლევის ეს შედეგი კითხვებს აჩენს ელექტრონული ხელმოწერის (ESS) იდენტიფიკაციის, სანდოობისა და სარგებლიანობის შესახებ.

Harralson H.H., Forensic document examination of electronically captured signatures.Pario Communications Limited. 2012. ავტორი ნაშრომში განიხილავს ელექტრონული ხელმოწერის ბიოდინამიურ სისტემას, რომელიც აერთიანებს დინამიური და სტატიკური მონაცემების ერთობლიობას.

ავტორი საუბრობს ელექტრონული ხელმოწერის შექმნისას პროგრამული უზრუნველყოფის მიერ განხორციელებული სხვადასხვა ტიპის მონაცემის ჩაწერისა და შენახვის აუციებლობის შესახებ, რომლებზეც შემდგომში შესაძლებელი იქნება ექსპერტიზის ჩატარება. გაერთიანებული მონაცემები ელექტრონული ხელმოწერის შესრულებისას ქმნიან ხელმოწერის უნიკალურ პროფილს მისი შესრულების მომენტისათვის.

ავტორი აღნიშნავს, რომ ქაღალდზე შესრულებული ტრადიციული

ხელმოწერის ექსპერტიზისას გამოყენებული მეთოდები სრულებით გამოუსადეგარია ელექტრონულად შექმნილი ხელმოწერის ექსპერტიზისას.

ნაშრომში ასახულია ფაქტი - ელექტრონული ხელმოწერის კრიმინალისტიკური ექსპერტიზისას, სხვა მონაცემების არქონის გამო, რეკომენდირებულია კომპიუტერული ფაილებისა და დროის მახასიათებლების ანალიზი.

ავტორი აანალიზებს მოცემულობას, რომ ელექტრონული ხელმოწერის სისტემების მიერ მიღებული მონაცემების განსხვავებული ხარისხის გამო, ყველა სისტემა არ იძლევა სანდო ინფორმაციას სასამართლო გადაწყვეტილების მხარდასაჭერად. ავტორი აღნიშნავს, რომ მოცემული დროისათვის სასამართლო ექსპერტიზისათვის ელექტრონული ხელმოწერების შესწავლისას გამოსადეგია მხოლოდ კომპიუტერების/ კომპიუტერული ექსპერტიზა.

Linden J., Marquis R., Mazzella W., Features of Digitally Captured Signatures vs. Pen and Paper Signatures: Similar or Completely Different?, Forensic Analysis of Digital Dynamic Signatures: New Methods for Treatment and Feature Evaluation, Jurnal of Forensic Sciences, 62 (2). 2017. ავტორების მიერ ჩატარებული კვლევა ეხება დინამიური ელექტრონული ხელმოწერის თანამედროვე სისტემებს, იმის განსაზღვრას, წარმოდგენილი მონაცემები იყო თუ არა სანდო და რამდენად ეფექტურადაა შესაძლებელი მათი გამოყენება, ხელმოწერების ვარიაცია რამდენად მცირე იყო იმისათვის, რომ ერთმანეთისაგან განესხვავებინათ ნამდვილი და გაყალბებული ელექტრონული ხელმოწერები. კვლევის შედეგები აჩვენებდა, რომ ხშირ შემთხვევაში მათზე დაყრდნობა შესაძლებელი იყო, მაგრამ ინფორმაცია კალმის დაწოლის ძალის შესახებ აღმოჩნდა პრობლემატური, ამიტომ არ მიიღებოდა მხედველობაში. კომპიუტერული კოდების რამოდენიმე აბზაცის გაშიფვრით მარტივად იყო შესაძლებელი მონაცემების ამოღება, გაანალიზება და შედარება.

დინამიური ინფორმაციის შედარებისათვის გამოყენებულ იქნა დროის დინამიური გარდაქმნა (DTW), რამაც დამაიმედებელი შედეგები აჩვენა.

კვლევამ გამოავლინა სხვაობა ხელმომწერებსა და ნამდვილ და გაყალბებულ ელექტრონული ხელმოწერის ნიმუშებს შორის. კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე ავტორებმა დაადგინეს, რომ ნამდვილი და გაყალბებული ხელმოწერების ერთმანეთისაგან გარჩევა შესაძლებელია ხელმომწერების თავისებურებების გათვალისწინებისა და მათ მიერ შესრულებული სხვადასხვა ხელმოწერის შესწავლის გზით. კვლევის შედეგად დადგინდა მნიშვნელოვანი გარემოება, რომ თვით ხელმომწერის გამყალბებელსაც კი აქვს ხელმოწერის შესრულების გარკვეული შაბლონი, რაც გვევლინება გაყალბებული ხელმოწერის აღმოჩენის კიდევ ერთ საშუალებად.

აღნიშნული ნაშრომი იძლევა მრავალ საინტერესო და ღირებულ ინფორმაციას ელექტრონული ხელმოწერის სანდოობის დონის ასამაღლებლად.

Hafemann L.G, Sabourin R, Oliveira L.S., Offline Handwritten Signature Verification - Literature Review, Seventh International Conference on Image Processing Theory, Tools and Applications (IPTA). Montreal, QC, Canada. 2017.

ნაშრომში აღწერილია ავტორების მიერ ჩატარებული კვლევა ხელმოწერის ვერიფიკაციის შესახებ, რომლის მიზანიც იყო ნამდვილი და ყალბი ხელმოწერების გარჩევა ერთმანეთისაგან. ავტორები აღნიშნავენ, რომ განსაკუთრებულად რთული აღმოჩნდა სტატისტიკური მეთოდით შესრულებული ხელმოწერის ნამდვილობის გარჩევა, როდესაც ხელმოწერა უბრალოდ სკანირდება და მისი შექმნის დინამიურ მონაცემზე წვდომა არ არსებობს.

ნაშრომში განხილულია ბოლო ათწლეულში ბიომეტრიული ხელმოწერის ექსპერტიზის მცდელობები და გზები.

დასკვნის სახით ავტორები აღნიშნავენ, რომ მკვლევარების მიერ ბოლო ათწლეულის განმავლობაში შემოთავაზებული იქნა ოფლაინ ხელმოწერის შემოწმების (Offline Signature Verification) მრავალი მეთოდი. თუმცა ნამდვილისა და კვალიფიციურად შესრულებული ყალბი ხელმოწერის გარჩევა ურთულეს ამოცანად რჩება. შეცდომებმა იკლო გარკვეული კლასიფიკატორების დამატების შედეგად. პრობლემა დღემდე გადაუჭრელია.

Blankers V.L., Van den Heuvel C.E., Franke K.Y., Vuurpijl L.G., The ICDAR 2009 Signature Verification Competition, Proceedings of the 10th International Conference on Document Analysis and Recognition (ICDAR). 2009. ნაშრომში აღნიშნულია, რომ ავტორებმა კვლევისათვის გამოიყენეს ნიდერლანდების სასამართლო ექსპერტიზის ინსტიტუტის (NFI) მონაცემთა ბაზები.

მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ბიომეტრიული ხელმოწერის სასამართლო ექსპერტიზა ექსპერტების მიერ ტარდება ხელმოწერის ვიზუალური დათვალიერების მეთოდით და არ გამოიყენება კომპიუტერული ტექნოლოგიები. მკვლევარების მიზანს წარმოადგენდა სასამართლო ექსპერტიზისა და ავტომატიზირებული მეთოდების გაერთიანება, სისტემის ტესტირება მონაცემთა ახალი ნაკრების გამოყენებით, რომელიც კრიმინალისტიკური მეთოდების მსგავსია.

კვლევის შედეგად ავტორები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ხელმოწერის მხოლოდ ერთი ნიმუშის არსებობისას სისტემას არ შეუძლია გამოავლინოს ხელმოწერის შიდა ცვალებადობა. ერთი და იმავე ხელმოწერის ორ ხელმოწერას შორის სხვაობას იძლევა ნეირონული ბიომექანიკური ცვლილებები, რომლებიც ხდება ხელმოწერის განხორციელებისას. ამიტომ, სისტემის გამართულად მუშაობისათვის აუცილებელია ნიმუშად ერთი ხელმოწერის სამი ან მეტი ხელმოწერის არსებობა. ასევე აღსანიშნავია მკვლევარების პოზიცია, რომელიც უკავშირდება ერთი ხელმოწერის მიერ შესრულებული განსხვავებული ხელმოწერების შედარებისას ნამდვილობის დადგენის პრობლემატურ საკითხს, რა მიმართულებითაც იგეგმებოდა შემდგომი კვლევის ჩატარება.

მკვლევარები აღნიშნავენ, რომ სავარაუდოდ, ექსპერტიზისათვის დიდ სირთულეს შექმნიდა ნამდვილი და კარგად გაყალბებული ხელმოწერის ერთმანეთისაგან გარჩევა და მათგან გაყალბებულის აღმოჩენა. და იმავდროულად პრობლემური აღმოჩნდებოდა ორი ნამდვილი, მაგრამ ვიზუალურად განსხვავებული ხელმოწერის ავთენტურობის დადგენა.

მკვლევარები იმედოვნებენ, რომ სამომავლოდ შესაძლებელი გახდება ისეთი საერთო კრიტერიუმების შემუშავება, რომელთა მეშვეობით

ექსპერტები შეძლებენ განახორციელონ ექსპერტიზა, ხოლო სასამართლო პროცესებზე შეძლონ იმის ახსნა, თუ რა გზით მივიდნენ ამა თუ იმ დასკვნამდე.

Srivastava A., Electronic signatures and security issues: An empirical study, Computer Law & Security Review, Volume 25, Issue 5, 2009. ნაშრომში აღნიშნულია, რომ ელექტრონულ გარემოში ელექტრონული ხელმოწერის უსაფრთხოების პრობლემები წარმოადგენს პოტენციურ ბარიერს მათი გამოყენებისათვის. ნაშრომი წარმოადგენს ემპირიულ კვლევას, რომელიც განიხილავს იმ საწარმოების უსაფრთხოების სავარაუდო პრობლემებს, რომლებიც იყენებენ ელექტრონული ხელმოწერის ტექნოლოგიას კონტრაქტების დასადებად და კომერციული ტრანზაქციების განსახორციელებლად და იმას, რამდენადაა ეს პრობლემები მათი გამოყენების შემაკავებელი ფაქტორი. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ბიზნეს საზოგადოებაში ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებასთან დაკავშირებით უსაფრთხოების სერიოზული პრობლემებია. ნაშრომში აღნიშნულია ის ფაქტიც, რომ ხშირად ასეთი აღქმა გამოწვეულია ინფორმირებულობისა და გაგების ნაკლებობით.

ელექტრონული ხელმოწერების პოტენციური მომხმარებლებისათვის რჩევის მიცემა სიფრთხილის ზომების შესახებ, რომელთა დაცვაც აუცილებელია ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებისას რისკების მაქსიმალურად შესამცირებლად, შეიძლება იყოს მათი შიშებისა და ყოყმანის დასაძლევად სრულებით საკმარისი.

Matsumoto T., Matsumoto H., Yamada K., Hoshino S., „Impact of Artificial "Gummy" Fingers on Fingerprint Systems”. Graduate School of Environment and Information Sciences Yokohama National University (Optical Security and Counterfeit Deterrence Techniques IV, Rudolf L. van Renesse, Editor, Proceedings of SPIE Vol. 4677. Proceedings of SPIE. 2002.

მკვლევარების მიერ განხილულია თითის ანაბეჭდის, როგორც ერთერთი ყველაზე უსაფრთო ბიომეტრიული მონაცემის ავთენტურობისა და დაცულობის საკითხი, გაყალბების შესაძლებლობა და გაანალიზებულია

საფრთხეები.

მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ანაბეჭდის სისტემების მომწოდებლების მიერ, როგორც წესი, სათანადოდ არ არის დასაბუთებული რეალურია თუ არა უსაფრთხოების ზომები, რომლებსაც ისინი მომხმარებელს სთავაზობენ თითის ანაბეჭდით, როგორც პერსონალური იდენტიფიკატორით სარგებლობისას. ასევე არ განმარტავენ, დაცულია თუ არა ანაბეჭდების სისტემის უსაფრთხოება, რომელიც ჩატვირთულია პერსონალურ კომპიუტერში, ლეპტოპში, პლანშეტში ან სხვა მოწყობილობაში.

ავტორების მიერ ჩატარებული ექსპერიმენტური კვლევა ეხებოდა ყალბი თითის ანაბეჭდის (თითის) შექმნას ჟელატინის ან სილიკონის გამოყენებით და მისი მეშვეობით თითის ანაბეჭდის წამკითხველი მოწყობილობის მოტყუებას. კვლევისას სატესტო რეჟიმში გამოიყენებოდა 11 სხვადასხვა თითის ანაბეჭდის წამკითხველი სისტემა. თითის ანაბეჭდის შექმნათვის გამოიყენებოდა როგორც სრული ანაბეჭდები, ისე ანაბეჭდების ფრაგმენტები.

კვლევის შედეგებით ავტორები აანალიზებენ თითის ანაბეჭდის მოწყობილობის გამოყენებისას არსებულ საფრთხეებს. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ შესაძლებელია თითის ანაბეჭდის წამკითხველის მოტყუება და ამისი არაერთი გზა არსებობს. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ექსპერიმენტში მონაწილე 11-ვე სისტემა მოტყუვდა ყალბი თითიდან აღებული ანაბეჭდით და ის მიიჩნია ავთენტურად.

ავტორები აღნიშნავენ რომ მთავარი პრობლემა ავთენტურობის საკითხია, ის თუ როგორ უნდა გავარჩიოთ ნამდვილი ანაბეჭდი გაყალბებულისაგან და ეჭვქვეშ აყენებენ თითის ანაბეჭდის წამკითხველი სისტემების უსაფრთხოებას.

Robertson J. , Guest R., A feature based comparison of pen and swipe based signature characteristics, National Library of Medicine, National Center for Biotechnology information, 2015. ავტორები საუბრობენ ხელმოწერის დინამიური შემოწმების მეთოდზე (DSV). ეს არის ბიომეტრიული მეთოდი - როდესაც ადამიანი ასრულებდა ხელმოწერას, ხორციელდება ანატომიური

და ქცევითი მახასიათებლების ანალიზი. ხელმოწერა ხდებოდა „კალმისა“ და პადის გამოყენებით. იმისათვის, რომ დაედგინათ ხელმოწერის დინამიური შემოწმების მეთოდის პოტენციალი, მკვლევარები ახდენდნენ „კალმისა“ და პადის ფუნქციების კორელაციას ხელმოწერის პროცესში.

შედეგებმა აჩვენა, რომ არსებობს კალმის მიერ პადზე შესრულებული მოძრაობების მთელი რიგი მახასიათებლების დიაპაზონი, რომლებსაც შეუძლიათ ურთიერთქმედებაში მოიყვანონ სტატიკური და დინამიური მეთოდები. ორივე შემთხვევაში ძირითადი საფუძველი მდგომარეობს ერთსა და იმავე მახასიათებლებში.

Linden, J., Marquis, R., Mazzella, W. Forensic Analysis of Digital Dynamic Signatures: New Methods for Data Treatment and Feature Evaluation . Journal of Forensic Sciences, 62 (2), 2017. მოცემულ ნაშრომში ჩატარებული კვლევა ეხება საინ პად „Omega“-ს გამოყენებით ელექტრონულ ხელმოწერაზე ჩატარებულ ექსპერიმენტს. სხვადასხვა ტიპის ცვლადებზე დაკვირვების გზით დადგინდა, რომ ხელმოწერის გაყალბებისას რთული იყო ისეთი მონაცემების შეუცდომლად ჩვენება, როგორებიცაა ხელმოწერის საერთო დრო, ზომა და ტრაექტორია.

ამ გზით მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ავთენტური და გაყალბებული ხელმოწერის ერთმანეთისაგან გასარჩევად ყველაზე სანდოა შეფასებისას გამოიყენებოდეს ისეთი კრიტერიუმები, რომლებიც ხაზს უსვამენ ხელმოწერის ძირითად თავისებურებებს. ასეთ განმასხვავებელ, ყველაზე სანდო ფაქტორებად მკვლევარებმა გამოყვეს ხელმოწერის ზომა, ტრაექტორიის სიგრძე და ხელმოწერისათვის საჭირო დრო. ავტორები აღნიშნავენ, რომ საექვო ცვლადად მიჩნეულ იქნა „კალმის“ დაწოლის ძალა, რის გამოც კვლევების შეჯამებისას მას არსებით ფაქტორად არ მიიჩნევდნენ.

კვლევის მიმდინარეობისას ავტორები შეეცადნენ ელექტრონული გზით შესრულებული ავთენტური და გაყალბებული ხელმოწერების ერთმანეთისაგან გარჩევას. ასევე აღნიშნეს ამ მიმართულებით კვლევების შემდგომი საჭიროების მნიშვნელობა.

მკვლევართა ნაშრომების ანალიზმა შესაძლებლობა მოგვცა ელექ-

ტრონული ხელმოწერის სანდოობისა და ავთენტურობის მიმართულებით არსებული გადაუჭრელი პრობლემები კომპლექსური გადაწყვეტის ჭრილში დაგვეჩვენა.

ასევე, არაერთწლიანმა დაკვირვებამ ქართულ საჯარო სივრცეში ელექტრონული ხელმოწერის იმპლემენტაციის, გავრცელებისა და ავთენტურობის მიმართულებით არსებული პრობლემების შესახებ სრული სურათი შეგვიქმნა.

დაკვირვებისა და კვლევის შედეგები მიუთითებენ ელექტრონული ხელმოწერის იმპლემენტაციის და ნამდვილობის კუთხით არსებულ პრობლემებზე, ასევე ამ მიმართულებით აუცილებელი ცვლილებების, ინოვაციური ტექნოლოგიებისა და მიდგომების შემუშავების გადაუდებელ აუცილებლობასა და საჭიროებაზე.

ბოლო წლებში, განსაკუთრებით პანდემიის პირობებში, განვითარებული ქვეყნების დიდი ძალისხმევით მიმართული ელექტრონული დოკუმენტბრუნვისა და ელექტრონული ხელმოწერის მაქსიმალურად დანერგვაზე. ამ სისტემის გამართული ფუნქციონირებისა და ეფექტურად მართვის პროცესთან პირდაპირაა დაკავშირებული როგორც საჯარო მმართველობისა და ელექტრონული მმართველობის წარმატება, ისე სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციების სიცოცხლისუნარიანობა.

დისერტაციაზე მუშაობის პროცესში მნიშვნელოვანი იყო მკვლევართა მიერ ჩატარებული ექსპერიმენტები და დასკვნები. საკმაოდ მნიშვნელოვანი და ღირებული ინფორმაცია იქნა მოპოვებული სხვადასხვა ავტორისა და მკვლევარის მიერ შემოთავაზებული ნაშრომებიდან და პუბლიკაციებიდან.

განხილულ ნაშრომებში ავტორთა უთანხმოებები ძირითადად ეხება სხვადასხვა ტიპის ელექტრონული ხელმოწერის სანდოობის, დაცულობისა და ავთენტურობის პრობლემებს, ელექტრონული ხელმოწერისას გამოყენებული ტექნოლოგიების სწორად შერჩევის საკითხებს, თუმცა ყველა მათგანი თანხმდება, რომ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის გარდა, დღეს არსებული ელექტრონული ხელმოწერის სხვადასხვა ტიპის

სანდოობის, დაცულობისა და ავთენტურობის მიმართულებით საჭიროა ახალი, გაუმჯობესებული ტექნოლოგიების დანერგვა, რათა შემდგომში თავიდან იქნეს აცილებული ელექტრონული ხელმოწერის მიმართ ნდობის დაკარგვის საკითხი. ასევე ყველა მკვლევარი ერთხმად თანხმდება, რომ დღეს არსებული ელექტრონული ტექნოლოგიების მრავალფეროვნებისა და ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მრავალი საშუალების მიუხედავად, ელექტრონული ხელმოწერის ექსპერტიზა პრაქტიკულად შეუძლებელია, რაც სამომავლოდ მისი სანდოობისა და ავთენტურობის მიმართულებით სერიოზულ პრობლემებს შექმნის. მკვლევარები აღნიშნავენ, რომ თანამედროვე სამყაროში ელექტრონული ხელმოწერის ექსპერტიზისათვის არასაკმარისია მონაცემები და მხოლოდ კომპიუტერული ექსპერტიზის შესაძლებლობა სანდოობის სათანადო დონეს ვეღარ უზრუნველყოფს.

მკვლევართა ნაწილი საკუთარ ნაშრომებში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ელექტრონული ხელმოწერისათვის სანდოობის შესანარჩუნებლად არსებული უსაფრთხოების პარამეტრები არასაკმარისია ელექტრონული ხელმოწერის გაყალბების სხვადასხვაგვარი მცდელობების, ხელმოწერების მიერ საკუთარი ხელმოწერების უარყოფისა და კიბერშეტევების გახშირებული ფაქტების გათვალისწინებით.

მიუხედავად იმისა, რომ განხილულ ნაშრომებში გამოკვეთილია ელექტრონული ხელმოწერის პრობლემები, უნდა აღინიშნოს, რომ ისინი წარმოადგენენ მხოლოდ მცირედ ნაწილს და დღეისათვის არსებული რეალობა ამ მიმართულებით გაცილებით პრობლემურია. მეცნიერთა მიერ საკითხი ჯერჯერობით არასაკმარისადაა შესწავლილი.

ნაშრომზე მუშაობის პროცესში გვერდს ვერ ავუვლიდით ბოლო წლებში ელექტრონული მმართველობის გასამდიერებლად ქართული სახელმწიფოსა და დედაქალაქის მთავრობის მიერ შემუშავებულ სამოქმედო გეგმებს (OGP). მოცემული დოკუმენტები შეიცავენ დამატებით ინფორმაციას ელექტრონული მმართველობის კუთხით საქართველოში არსებულ პრობლემებსა თუ გამოწვევებზე, გვაწვდიან ინფორმაციას და იმ ღონისძიებათა ჩამონათვალს, რასაც სახელმწიფო გეგმავს ამ მიმართულებით.

და ბოლოს, დამუშავდა და გაანალიზდა მთელი რიგი საკანონმდებლო აქტები - საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“, საქართველოს კანონი „ელექტრონული დოკუმენტბრუნვისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“, საქართველოს კანონი ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“, საქართველოს კანონი „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ“, საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“, საქართველოს კანონი „სახელმწიფო სერვისების სააგენტოს შესახებ“, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის დებულებათა აღსრულების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის N2503 განკარგულება, „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს პარლამენტის დადგენილება, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N18/04 ბრძანება „ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს დამტკიცების თაობაზე“, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის N117 ბრძანება, „სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის N255 დადგენილება, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების ტარიფების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის N171 დადგენილება, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის №746 ბრძანება.

საქართველოს საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის კუთხით არსებული საკანონმდებლო ბაზა: საქართველოს

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის „კომერციული ბანკის მიერ შექმნილი ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების უსაფრთხოების პოლიტიკის საქართველოს ეროვნულ ბანკში წარდგენისა და შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ“ N122/04 ბრძანება; საქართველოს ეროვნული ბანკის „ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის პროექტი“; საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N94/04 ბრძანება - „ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს დამტკიცების თაობაზე“; საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N18/04 ბრძანება - „ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს დამტკიცების თაობაზე“.

ასევე, გაანალიზდა მსოფლიოს რამოდენიმე ქვეყნის საკანონმდებლო ბაზა, რომლებიც წარმოადგენენ მსოფლიოს მასშტაბით ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის საფუძვლებს, როგორებიცაა:

კანადა: „Personal Information Protection and Electronic Documents Act“, „Secure Electronic Signature Regulations“, „Canada Evidence Act“;

ევროკავშირის ქვეყნები: eIDAS (electronic IDentification, Authentication and trust Services), „ eSignature in the EU“ , „Commission Decision 2003/511/EC (on the publication of reference numbers of generally recognised standards for electronic signature products in accordance with Directive 1999/93/EC of the European Parliament and of the Council)“, Directive 1999/93/EC of the European Parliament and of the Council of 13 December 1999 on a Community framework for electronic signatures;

რუსეთის ფედერაცია: Федеральный закон „О внесении изменений в часть первую и часть вторую Налогового кодекса Российской Федерации и некоторые другие законодательные акты Российской Федерации, а также о признании утратившими силу отдельных законодательных актов (положений законодательных актов) Российской Федерации в связи с урегулированием задолженности по уплате налогов, сборов, пеней и штрафов и некоторых иных вопросов налогового администрирования“, Федеральный закон „Об электронной подписи“, Приказ ФСБ РФ от 27.12.2011 N 796 „Об утверждении

Требований к средствам электронной подписи и Требованиям к средствам удостоверяющего центра“, Распоряжение Правительства Российской Федерации от 12 февраля 2011 г. № 176-р „Об утверждении плана мероприятий по переходу федеральных органов исполнительной власти на безбумажный документооборот при организации внутренней деятельности“;

ამერიკის შეერთებული შტატები: Electronic Signatures in Global and National Commerce Act (ESIGN) Uniform Electronic Transactions Act (UETA), Government Paperwork Elimination Act (GPEA), Uniform Commercial Code (UCC);

დიდი ბრიტანეთი: Electronic Communications Act 2000.

ასევე დამუშავდა ელექტრონულ ხელმოწერასთან დაკავშირებული ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტები, როგორებიცაა: Forum of European Supervisory Authorities for Electronic Signature, Working Paper on Advanced Electronic Signature, European Electronic Signature Standardization Initiative (EESSI) Final Report of the EESSI Expert Team, Part 1: PAdES Overview - a framework document for PadES, Part 2: PAdES Basic - Profile based on ISO 32000-1, Part 4: PAdES Long Term - PAdES-LTV Profile, Internet X.509 Public Key Infrastructure Time-Stamp Protocol (TSP) RFC 3161.

ნაშრომზე მუშაობისას საქართველოში სასამართლო პრაქტიკის ანალიზისათვის განვიხილეთ და გავაანალიზეთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ელექტრონული ხელმოწერის და ელექტრონული საშუალებებით შექმნილი დოკუმენტების სადავობის შესახებ მიღებული შემდეგი გადაწყვეტილებები:

2013 წლის 23 იანვარის საქმე N ბს-745-729(კს-12) (კატეგორია - ადმინისტრაციულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავები. სახეობა - სხვა სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის თაობაზე. დავის საგანი - ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა.).

2013 წლის 7 მაისის საქმე Nას-102-97-2013 (კატეგორია - საოჯახო სამართლებრივი დავა. სახეობა სხვა სახის დავები. დავის საგანი - ნაჩუქარი ნივთების დაბრუნება).

2014 წლის 8 მაისის საქმე Nას-1275-1217-2013 (კატეგორია - ვალდებულებითი სამართლებრივი დავა. სახეობა - კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობანი. დავის საგანი - თანხის დაკისრება).

2014 წლის 23 სექტემბრის საქმე Nზს-226-223(2კ-14)(კატეგორია - საგადასახადო ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავები. სახეობა - საერთო სახელმწიფო და ადგილობრივ გადასახადებთან დაკავშირებით. დავის საგანი - ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა.).

2021 წლის 19 ოქტომბრის საქმე Nას-709-2021 (კატეგორია - ვალდებულებითი სამართლებრივი დავა, სახეობა- სხვა სახის დავები, დავის საგანი - თანხის დაკისრება).

ასევე განხილულია ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთში მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებები შემდეგ საქმეებზე:

1.of the United States Trustee (the "UST") for imposition of sanctions against attorney Pauldeep Bains ("Counsel") for violating LBR 9004-1(c).'(2016)

2.IO Moonwalkers, Inc. v Banc of America Merchant Services, 814 S.E.2d 583 (N.C. App. 2018);

3.Golden Ocean Group Ltd v Salgaocar Mining Industries Pvt Ltd. (2012);

4.J.B.B. Inv. Partners, Ltd. v. Fair - 232 Cal. App. 4th 974, 182 Cal. Rptr. 3d 154 (2014);

5.Ruiz v. Moss Bros. Auto Grp., Inc. - 232 Cal. App. 4th 836, 181 Cal. Rptr. 3d 781 (2014)

6.Espejo v. Southern California Permanente Medical Group (2016)

თავი 1. ელექტრონული ხელმოწერის განვითარების ისტორია და მისი დანერგვის საკანონმდებლო საფუძვლები

საკვლევი თემისათვის მნიშვნელოვანია მსოფლიოში ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის წარმატებული მაგალითების განხილვა, რა მიზნითაც განხორციელდა მსოფლიოს ლიდერი სახელმწიფოების საკანონმდებლო ბაზების შესწავლა და განხილვა ამ მიმართულებით.

მსოფლიო პრაქტიკასთან ერთად, ასევე, განხილულია საქართველოში ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის მიმართულებით არსებული კანონმდებლობა.

1.1. ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის საკანონმდებლო ბაზის მიმოხილვა (ა.შ.შ-ს, დიდი ბრიტანეთის, ევროკავშირის ქვეყნების, რუსეთის ფედერაციისა და კანადის მაგალითზე)

ელექტრონული ხელმოწერის დანერგვა-განვითარებამ დიდი გავლენა იქონია ცივილიზაციების განვითარებაზე და საგრძნობლად შეცვალა როგორც ქვეყანათა მართვის პრინციპები, ისე ადამიანების ყოველდღიური ცხოვრება. ელექტრონული ხელმოწერების საჭიროება დასტურდება მისი ყოველდღიურად მზარდი მოთხოვნით. ამ მიმართულების განვითარება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანების ფუნქციონირების უკლებლივ ყველა სფეროზე. მის სწორ და უხარვეზო დანერგვა-გავრცელებაზე ბევრადაა დამოკიდებული მსოფლიოს შემდგომი განვითარების ბედი.

ელექტრონული ხელმოწერის განვითარების ძირითადი ეტაპები შემდეგნაირად გამოიყურება:

1976 წელს ამერიკელმა კრიპტოგრაფებმა უიტფილდ დიფიმ და მარტინ ჰელმანმა პირველებმა შეიმუშავეს «ელექტრონული ციფრული ხელმოწერის» კონცეფცია. ავტორები გამოთქვამდნენ მოსაზრებას, რომ ციფრული ხელმოწერის სქემების არსებობა შესაძლებელია.

1977 წელს როლანდ რივესტის, ადი შამირისა და ლენ ადლემანის მიერ შემუშავებული იქნა Rivest–Shamir–Adleman „RSA“ კრიპტოგრაფიული

ალგორითმი, რომელიც იძლეოდა პრიმიტიული ელექტრონული ხელმოწერის შექმნის საშუალებას.

1988 წელს გოლდვასსერი, მიკალი და რივესტი იყვნენ პირველები, რომლებმაც მკაცრად განსაზღვრეს ციფრული ხელმოწერის სქემის უსაფრთხოების მოთხოვნები.

1989 წელს შეიქმნა Lotus Notes 1.0, რომელშიც გამოყენებული იყო RSA ალგორითმი. ის გახდა პირველი ფართოდ გაყიდული პროგრამული პაკეტი, რომელიც მომხმარებელს სთავაზობდა ციფრული ხელმოწერების გამოყენებას.

1996 წელს გაერომ გამოაქვეყნა UNCITRAL ტიპური კანონი (მე-7 მუხლი), რომელმაც დიდი გავლენა იქონია მთელ მსოფლიოში, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებში ელექტრონული ხელმოწერის შესახებ კანონების შემუშავებაზე.[1.651-664]

1999 წელს ერთიანი სახელმწიფო კანონების მიღებაზე პასუხისმგებელმა ნაციონალურმა კონფერენციამ (NCCUSL) და ამერიკის იურიდიულმა ინსტიტუტმა (ALI) კონგრესს წარუდგინა ორი კანონი, რომლებიც ერთიანი იქნებოდა მთელი ამერიკისათვის. ელექტრონული ხელმოწერის შესახებ კანონი ორმოცზე მეტმა შტატმა მიიღო სხვადასხვა ფორმით. 1999 წელს მიღებულ იქნა ფედერალური კანონი „ერთიანი ელექტრონული ტრანზაქციის შესახებ“ (UETA).

1999 წელს PDF ფორმატს დაემატა ფუნქცია, რამაც შესაძლებელი გახდა ციფრული ხელმოწერის დოკუმენტებში ჩასმა.

2000 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში მიიღეს აქტი „გლობალურ და ეროვნულ ვაჭრობაში ელექტრონული ხელმოწერის შესახებ“ (ESIGN), რომელმაც ციფრული ხელმოწერა გაუთანაბრა ტრადიციულ სველ ხელმოწერას და მიანიჭა იურიდიული აღიარება.

2001 წელს გამოქვეყნდა UNCITRAL ტიპური კანონი ელექტრონული ხელმოწერის შესახებ, სადაც N3 პარაგრაფში დეტალურადაა განხილული ელექტრონული ხელმოწერის შექმნის ყველა მდგენელი. ზემოთქმულ პარაგრაფში მითითებულია სველი და ელექტრონული ხელმოწერის

ფუნქციონალური ექვივალენტურობის მექანიზმისა და საერთაშორისო აღიარების შესახებ . [2.1-83]

2002 წელს დაარსდა SIGNiX-ი. ის ხდება ყველაზე ფართოდ გამოყენებული ღრუბლოვანი პროგრამული უზრუნველყოფა (cloud-based digital signature software) ციფრული ხელმოწერის განსახორციელებლად.

2008 წელს სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO) მიერ PDF ფაილის ფორმატს ენიჭება ღია სტანდარტი - ISO 32000. ის თავის თავში ციფრულ ხელმოწერებს მოიცავს, როგორც ფორმატის განუყოფელ ნაწილს.

2016 წელს ძალაში შედის eIDAS, რომელიც ევროკავშირში ციფრული ხელმოწერისათვის უსაფრთხო სივრცეს ხსნის.

ციფრული ხელმოწერის ყველაზე მისაღები სტანდარტი არის სტანდარტებისა და ტექნოლოგიების ეროვნული ინსტიტუტის (NIST) ციფრული ხელმოწერის სტანდარტი (DSS) და ევროპარლამენტის მიერ მიღებული eIDAS რეგულაცია.[3.1-130] [4.1-42]

ციფრული ხელმოწერების განვითარება და ინოვაციური მეთოდების შემუშავება მუდმივად გრძელდება.

გამოყოფენ ელექტრონული ხელმოწერის სამ ტიპს: მარტივი ელექტრონული ხელმოწერა - SES, განვითარებული ელექტრონული ხელმოწერა - AES და კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა - QES. ხელმოწერის ტიპებს შორის სხვაობა განისაზღვრება სანდოობის, ავთენტურობისა და ხელმოწერი პირის ვერიფიკაციის დონის მიხედვით.

უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო კანონმდებლობაში არ არის დაფიქსირებული კონკრეტული მოთხოვნა - არსებული სამი სახის ელექტრონული ხელმოწერიდან, კონკრეტულად რომელი მათგანით უნდა განხორციელდეს ხელმოწერა.

დღეისათვის, კანონმდებლობით კონკრეტულად განსაზღვრული რიგი დოკუმენტების გარდა, ელექტრონულ დოკუმენტებსა და მათზე დატანილ ციფრულ ხელმოწერებს მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში იდენტური იურიდიული ძალა აქვთ, როგორც ქალაქის

დოკუმენტებსა და მათზე დატანილ სველ ხელმოწერებს.

ელექტრონულ ხელმოწერაზე მსჯელობისას აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ ე.წ. გეოლოკაცია. იმისდა მიუხედავად, რომ ელექტრონული ხელმოწერები მიღებული და აღიარებულია მთელ მსოფლიოში, თითოეულ რეგიონს და ქვეყანას აქვს საკუთარი სპეციალური ჩარჩო, კანონი, რომელიც დაკავშირებულია მათ გამოყენებასთან.

ელექტრონული ხელმოწერის სამშობლოდ გვევლინება ამერიკის შეერთებული შტატები.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ელექტრონული ხელმოწერების მიღება ემყარება ორ მთავარ აქტს: ფედერალურ კანონებს „ერთიანი ელექტრონული ტრანზაქციების შესახებ“ (UETA) და „გლობალურ და ეროვნულ ვაჭრობაში ელექტრონული ხელმოწერის შესახებ“ (ESIGN). მათი ძალაში შესვლის მომენტიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში ქალაქდზე დატანილი სველი ხელმოწერა და ელექტრონულ დოკუმენტზე დატანილი ციფრული ხელმოწერა ექვივალენტურია.[5.1-65][6.1-14]

ეს საკანონმდებლო აქტები ელექტრონულ ხელმოწერას განსაზღვრავენ როგორც „ელექტრონულ ბგერას, სიმბოლოს ან პროცესს, რომელიც თან ერთვის, ან ლოგიკურად არის დაკავშირებული ხელშეკრულებასთან ან სხვა ჩანაწერთან, რომელიც თავის მხრივ უკავშირება ამ დოკუმენტზე ხელის მომწერ პირს.“[6.10]

განსაზღვრულია რომ, თუკი ხელშეკრულების ყველა მხარე გადაწყვეტს და შეთანხმდება გამოიყენოს ელექტრონული დოკუმენტები და ელექტრონული ხელმოწერა, კანონი უზრუნველყოფს ელექტრონულად ხელმოწერილი დოკუმენტებისათვის იურიდიულ აღიარებას.

ორივე კანონი ითვალისწინებს, რომ :

არ შეიძლება ხელშეკრულების, ხელმოწერის ან ჩანაწერის იურიდიულ ძალაში ეჭვის შეტანა ან მასზე უარის თქმა იმის გამო, რომ ისინი ელექტრონული ფორმითაა შესრულებული.

გარიგების, ხელშეკრულების, შეთანხმების ან სხვა დოკუმენტის იურიდიული ძალის უარყოფა შეუძლებელია მხოლოდ იმიტომ, რომ მის

ფორმირებაში გამოყენებული იქნა ელექტრონული ხელმოწერა ან ჩანაწერი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ისევე როგორც მსოფლიოს ქვეყნების უმეტესობაში, ა.შ.შ-შიც ელექტრონული ხელმოწერის შესახებ კანონი ადგენს გარკვეული ტიპის დოკუმენტებს ან დოკუმენტების კატეგორიებს, რომლებზეც ელექტრონული ხელმოწერის განხორციელება შეუძლებელია.

ორივე კანონი (ESIGN და UETA) გამოყოფს 5 ძირითად ელემენტს, რომლებიც ელექტრონულ ხელმოწერას იურიდიულად სავალდებულოს ხდის:

1. ნამდვილობა. ელექტრონულ ხელმოწერებსა და ჩანაწერებს აქვთ იგივე იურიდიული ძალა, რაც ქაღალდზე დატანილ მელნის ტრადიციულ ხელმოწერებს. ის ფაქტი, რომ ხელმოწერა განხორციელდა ელექტრონული ფორმით, არ შეიძლება გახდეს მისი ძალადაკარგულად გამოცხადების მიზეზი.

2. შეთანხმება. ხელმოწერის ელექტრონული ფორმით განხორციელებისათვის ხელმომწერმა პირმა უნდა გასცეს თანხმობა. ეს გულისხმობს მათთვის გარკვეული ინფორმაციის გამჟღავნებას ხელმოწერის განხორციელებამდე.

3. განზრახვა. როგორც სველი ხელმოწერა, ელექტრონული ხელმოწერაც მოითხოვს ხელმომწერის განზრახვის არსებობას. ხელმომწერი უნდა ეთანხმებოდეს დოკუმენტის შემცველობას და უნდა იაზრებდეს ყველა იმ შედეგს, რომელიც დადგება დოკუმენტის ხელმოწერის შემდეგ.

4. ჩანაწერი. ელექტრონულ ხელმოწერას უნდა ახლდეს ჩანაწერი, რომლითაც ნათელი იქნება, რომ ეს არის არა ფიზიკური, არამედ ელექტრონული ხელმოწერა.

5. მონაცემთა მთლიანობა. ელექტრონული დოკუმენტი, რომელზეც განხორციელდა ელექტრონული ხელმოწერა, დაცული უნდა იყოს ყოველგვარი გაყალბების, ცვლილებისა და მონაცემთა დაკარგვისაგან.

ამერიკაში ელექტრონული ხელმოწერა გამოიყენება საჯარო დაწესებულებების, საბანკო და სამედიცინო სექტორის, საერთაშორისო ვაჭრობის და სხვა მრავალი მიმართულებით. იგი წლიდან წლამდე უზრუნველყოფს

ამერიკის ბიუჯეტისათვის მზარდი რესურსების შედინებას.

კანადაში მე-20 საუკუნის 90-იანი წლების შუა პერიოდიდან ელექტრონული დოკუმენტებისა და ელექტრონული ხელმოწერების განხორციელებისათვის მიღებულ იქნა კანონები, შემუშავებული იქნა სახელმწიფო პოლიტიკა და სტანდარტები.

ძირითადი კანონი, რომელშიც მოცემულია ელექტრონული მომსახურების გაწევის ნორმები, არის 2004 წელს მიღებული „პერსონალური ინფორმაციის დაცულობისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ კანონი - PIPEDA. ის ემყარება საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმებს და ქმნის სამართლებრივ საფუძვლებს ელექტრონული კომუნიკაციისა და ელექტრონული კომერცისათვის. კანონი განსაზღვრავს, რომ ელექტრონული დოკუმენტაცია და ხელმოწერა მხოლოდ იმის გამო არ უნდა იყოს ბათილი, რომ ის ელექტრონული ფორმითაა შექმნილი.[7.1-66]

PIPEDA იძლევა მკაფიო მოთხოვნებს ელექტრონული ხელმოწერების უსაფრთხოებისთვის. ელექტრონული ხელმოწერა უნდა იყოს: უნიკალური და განუმეორებელი, შექმნილი ხელმომწერის ექსკლუზიური კონტროლის ქვეშ, შესაძლებელი იყოს ხელმომწერის ვინაობის გადამოწმება, დაცული იყოს ტექნოლოგიით, რომელსაც შეუძლია აღმოაჩინოს ნებისმიერი შემდგომი ცვლილება დოკუმენტში. ხელმოწერა ხელმომწერს აკავშირებს დოკუმენტთან, გამოხატავს მის ნებას, და როგორც წესი, პასუხისმგებლობას ანიჭებს დამდგარ იურიდიულ შედეგებზე.

კანადაში, PIPEDA-ს მეორე ნაწილი ითვალისწინებს სველი და ელექტრონული ხელმოწერების იდენტურობას ფედერალურ დონეზე. კანონი განსაზღვრავს ელექტრონულ ხელმოწერას, როგორც „ხელმოწერას, რომელიც შედგება ერთი ან მეტი ასოსაგან, ციფრისაგან ან სხვა ნებისმიერი სიმბოლოსაგან ციფრულ ფორმატში, რომელიც შედის, ერთვის ან უკავშირდება ელექტრონულ დოკუმენტს“. არსებითად, ელექტრონული ხელმოწერა შეიძლება იყოს ელექტრონული წარმომავლობის ნებისმიერი ფორმა, რომელიც უკავშირდება ან მიმაგრებულია ელექტრონულ დოკუმენტთან.[7.39-46]

კანონი ადგენს შემთხვევებს, როდესაც კონკრეტული ტიპის დოკუმენტისათვის განსაზღვრულია ე.წ. "უსაფრთხო ელექტრონული ხელმოწერის" გამოყენება. ასეთია მაგალითად დოკუმენტები, რომლებიც გამოიყენება მტკიცებულებად, განცხადებები, მხილების შესახებ და სხვა.

კანონში ასახული დებულებები არ ატარებს სავალდებულო ხასიათს და ნებაყოფლობითია. კანონის მიხედვით, ელექტრონული ხელმოწერის თითოეული სახეობა უტოლდება ფიზიკურს და სრულად არის დაშვებული სასამართლოს მიერ. კანადის ბაზარზე მოქმედ ყველა კომპანიას შეუძლია თავისუფლად გამოიყენოს როგორც ციფრული, ისე ქაღალდის დოკუმენტები - ისინი იურიდიულად აღიარებულია, როგორც თანაბრად მოქმედი.

განვლილ წლებში აღნიშნული კანონის არჩევის ნაცვლად, ელექტრონული სერვისებით სარგებლობისათვის სხვადასხვა უწყებამ და სააგენტომ საკუთარ წესდებებში შეიტანეს ცვლილებები, რათა უზრუნველყოთ მეტი სიცხადე.

ისეთი ინფორმაცია, როგორცაა ელექტრონული ხელმოწერის განხორციელების თარიღი და დრო, მტკიცებულება, რომ ხელმოწერა იყო ნამდვილი ხელმოწერის განხორციელებისას, გროვდება მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში. ნებადართულია ყველაფერი, რაც კანონით პირდაპირ არ არის აკრძალული.

ელექტრონული ხელმოწერის დამხმარე ინფორმაცია (მაგ. დრო, თარიღი და სხვა) უკავშირდება ხელმოწერილ ელექტრონულ მონაცემებს, რითაც დაცულია ამ ინფორმაციის მთლიანობა და სანდოობა. ელექტრონული ხელმოწერის გადამოწმება შესაძლებელია ნებისმიერ დროს.

ელექტრონულ დოკუმენტებზე ხელმოწერი პიროვნების ვინაობის დაკავშირება ხელმოწერილ დოკუმენტებთან - კანადაში ელექტრონული ხელმოწერის განხორციელებისათვის ერთ-ერთი ფუნდამენტური მოთხოვნაა.

კანადაში ელექტრონული ხელმოწერის მიმართ მიდგომებით განსხვავებულია კვებეკის რეგიონი. რეგიონში მოქმედებს კვებეკის სამოქალაქო კოდექსი და „საინფორმაციო ტექნოლოგიების სამართლებრივი ბაზის შექმნის შესახებ“ აქტი, რომელიც კონკრეტულად ვრცელდება ელექტრო-

ნულ ხელმოწერაზე.

დოკუმენტის დასადასტურებლად აუცილებელი არ არის „სველი“ ხელმოწერის არსებობა, ეს შეიძლება განხორციელდეს სიტყვიერი, ელექტრონული ან ფიზიკური თანხმობით. თუმცა, ამ ტიპის შეთანხმებებს შეიძლება დასჭირდეს სასამართლოში სხვა მტკიცებულებებით დადასტურება.

გარდა ზემოხსენებული კანონისა, კანადაში არსებობს 20-მდე ფედერალური კანონი და 30-მდე ნორმატიული აქტი, რომლებიც შეიცავენ ჩანაწერებს ელექტრონული ხელმოწერების შესახებ. დაინტერესებული პირებისათვის აღნიშნული დოკუმენტაცია გასაჯაროებულია კანადის იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურ ვებსაიტზე.

კანადაში, ელექტრონული სერვისებისა და ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებისას, ასევე ითვალისწინებენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის მიერ მიღებულ, საერთაშორისოდ აღიარებულ საკანონმდებლო აქტებს.

დიდ ბრიტანეთში პირველი აქტი „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ (ECA) 2000 წელს იქნა მიღებული. აქტი ადასტურებს, რომ დოკუმენტი ბათილი ვერ იქნება მხოლოდ იმის გამო, რომ ხელმოწერა განხორციელებულია ელექტრონული სახით.[8.1-17]

ბრიტანული კანონმდებლობის თანახმად, აუცილებელი არ არის მოქმედ შეთანხმებას ჰქონდეს სველი ხელმოწერა, თუკი მხარეები შეთანხმდებიან აღნიშნულ პირობაზე.

კანონმდებლობა გამოყოფს ელექტრონული ხელმოწერის სამ ტიპს: მარტივი ელექტრონული ხელმოწერა (SES), განვითარებული ელექტრონული ხელმოწერა (AES) და კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა (QES).[9.1-14]

მარტივი ელექტრონული ხელმოწერა არ ითვლება ტრადიციული სველი ხელმოწერის ტოლფასი ძალის მქონედ. ბრიტანული კანონმდებლობა აღიარებს ელექტრონულ ხელმოწერის ორ სხვა ტიპს, როგორც სავალდებულო ძალის მქონეს, ესენია: განვითარებული ელექტრონული ხელმოწერა (AES) და კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა (QES).

აღნიშნული ხელმოწერები ერთმანეთისაგან განსხვავდება სამოქმედო არეალისა და იურიდიული ძალის მიხედვით. დაცულობის ყველაზე მაღალი მაჩვენელი აქვს კვალიფიციურ ელექტრონულ ხელმოწერას (QES). უნდა აღინიშნოს, რომ არსებული მონაცემების მიხედვით, ევროპულ სახელმწიფოებს შორის კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით სარგებლობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი სწორედ დიდ ბრიტანეთს აქვს.

ბრიტანეთში ელექტრონული ხელმოწერები გამოიყენება როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში და კანონით განსაზღვრულია დოკუმენტების კონკრეტული სახეობა, რომლებზეც შესაძლებელია სხვასახვა სახის ხელმოწერის განხორციელება.

ისევე, როგორც თითქმის ყველა ქვეყანაში, სადაც დანერგილია ელექტრონული ხელმოწერა, ბრიტანეთშიც დღემდე არსებობს დოკუმენტების ტიპი, რომლებზეც სავალდებულოა სველი ხელმოწერის განხორციელება, მაგალითად: ქორწინებასთან ან განქორწინებასთან დაკავშირებული დოკუმენტები; ქონების გასხვისების, იპოთეკით დატვირთვის ან იპოთეკის მოხსნის და სხვა.

დიდმა ბრიტანეთმა ევროკავშირიდან ოფიციალურად გასვლის შემდეგ უცვლელად დატოვა ელექტრონულ ხელმოწერასთან დაკავშირებული ევროკავშირის საკანონმდებლო რეგულაციები.

ელექტრონული ხელმოწერა ევროკავშირის ქვეყნებში. 1998 წელს ევროკომისიამ გამოაქვეყნა ანგარიში „ციფრული და ელექტრონული ხელმოწერის დირექტივის შესახებ.“ თავის მოხსენებაში კომისიამ აღნიშნა ციფრული ხელმოწერების შესახებ მიღებული კანონმდებლობის მოცულობის ზრდა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში. ასევე, აუცილებლად მიიჩნია ციფრული ხელმოწერების ერთიანი სამართლებრივი სტრუქტურის შექმნის აუცილებლობა „შიდა ბაზრისათვის“. გარდა ამისა, კომისიამ რეკომენდაცია გაუწია ტექნოლოგიურად ნეიტრალურ სტანდარტებს და მიზანშეწონილად მიიჩნია ელექტრონული ხელმოწერის პროგრამების მაქსიმალური ჰარმონიზაცია და ისეთი ტექნიკური პირობების შექმნა, რითაც ხელმოწერა ჩაითვლებოდა უსაფრთხოდ.[10.1-9]

1999 წელს მიღებული ევროკავშირის დირექტივა (Directive 1999/93/EC of the European Parliament and of the Council of 13 December 1999 on a Community framework for electronic signatures) იყო ელექტრონული ხელმოწერებისათვის სამართლებრივი საფუძვლის შექმნა, რასაც შედეგად უნდა მოჰყოლოდა რაც შეიძლება მეტი მოქნილობა, ეფექტურობა და სტანდარტიზაცია.[10]

ელექტრონული ხელმოწერა, როგორც იურიდიულად სავალდებულო ძალის მქონე, ევროკავშირმა მიიღო 2000 წელს (eSignature Directive). მიღებული დოკუმენტი იყო ევროკავშირის დირექტივა წევრი ქვეყნებისათვის ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების შესახებ ელექტრონულ დოკუმენტბრუნვასა და ელექტრონულ შეთანხმებებში. აღნიშნულმა დოკუმენტმა დაადგინა, რომ ელექტრონული ხელმოწერა უარყოფილი ვერ იქნება მხოლოდ იმის გამო, რომ იგი შექმნილია ელექტრონული მეთოდების გამოყენებით.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის ბევრი ქვეყანა მთელ რიგ საკითხებში იზიარებს ბრიტანეთის მიდგომებს.

ევროკავშირმა 2015 წელს მიიღო „ელექტრონული იდენტიფიკაციის, ავთენტიფიკაციისა და სანდო სერვისების შესახებ“ რეგულაცია (EC) №910/2014, რომელიც ჩვეულებრივ მოიხსენიება როგორც eIDAS.

ევროკავშირის ფარგლებში არსებული საკანონმდებლო ბაზების თანახმად არსებობს ელექტრონული ხელმოწერის სამი ტიპი: მარტივი (SES), განვითარებული (AES) და კვალიფიციური (QES). ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სანდოობის, იურიდიული ძალისა და სამოქმედო არიალის მიხედვით. ამ სამი ტიპის ხელმოწერიდან სველი ხელმოწერის იდენტურ ძალას მხოლოდ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა ფლობს, რამდენადაც გამოირჩევა საიმედოობის, სანდოობისა და დაცულობის მაღალი ხარისხით.[11.1-42]

როგორც დიდ ბრიტანეთსა და ამერიკაში, ევროკავშირის მასშტაბითაც არსებობს რიგი დოკუმენტებისა, რომლებისთვისაც სავალდებულოა სველი ხელმოწერა. მაგალითად, უძრავი ქონების ჩუქების ან ყიდვა-გაყიდ-

ვის ხელშეკრულება, საქორწინო ხელშეკრულებები, სამსახურიდან გათავისუფლების/შემცირების შესახებ დოკუმენტი, შ.პ.ს-ს რეგისტრაცია და სხვა.

ამასთანავე, აუცილებელია გვახსოვდეს, რომ ევროკავშირის ყველა წევრ ქვეყანას დამატებითი საკანონმდებლო ნორმები აქვს ელექტრონულ ხელმოწერებთან დაკავშირებით.

რუსეთის ფედერაციაში ელექტრონული ციფრული ხელმოწერის შესახებ პირველი ჩანაწერი გაჩნდა 1994 წელს. ეს იყო რუსული სტანდარტი, რომელიც აღწერს ელექტრონულ-ციფრული ხელმოწერების ფორმირებისა და გადამოწმების ალგორითმებს. [12.1-23]

პირველი კანონი „ელექტრონული ციფრული ხელმოწერების შესახებ“, რომელიც რუსეთში არეგულირებს ელექტრონული ციფრული ხელმოწერების გამოყენებას, მიღებულია 2002 წელს. ამ კანონში ნათლად არ იყო ასახული ისეთი ძირითადი საკითხები, როგორებიცაა ხელმოწერის იდენტიფიკაციის, ხელმოწერაზე დროისა და თარიღის დასმის, ხელმოწერის სერტიფიკატის ვადისა და ნამდვილობის დადგენის საკითხი და სხვა.[13.1-24]

ამ პრობლემების გადაჭრის მიზნით ის ორგანიზაციები, რომლებიც ელექტრონულ ხელმოწერას იყენებდნენ, იძულებულნი გახდნენ მიეღოთ დამატებითი რეგულაციები, რაც მნიშვნელოვნად ართულებდა ელექტრონული სერვისების დანერგვას.

2010 წელს ცვლილებები იქნა შეიტანილი რუსეთის ფედერაციის საგადასახადო კოდექსში, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა მაგალითად „ინვოისების“ ელექტრონული ფორმით მიღება, დამუშავება და გაცემა. აღნიშნული დოკუმენტის ელექტრონული ფორმით წარმოება იმ შემთხვევაში იქნებოდა ნებადართული, თუ გარიგებაში მონაწილე მხარეები შეთანხმდებოდნენ და ექნებოდათ შესაბამისი ტექნიკური საშუალებები.[14.1-25]

2011 წელს რუსეთის პრეზიდენტმა გამოსცა ახალ კანონს „ელექტრონული ხელმოწერის შესახებ“. ძველი კანონის ჩანაცვლება განპირობებული იყო თანამედროვე ელექტრონული ხელმოწერის რეგულაციებთან შესაბამისობაში მოსვლის აუცილებლობით.[15.1-38] ამავე წელს, რუსეთის

ფედერაციის პრემიერ მინისტრის ბრძანებით, განსაზღვრული სამოქმედო გეგმისა და შესაბამისი ღონისძიებების თანახმად, 2012 წლის 1 იანვრიდან ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა უნდა ამოქმედებულიყო ყველა ფედერალურ ორგანოში.[16.1-6]

ელექტრონული ხელმოწერა არ იყო მიზნული პიროვნებაზე და ამიტომ მომხმარებელს ყველა პროცესზე სხვადასხვაგვარი ელექტრონული ხელმოწერის გამოყენება უხდებოდა. ამასთანავე, უსაფრთხოების დაცვა ასეთ ვითარებაში კოლოსალურ ხარჯებს მოითხოვდა და დაცვის გარანტია მაინც არ არსებობდა.

2012 წელს გამოცემული ბრძანების თანახმად ელექტრონულ დოკუმენტზე და ხელმოწერის საშუალებაზე ხედვა უნდა ჰქონოდა ხელმოწერის უფლების მქონე პირს. ასევე, შემოწმებისას პროგრამას უნდა ეჩვენებინა ელექტრონულად ხელმოწერილ დოკუმენტში შეტანილი ყველა ცვლილება და პირი, ვინც ხელს მოაწერდა ცვლილებებს.[17.1.16]

2018 წლის კანონმდებლობა ადგენდა ელექტრონული ხელმოწერის სამ ტიპს: მარტივი და ორი გაძლიერებული - კვალიფიციური და არაკვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა.

2019 წლის დეკემბრიდან კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის გაცემის უფლება აქვთ კომუნიკაციების სამინისტროს მიერ აკრედიტირებულ სასერთიფიკატო ცენტრებს. ფაქტიურად იურიდიული პირებისათვის ელექტრონული ხელმოწერების გაცემაზე სახელმწიფოს აქვს მონოპოლია.

2020 წელს დაგეგმილი იყო საბანკო სექტორის სრულად გადასვლა ელექტრონულ ხელმოწერაზე, თუმცა, ამ მომენტისათვის უცნობია რეფორმის ამ ეტაპის მიმდინარეობის შესახებ.

შეიძლება ითქვას, რომ რუსეთი ერთერთ იმ ქვეყანათაგანია, სადაც საკანონმდებლო ბაზების ცვლილების ყველაზე მეტი ფაქტია დაფიქსირებული, თუმცა მოქალაქეები მაინც ვერ ახერხებენ ელექტრონული ხელმოწერის განხორციელებას თუნდაც საჯარო მმართველობაში შემავალ ორგანიზაციებში.

1.2. საქართველოში ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის საკანონმდებლო ბაზის მიმოხილვა

საქართველოს მიერ აღებულმა დასავლურმა კურსმა, ევროკავშირთან ურთიერთობამ, ასოცირების შესახებ შეთანხმებამ, აუცილებელი გახადა ქართული საკანონმდებლო ბაზის ევროპულ სამართლებრივ სტანდარტებთან მაქსიმალური დაახლოება.

ელექტრონული ხელმოწერის შესახებ მიღებულ ახალ კანონში ასახულია ყველა ნოვაცია, რომელიც „ელექტრონული იდენტიფიკაციის, შიდა ბაზარზე ელექტრონულ ტრანზაქციებთან დაკავშირებული სანდო სერვისებისა და 1999/93/EC დირექტივის გაუქმების შესახებ ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2014 წლის 23 ივლისის N910/2014 რეგულაციის“ ფარგლებში იქნა შემუშავებული.

ბოლო ათწლეულში საქართველოში განხორციელებული რეფორმების შესაბამისად, ყველა საჯარო დაწესებულება ქალაქის დოკუმენტებიდან ეტაპობრივად გადავიდა ელექტრონულ დოკუმენტაციაზე - ელექტრონულ საქმის წარმოებაზე და შესაბამისად ელექტრონულ მმართველობაზე.

ელექტრონულ მმართველობაზეა გადასული კერძო სექტორის ის ნაწილი, რომელიც დაკავშირებულია საერთაშორისო ოპერაციებთან.

ქვეყანაში ელექტრონულად ხორციელდება საქმისწარმოება, ინფორმაციის მიღება, დამუშავება და გადაგზავნა, გადაწყვეტილების მიღება, აღსრულებისა და კონტროლის პროცედურები, ურთიერთქმედება მოსახლეობასთან, საკუთარ თანამშრომლებთან და სხვადასხვა საჯარო/კერძო დაწესებულებასთან. მუდმივად მიმდინარეობს ელექტრონული მმართველობის მოდელის დახვეწა და შესაბამისი რეფორმების გატარება.

საქართველოში ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული ხელმოწერის დანერგვა-განვითარებას არც თუ ისე დიდი ისტორია აქვს:

2008 წლის 14 მარტი - საქართველოს კანონი „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტაციის შესახებ“.[18.1-7]

2017 წლის 21 აპრილი - საქართველოს კანონი „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ.“ კანონის

მიღებიდან დღემდე მისი ცვლილებების ხუთი რედაქცია არსებობს.[19.1-14]

2017 წლის 30 ნოემბერი - მთავრობის განკარგულება N2503 „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის დებულებათა აღსრულების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ. აღნიშნული განკარგულება არის ელექტრონული ხელმოწერისა და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის დანერგვისა და გამოყენების უზრუნველსაყოფად გაწერილი დეტალური სამოქმედო გეგმა, რომელიც ყოველი უწყებისათვის კონკრეტულ ვადებს მოიცავს.[20.1-6]

ადმინისტრაციული ორგანოებისათვის და ყველა იმ სუბიექტისათვის, რომელთათვისაც სავალდებულო ხდებოდა კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერისა და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის დანერგვა და გამოყენება, განისაზღვრა გასატარებელი ღონისძიებების ჩამონათვალი, რითაც უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო ინფორმაციული სისტემების მომხმარებელთა სწავლება, ორგანიზაციულ-ტექნიკური და ფინანსური ღონისძიებების განხორციელება;

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ყველა ღონისძიების კოორდინაცია დაევალა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ ს.ს.ი.პ – „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“.

განკარგულებაში ჩამოთვლილი უწყებებისათვის კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/შტამპის ამოქმედების თარიღის განსაზღვრასთან ერთად, მკაფიოდ იყო მითითებული, რომ ყველა ის დაწესებულება ან ორგანო (მაგალითად ადგილობრივი მუნიციპალიტეტები), რომლებიც ამ განკარგულებით დამტკიცებულ ჩამონათვალში ვერ მოხვდა, არ თავისუფლდებოდა კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/შტამპის გამოყენების ვალდებულებისაგან.

2018 წლის 1 ივლისი - კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/შტამპის გამოყენება სავალდებულო ხდება საჯარო დაწესებულებების უმეტესობისათვის.

2019 წლის 1 იანვარი - ელექტრონულ დოკუმენტზე კვალიფიციური

ელექტრონული ხელმოწერის/შამპის შესრულება სავალდებულო ხდება ყველა იმ პირისა და ორგანიზაციისათვის, ვისაც ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობა ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით უწევს (მაგ.: სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობა).

„ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონი ელექტრონულ დოკუმენტს განმარტავს შემდეგნაირად - „ელექტრონული ფორმით შენახული ტექსტობრივი, ხმოვანი, ვიზუალური ან აუდიოვიზუალური ინფორმაციის ან/და მონაცემთა ერთობლიობა“.[19.1]

კანონი ელექტრონული ხელმოწერის სამ სახეს გამოყოფს: ელექტრონული ხელმოწერა, განვითარებული ელექტრონული ხელმოწერა და კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა.

ელექტრონული ხელმოწერა არის „ელექტრონულ მონაცემთა ერთობლიობა, რომელიც დაერთვის ან ლოგიკურად უკავშირდება ელექტრონულ დოკუმენტს და ელექტრონული დოკუმენტის ხელმოსაწერად გამოიყენება;

განვითარებული ელექტრონული ხელმოწერა არის ელექტრონული ხელმოწერა, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს: მხოლოდ ხელმომწერთანაა დაკავშირებული; მისი მეშვეობით ხელმომწერის დადგენაა შესაძლებელი; შექმნილია ელექტრონული ხელმოწერის შექმნის იმ მონაცემების საშუალებით, რომელთა გამოყენებაც ხელმომწერს, მტკიცე რწმუნებით, ერთპიროვნული კონტროლით შეუძლია; ხელმოწერილ მონაცემებთან ისეა დაკავშირებული, რომ მათი შემდგომი ცვლილების აღმოჩენის შესაძლებლობას იძლევა;

კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა არის განვითარებული ელექტრონული ხელმოწერა, რომელიც კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შექმნის საშუალების გამოყენებით, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის სერტიფიკატის საფუძველზეა შესრულებული.“ [19.1-3]

ამ სამიდან მხოლოდ კვალიფიციურ ელექტრონულ ხელმოწერას აქვს სველი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა.

ელექტრონული ხელმოწერის/ელექტრონული შტამპის სერტიფიკატი

არის „უნიკალური ელექტრონული დოკუმენტი, რომელიც ელექტრონული ხელმოწერის/ელექტრონული შტამპის შემოწმების მონაცემებს ხელმომწერთან/შტამპის დამსმელთან აკავშირებს და შეიცავს, სულ მცირე, ხელმომწერის სახელს ან/და ფსევდონიმს/შტამპის დამსმელის სრულ სახელწოდებასა და საიდენტიფიკაციო კოდს (ასეთი კოდის არსებობის შემთხვევაში).“ [19.3]

მოქმედი კანონის შესაბამისად ელექტრონული ან/და ტრადიციული ხელმოწერის, ასევე ქაღალდის ან/და ელექტრონული დოკუმენტის გამოყენების არჩევანის სრული თავისუფლებაა.

კანონი არ ვრცელდება იმ დოკუმენტაციასა და ინფორმაციაზე, რომელიც სახელმწიფო საიდუმლოდაა აღიარებული.

ჯერ კიდევ 2008 წელს მიღებული კანონი აღიარებდა ტრადიციული ხელმოწერისა და ელექტრონული ხელმოწერის, ასევე ქაღალდის დოკუმენტისა და ელექტრონული დოკუმენტის თანაბარ იურიდიულ ძალას, თუკი მათი ნამდვილობის დადგენა იქნებოდა შესაძლებელი.

კანონში არსებული მნიშვნელოვანი ჩანაწერებია:

ნებისმიერი დოკუმენტი შესაძლოა წარდგენილი იყოს ელექტრონული ფორმით, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა.

სასამართლო უარს ვერ იტყვის მტკიცებულებაზე, ხოლო ადმინისტრაციული ორგანო - დოკუმენტზე მისი ელექტრონული ფორმის გამო.

ელექტრონული დოკუმენტის ყველა ეგზემპლარი ორიგინალად ითვლება და მას არ შეიძლება ჰქონდეს ასლი.

სანდოობის ყველაზე მაღალი დონის მქონე კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შესაქმნელად საჭიროა მომხმარებლის ID ბარათი, ID ბარათის წამკითხველი, ინტერნეტთან დაკავშირებული კომპიუტერი, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა და კოდები (PIN და PUK, რომლებიც მოქალაქეს ეძლევა პირადობის ელექტრონული მოწმობის მიღების დროს. კოდების დაკარგვის შემთხვევაში მონაცემების აღდგენა შესაძლებელია იუსტიციის სახლებში.

„ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებით საქართველოს კანონმდებ-

ლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა განხორციელდა, რაც საქართველოსათვის დიდი წინგადადგმული ნაბიჯია განვითარებულ მსოფლიოსთან ინტეგრაციის კუთხით.

ელექტრონული სანდო მომსახურების დანერგვით ელექტრონულ მმართველობასთან დაკავშირებულ რეიტინგებში საქართველო თანდათან იუმჯობესებს პოზიციებს. გაეროს ელექტრონული მმართველობის კვლევაში 2016 წელს საქართველომ 61-ე პოზიცია დაიკავა 193 ქვეყანას შორის, ხოლო 2018 წლის კვლევაში მე-60-ე პოზიცია დაიკავა 193 ქვეყანას შორის. [21]

1.3. სანდო ელექტრონული სერვისების უსაფრთხოება საქართველოში

ელექტრონული მომსახურების დანერგვაზე მუშაობისას სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ საერთაშორისო აუდიტორული კომპანიის შეფასება გაიარა და ყველა სტანდარტი დააკმაყოფილა.

თუ დღეს მატერიალური ხელმოწერის მიმსგავსება, გაყალბება გარკვეულ დონეზე შესაძლებელია, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შემთხვევაში ეს წარმოუდგენელია. ამისთვის გამყალბებელს ერთდოულად დაჭირდება ხელმომწერის ID ბარათი და კოდები, რაც ფაქტიურად, შეუძლებელია.

უსაფრთხოების წესების დასაცავად და ტექნიკური ხარვეზების თავიდან ასაცილებლად PIN კოდის ალგორითმის განახლება და ახალი კოდების გაცემა ორწელიწად ნახევარში ერთხელ ხორციელდება.

დოკუმენტის დაცულობის თვალსაზრისით უნდა ითქვას, რომ ვინაიდან საქართველოს დღევანდელი კანონმდებლობა სრულად შეესაბამება საერთაშორისოდ აღიარებულ კანონებსა და აქტებს, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შესრულებისას შესაბამისადაა დაცული უსაფრთხოების ყველა მოთხოვნა.

ელექტრონული დოკუმენტების დაცულობაზე სახელმწიფო სხვადასხვა მიმართულებითაც ზრუნავს.

„საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს პარლამენტის დადგენილებაში ვკითხულობთ,

რომ საქართველოს ეროვნული ინტერესების სფერო მოიცავს კიბერუსაფრთხოების განმტკიცებას. „საქართველოსთვის მეტად მნიშვნელოვანია ინფორმაციული სივრცის უსაფრთხოება და ელექტრონული ინფორმაციის დაცულობა. ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფ განვითარებასთან ერთად იზრდება მათზე სახელმწიფოს კრიტიკული ინფრასტრუქტურის დამოკიდებულება. ამის გათვალისწინებით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება კიბერდანაშაულთან ბრძოლას და კიბერსივრცეში დივერსიული აქტებისგან თავდაცვას.“ [22.1-6]

გარდა ამისა, ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული სერვისების დაცულობას განაპირობებს საქართველოს კანონი „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ“. ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ერთერთი მნიშვნელოვანი ელემენტია ინფორმაციული უსაფრთხოება, რომელიც თავის თავში მოიცავს „ელექტრონული მმართველობის სისტემების უსაფრთხოების უზრუნველყოფას, კიბერ საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, შესაბამისი საგანმანათლებლო ბაზის ჩამოყალიბებას და განვითარებას.“ [23.1-5]

თავი 2. ელექტრონული ხელმოწერის ცნება, შექმნის ისტორია და ავთენტურობის პრობლემები

ელექტრონული ხელმოწერის არსის გასაგებად მნიშვნელოვანია, როგორც მისი საერთაშორისოდ აღიარებული განმარტებების, ისე ელექტრონული ხელმოწერის შესაქმნელად არსებული იმ ტექნოლოგიების ფართო სპექტრის განხილვა, რომელთა გამოყენების საშუალებასაც ითვალისწინებს საერთაშორისოდ აღიარებული კანონები.

ასევე, მნიშვნელოვანია ელექტრონული ხელმოწერის არსებული სახეების ავთენტურობისა და გაყალბების საფრთხეების განხილვა.

2.1. ელექტრონული ხელმოწერის ცნება და მისი სახეები

ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის მომენტიდან დღემდე მისი შექმნისათვის საჭირო არაერთი ტექნოლოგია განვითარდა, რომლებიც ემყარებიან ელექტრონული ხელმოწერის ძირითად არსს - "ნებისმიერი ნიშანი, რომელიც გაკეთებულია არსებული დოკუმენტის დამოწმების მიზნით" წარმოადგენს ელექტრონულ ხელმოწერას.[24.41]

დღეისათვის ელექტრონული ხელმოწერის სხვადასხვა სახეობა არსებობს. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან შექმნისას გამოყენებული ტექნოლოგიებითა და უსაფრთხოების ხარისხით.

ტერმინი - „ელექტრონული ხელმოწერა“ს არაერთი საერთაშორისო განმარტება არსებობს.

საერთაშორისო ვაჭრობის სამართლის შესახებ გაერთიანებული ერების კომისია (UNCITRAL) ელექტრონულ ხელმოწერას განმარტავს როგორც - „მონაცემთა გზავნილში არსებული ელექტრონული მონაცემები, რომლებიც მიზნულია ან ლოგიკურად დაკავშირებულია მასთან და რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ხელმოწერის მონაცემთა გზავნილთან კავშირის მიზნით ხელმოწერის იდენტიფიცირებისთვის და მიუთითებს ხელმოწერის თანხმობას იმ ინფორმაციაზე, რაც განთავსებულია მონაცემთა გზავნილში“.

ISO 7498-2 სტანდარტი - „ციფრულ ხელმოწერას“ განმარტავს,

როგორც უსაფრთხოების მექანიზმს, რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნეს უსაფრთხოების სხვადასხვა სერვისის მიწოდებისთვის, როგორცაა ავთენტიფიკაცია, მონაცემთა წარმომავლობის ავთენტურობა, მონაცემთა ერთიანობა (დაურღვეველობა) და უარყოფის შეუძლებლობა“.

ექსპერტთა ჯგუფი EESSI-ის საბოლოო დოკუმენტში განმარტავს, რომ 1999/93/EC დირექტივა „განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის“ აღწერისას გულისხმობს ასიმეტრიული კრიპტოგრაფიის და სერტიფიკატზე დამყარებული ვერიფიკაციის მახასიათებლებს. ამავე დოკუმენტში აღნიშნულია, რომ როგორც დირექტვით, ისე ISO 7498-2-ით აღწერილი „განვითარებული ელექტრონული ხელმოწერა“, რომელიც ასევე გვხვდება ტერმინით „კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა“, რეალურად ISO სტანდარტით განმარტებული „ციფრული ხელმოწერის“ ექვივალენტურია (EESSII; გვ. 15).

თუ ელექტრონული ხელმოწერა დაკავშირებულია მხოლოდ ხელმომწერთან, მისი მეშვეობით შესაძლებელია ხელმომწერის იდენტიფიცირება, შექმნილია ხელმომწერისათვის აუცილებელი მონაცემების გამოყენებით, უზრუნველყოფილია ნდობის მაქსიმალური პირობებით, ექვემდებარება ხელმომწერის ერთპიროვნულ კონტროლს, ხელმოსაწერ მონაცემებთან იმგვარადაა დაკავშირებული, რომ იძლევა ამ მონაცემებში ნებისმიერი ცვლილების აღმოჩენის შესაძლებლობას, მაშინ ის აკმაყოფილებს ევროკავშირის დირექტივის 1999/93/EC მოთხოვნებს და გვევლინება „განვითარებულ ელექტრონულ ხელმოწერად.“

„ხელმოწერის შექმნის მონაცემებისა“ და ხელმოწერილი დოკუმენტის ხელმომწერთან დაკავშირებაში არის განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების არსი.

შეგვიძლია გამოვყოთ ელექტრონული ხელმოწერის 4 ძირითადი მეთოდი: ციფრული, ბიომეტრიული, პაროლების/კოდების გამოყენებით და ჰიბრიდული.

იმისათვის, რომ ელექტრონულმა ხელმოწერამ არ დაკარგოს იურიდიული ძალა, მისი განხორციელებისას დაცული უნდა იყოს გარკვეული

პირობები: ხელმომწერი პირის იდენტიფიცირება, ხელმომწერის განზრახვის დადასტურება, ელექტრონული ხელმოწერის გადამოწმების შესაძლებლობა და სხვა.

თანამედროვე სამყაროში ელექტრონული ხელმოწერის შექმნისათვის გამოიყენება სამი ძრითადი მეთოდი: ასიმეტრიული კრიპტოგრაფიის მეთოდი, ელექტრონული ხელმოწერის შესაქმნელად არსებული პლატფორმები და ელექტრონული ხელმოწერის მოწყობილობა - Sign Pad-ი.

UETA იძლევა ელექტრონული ხელმოწერების ტექნოლოგიების ფართო სპექტრის გამოყენების საშუალებას“. [25]

ზემოთქმულის ერთ-ერთ მაგალითად შეგვიძლია განვიხილოთ დღევანდელობაში ფართოდ გამოყენებადი ოფცია „გადასვლა ბმულზე“. იმისათვის, რომ ვებ-გვერდიდან გამოიწეროთ მაგალითად წიგნი, ვებ მომხმარებელმა უნდა „დააკლიკოს“ შესაბამის ფორმაზე, რომელშიც გამყიდველის მიერ მოცემულია პროდუქტის გაყიდვის პირობები. სისტემა იმგვარადაა მოწყობილი, რომ შეუძლებელია პროდუქტის გამოწერა პირობებზე წინასწარი შეთანხმების გარეშე. ამ შემთხვევაში უშუალოდ ხელმოწერა არ ხორციელდება, თუმცა, სისტემა იმგვარადაა მოწყობილი, რომ „ა“ ქმედებიდან „გ“ ქმედებაზე გადასვლა შესაძლებელია მხოლოდ „ბ“ ქმედების განხორციელების შედეგად, ხოლო „ბ“ ქმედება გვევლინება ხელმოწერის ექვივალენტურად - გამყიდველის მიერ მოცემულ პირობებზე თანხმობად.

UETA აკანონებს ისეთი ტექნოლოგიების გამოყენებას, როგორებიცაა: ფაქსი, ციფრული გამოსახულება, პინკოდის/პაროლის გამოყენება, ელექტრონული ხელმოწერა და ციფრული ხელმოწერა, ასევე ბიომეტრიული მონაცემების, მაგალითად თვალის ბადურის სკანირებას ელექტრონული ხელმოწერის რანგში. ნებისმიერ შემთხვევაში ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული ჩანაწერის სანდოობის გარანტიას იძლევა იმ სისტემის სანდოობა, რომელშიც შეიქმნა, იმართება და ინახება ის.

კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა იქმნება სპეციალური ტექნოლოგიის ე.წ. ასიმეტრიული კრიპტოგრაფიის მეშვეობით. აღნიშნულ-

ლი ტექნოლოგია იყენებს ორ განსხვავებულ, მაგრამ ერთმანეთთან მათემატიკურად დაკავშირებულ ე.წ. „გასაღებების წყვილს“ (ღია/საჯარო და დახურული/კერძო გასაღებები).

ღია გასაღები გამოიყენება ადრესატის მიერ ციფრულად ხელმოწერილი დოკუმენტის გამომგზავნის ვინაობის შესამოწმებლად და ის საჯაროა. მისი ცოდნა აუცილებელია ადრესატისათვის, რათა მოახდინოს გამომგზავნის ვინაობის საიმედო შემოწმება.

დახურული გასაღები გამოიყენება ციფრული ხელმოწერის შესაქმნელად და ელექტრონული დოკუმენტის შინაარსის დასაშიფრად. იგი მკაცრი დაცვის რეჟიმს ექვემდებარება.

გასაღებებში გამოყენებული ციფრები ასიმეტრიულია - ღია გასაღების ციფრებიდან არ გამომდინარეობს დახურული გასაღების ციფრების კომბინაცია, რაც „გასაღებების წყვილის“ დაცვას უზრუნველყოფს.

ციფრული ხელმოწერის შემთხვევაში პიროვნულ ელემენტს უზრუნველყოფს ციფრული ხელმოწერის დამამზადებლის მიერ გაცემული სერტიფიკატი. მისი მეშვეობით ციფრული ხელმოწერა და უნიკალური გასაღებების წყვილი დაკავშირებულია კონკრეტულ პირთან.

სერტიფიკატი წარმოადგენს ელექტრონულ მონაცემს, რომელიც შეიცავს ციფრული ხელმოწერის მფლობელის (ხელმოწერის) ვინაობას და იმავდროულად ადასტურებს, რომ ხელმოწერის მფლობელი ზუსტად ის პირია, ვინც მითითებულია ციფრული ხელმოწერის სერტიფიკატში. გარდა ამისა, იგი შესაძლოა შეიცავდეს სხვა აუცილებელ ინფორმაციას (მაგ.: მოქმედების ვადა, შეზღუდვები დასაღები გარიგებების მიმართ და სხვა).

სერტიფიკატის საერთაშორისოდ აღიარებულ განმარტებას იძლევა UNCITRAL, რომლის მიხედვით „სერტიფიკატი“ ნიშნავს მონაცემთა გზავნილს ან სხვა ჩანაწერს, რომელიც ადასტურებს კავშირს ხელმოწერასა და „ხელმოწერის შექმნის მონაცემებს“ შორის.

ელექტრონული კომუნიკაციისა და იდენტიფიკაციის პროცესის უსაფრთხოებისათვის საჭირო გახდა დამატებით მესამე პირის არსებობა, რომელიც უზრუნველყოფს ელექტრონულ კომუნიკაციებში ხელმოწერის

ვინაობის წინასწარ შემოწმებას. ასეთად გვევლინება კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის დამამზადებელი, იგივე სერტიფიკატის გამცემი პირი. მაგალითად, ქართულ რეალობაში - „ციფრული მმართველობის სააგენტო“. იგი წარმოადგენს ტექნიკურად და პროგრამულად აღჭურვილ სუბიექტს, რომელიც დაკვეთის საფუძველზე ამზადებს ციფრულ ხელმოწერას (მასთან ერთად გასაღების წყვილს) და გამოსცემს სერტიფიკატს, რომლითაც აცხადებს, რომ დამზადებული გასაღებების წყვილი ეკუთვნის მხოლოდ სერტიფიკატის მფლობელს (ხელმომწერს). ამით ციფრული ხელმოწერის დამამზადებელი იმავდროულად ამოწმებს და შესაბამისად ადასტურებს სერტიფიკატის მფლობელის ვინაობას.

როგორც წესი, ციფრული ხელმოწერის პროცესი მოიცავს სამ ალგორითმს: გასაღების გენერაცია (დახურული გასაღების შექმნა შესაბამის ღია გასაღებთან ერთად); ხელმოწერა (ხელმოწერა დახურული გასაღების მიღების შემდეგ); ვერიფიკაცია/შემოწმება (მოწმდება ჩანაწერის ნამდვილობა, ხელმოწერასა და ღია გასაღებთან ერთად). [26]

კრიპტოგრაფიული ალგორითმების გამოყენებით ხელმოწერის განმეორებით შექმნა შეუძლებელია მის დახურულ გასაღებზე წვდომის გარეშე. ასიმეტრიული კრიპტოგრაფიის გამოყენებისას, როგორც წესი, საჭირო არ არის დაცული არხების გამოყენება.

ევროკავშირის დირექტივისა და მსოფლიო მასშტაბით მიღებული კანონმდებლობის მოთხოვნის მიხედვით, მხოლოდ სერტიფიკატზე დამყარებული ციფრული ხელმოწერა წარმოადგენს სველი ხელმოწერის შემცვლელს და ვერცერთი სხვა ელექტრონული ხელმოწერის ტიპი ვერ ჩაანაცვლებს მას. შესაბამისად, მხოლოდ ციფრული ხელმოწერით დადასტურებული ელექტრონული დოკუმენტი უთანაბრდება კანონით დადგენილ წერილობით ფორმას.

ელექტრონული ხელმოწერის შესაქმნელად მსოფლიო მასშტაბით ყველაზე გამოყენებადი პროგრამული უზრუნველყოფაა - DocuSign და Adobe Sign (ადრე ნაცნობი, როგორც EchoSign). აღნიშნული ელექტრონული პლატფორმების გამოყენება ჩვეულებრივ ყოველდღიურობადაა ქცეული.

ისინი გვთავაზობენ ელექტრონული ფოსტის გამოყენებით დოკუმენტების იმგვარად გაცვლას, რომ მათზე ხორციელდება ელექტრონული ხელმოწერა და ამასთანავე პროგრამაში ინახება ინფორმაცია (ე.წ. საკონტროლო ჟურნალი) და რჩება ელექტრონული კვალი. „საკონტროლო ჟურნალი“ არის ელექტრონული ხელმოწერის სერვისის მიერ შენახული ციფრული ჩანაწერები, რომლებიც, სხვა საკითხებთან ერთად, განსაზღვრავს დოკუმენტის გაგზავნის, გახსნისა და ხელმოწერის დროს, აგრეთვე ხელმომწერთა სახელებს, ელექტრონული ფოსტის მისამართებს და ხელმოწერის უნიკალურ იდენტიფიკატორებს. ასევე შეიძლება შეიცავდეს ჩანაწერებს IP მისამართების ან კომპიუტერის ID-ს, რაც საშუალებას იძლევა საჭიროებისას ინახოს, თუ როდის და სად გაიხსნა და ხელი მოეწერა დოკუმენტს.

იურიდიული თვალსაზრისით, სასამართლო მტკიცებულებად გამოსადეგი ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია სწორედ „საკონტროლო ჟურნალია“. ის შეიძლება გამოყენებულ იქნას სასამართლოში დოკუმენტების რეგისტრაციისა და მიწოდების გარემოებების დასადგენად.

საქართველოში კერძო სექტორი და კერძო პირები აქტიურად იყენებენ DocuSign პლატფორმას.

საქართველოში 2021 წელს შეიქმნა ელექტრონული ხელმოწერის პლატფორმა Signify. Signify NGT ჯგუფის შვილობილი კომპანიაა. პლატფორმა დოკუმენტის სრულად გაციფრულების საშუალებას იძლევა მისი შექმნიდან ხელმოწერამდე და არქივირებამდე. ევროკავშირის რეგულაციების შესაბამისად დაცულია უსაფრთხოების სტანდარტები. ელექტრონული ხელმოწერის განსახორციელებლად გამოიყენება პირად ელექტრონული ფოსტაზე დოკუმენტის გადაგზავნის მეთოდი. ამ დროისათვის Signify პლატფორმაზე გაწევრიანებულია 1000 ორგანიზაციაზე მეტი.[27]

2.2. სხვადასხვა სახის ელექტრონული ხელმოწერის გაყალბება

დაცულობის მაღალი დონის მიუხედავად, მსოფლიო პრაქტიკაში, ასიმეტრიული კრიპტოგრაფიის მეთოდით შექმნილი ე.წ. „გასაღებების წყვილის“ გატეხვის/გაყალბების არაერთ მცდელობას ჰქონია ადგილი.

მთავარი დახურული დასაღების უსაფრთხოების დაცვაა, რომელიც ძირითადად პერსონალურ კომპიუტერში ინახება. საყურადღებო თვით ამ კომპიუტერის უსაფრთხოების დაცვაა. პერსონალურ კომპიუტერზე მხოლოდ პროგრამული უზრუნველყოფით დაცული დახურული გასაღების კოპირება მარტივია, ხოლო სისტემის გატეხვის აღმოჩენა რთული. არსებობს ვერსია, სადაც დახურული გასაღებების შენახვა ხდება სმარტ-ბარათზე. ეს უფრო უსაფრთხოა, ვიდრე წინა შემთხვევა. ბარათის მოპარვისას გამყალბებელს სჭირდება ხელმოწერის პირადი საიდენტიფიკაციო ნომერი ან PIN კოდი, რათა მოახერხოს ბარათზე არსებული დახურული ხელმოწერით სარგებლობა. მისი მოპარვის შემთხვევის აღმოჩენა და შესაბამისი სერტიფიკატის გაუქმება მარტივია.

ელექტრონული ხელმოწერა შეიძლება გულისხმობდეს ბიომეტრიულ „ხელმოწერებს“. ასეთ ხელმოწერებში გამოიყენება დოკუმენტში ბიომეტრიული მონაცემების დამაგრების მეთოდი, რაც ამ ტიპის ხელმოწერის მაღალ სანდოობას განაპირობებს. ბიომეტრიული ხელმოწერები მოიცავს თითის ანაბეჭდებს, ხელის გეომეტრიას (თითის სიგრძე და ხელის გულის ზომა), თვალის ფერადი გარსის ნიმუშებს, ხმის მახასიათებლებს ან თუნდაც თვალის ბადურის ნიმუშებს. ამ მონაცემების შეგროვება ხორციელდება გარკვეული სახის ელექტრონული სენსორების გამოყენებით. ვინაიდან თითოეული ზემოთ ხსენებული მონაცემი უნიკალურია, შესაბამისად მათი გამოყენება ელექტრონული ხელმოწერის რანგში - იძლევა ხარისხობრივად სრულიად განსხვავებული და ავთენტურობის მაღალი დონის ხელმოწერის განხორციელების შესაძლებლობას. [28]

მიუხედავად იმისა, რომ ბიომეტრიული მონაცემი უცვლელია, ხოლო მისი გატეხვისა და გაყალბების მცდელობა მას სრულიად გამოუსადეგარს ხდის, ბიომეტრიული მონაცემებით შექმნილი ელექტრონული ხელმოწერის გაყალბების ალბათობა მაინც არსებობს „მოტყუების“ გზით. ის მაინც ერთ-ერთი ყველაზე სანდო ხელმოწერაა პიროვნების ავთენტურობის დასადგენად და შესაბამისად სანდოობის მაღალი დონით სარგებლობს.

მსოფლიო მასშტაბით არსებობს ბიომეტრიული მონაცემების გაყალ-

ბებისა და „მოტყუების“ არაერთი მაგალითი. მათ შორისაა „მოტყუების“ მიზნით ჩატარებული ექსპერიმენტები:

1. ხმის გაყალბების შემთხვევაში - სატელეფონო მოსმენის გზით მოპოვებული ხმის ნიმუშების გამოყენების შედეგად მიღებული ხმა;
2. თითის ანაბეჭდის შემთხვევაში - იაპონელი მეცნიერისა და მისი რამოდენიმე მაგისტრანტის ექსპერიმენტი, როდესაც მარმელადის, გელის და მცირედი გამომგონებლობის გამოყენებით შეძლეს ბაზარზე არსებული ყველა თითის ანაბეჭდის წამკითხველი მოწყობილობის მოტყუება. [29]
3. რაც შეეხება სახის ბიომეტრიის გაყალბებას - 2017 წელს ვიეტნამელმა მკვლევარებმა წარმატებული დემონსტრირება მოახდინეს იმისა, თუ როგორ შეძლეს სპეციალურად დამზადებული სახის ნიღბის გამოყენებით iPhone X-ის Apple's Face ID პროგრამის მოტყუება. [30]

როგორც ირკვევა, მიუხედავად ციფრული ტექნოლოგიებისა და ელექტრონული ხელმოწერის განვითარების კუთხით მსოფლიოში მიღწეული უდიდესი პროგრესისა, ელექტრონული ხელმოწერის ნებისმიერი ფორმის გამოყენებისას მაინც დგას მისი ავთენტურობის პრობლემა.

2.3. ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მოწყობილობის მინიმალური სტანდარტები

ევროკავშირის რეგულაციის (EU) No 910/2014 (eIDAS) განმარტების თანახმად, ელექტრონული ხელმოწერის მოწყობილობა არის პროგრამული უზრუნველყოფა ან აპარატურა, რომელიც კონფიგურირებულია ელექტრონული ხელმოწერის შესაქმნელად. იმისათვის, რომ ასეთი მოწყობილობა ჩაითვალოს უსაფრთხო ხელმოწერის შექმნის მოწყობილობად (SSCD), უნდა შეესაბამებოდეს eIDAS-ის II დანართის მკაცრ მოთხოვნებს. რაც გულისხმობს, რომ მან შესაბამისი ტექნიკური და პროცედურული საშუალებებით უნდა შეინარჩუნოს ხელმოწერისას გასაღების კონფიდენციალობა, რომელიც გამოყენებული იქნება ელექტრონული ხელმოწერის შესაქმნელად. არასანქცირებული გამოყენების თავიდან ასაცილებლად მონაცემები,

რომლებიც გამოიყენება ელექტრონული ხელმოწერის შესაქმნელად, უნდა იყოს უნიკალური და ექვემდებარებოდეს მომხმარებლის ექსკლუზიურ კონტროლს. ასევე, უნდა გამორიცხავდეს გამოყენებული მონაცემების კოპირებისა და გაყალბების შესაძლებლობას.[31]

უსაფრთხო ხელმოწერის შექმნის მოწყობილობა უნდა უზრუნველყოფდეს ხელმოწერის თანმხლები მონაცემების უცვლელობას, ასევე, რაიმე წინააღმდეგობის არსებობას იმ შემთხვევაში, როცა ხელმომწერს ხელმოწერამდე სურს მათი გაცნობა.[32]

ევროკავშირის დირექტივის დანართი III-დან გამომდინარე, „უსაფრთხო ხელმოწერის შექმნის მოწყობილობის“ მინიმალური ტექნიკური და პროცედურული მოთხოვნებია:

ხელმოწერის შექმნის მონაცემები, რომლებიც გამოიყენება ხელმოწერის გენერირებისთვის, წარმოიქმნას მხოლოდ ერთხელ, შეუძლებელი იყოს ორ მომხმარებელს ჰქონდეს წვდომა ერთსა და იმავე გასაღების წყვილზე, რაც უზრუნველყოფს კონფიდენციალურობის დაცვას და შეუძლებელი იყოს დახურული გასაღების მეორედ შექმნა ან/და კოპირება;

ხელმოწერის შექმნის მონაცემების მოპოვება იყოს შეუძლებელი და მიღებული ხელმოწერა გაყალბებისგან დაცული იქნეს დროის არსებული მომენტისთვის გამოყენებული მოწინავე ტექნოლოგიებით;

შეუძლებელი იყოს ღია გასაღების მეშვეობით დახურული გასაღების გამოთვლა. ეს პირობა, მინიმუმ, შენარჩუნებულ იქნეს შესაბამისი სერტიფიკატის იურიდიული ძალის არსებობის პერიოდში;

ხელმოწერის გენერირებისთვის გამოყენებული მონაცემები საიმედოდ იქნება დაცული, რათა ზიანი არ მიადგეს ხელმომწერის ინტერესებს. აღნიშნული გულისხმობს დახურული გასაღების დაცვას მოსალოდნელი შეტევებისაგან;

ხელმოწერის შექმნის მოწყობილობა უნდა უზრუნველყოფდეს ხელმოსაწერი მონაცემების უცვლელობას და ამასთანავე, ხელმომწერი პირისათვის ხელმოწერამდე მონაცემების წარდგენის შესაძლებლობას.

გამოყენებული მოწყობილობა არსებული პროგრამული უზრუნ-

ველყოფით უნდა წარმოადგენდეს ერთ მთლიანობას.

უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, ხელმოწერისთვის რეკომენდირებულია მხოლოდ PDF ფაილის გამოყენება, რომელიც ხელმოწერის შემდეგ გადადის ელექტრონულ არქივში. ამასთანავე, დოკუმენტს უნდა ჰქონდეს „დროის აღნიშვნის“, გრძელვადიანი არქივირებისა და ნებისმიერ პერიოდში დოკუმენტის/ელექტრონული ხელმოწერის ნამდვილობის შემოწმებისა და ექსპერტიზის შესაძლებლობა.

ელექტრონული ხელმოწერის შექმნის ერთერთი საშუალება ხელმოწერის დაფა ე. წ. Sign pad-ია. ამ მეთოდით შესრულებული ელექტრონული ხელმოწერა ეყრდნობა ბიომეტრიულ მონაცემებს და წარმოადგენს სტატიკური და დინამიური მონაცემების ერთობლიობას, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ხელმოწერის იდენტიფიცირება.

ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მოწყობილობა უნდა უზრუნველყოფდეს ექსპერტიზის ჩასატარებლად საკმარისი ბიომეტრიული მონაცემის მიღებას.

ბიომეტრიული მონაცემები ისე უკავშირდებოდეს ხელმოსაწერ მონაცემებს, რომ შესაძლებელი იყოს მათში ნებისმიერი ცვლილების დაფიქსირება და დაშიფრული ბიომეტრიული მონაცემების დაცულობა უნდა უზრუნველყოფდეს მათ დემიფრაციას.

ბიომეტრიული ელექტრონული ხელმოწერის შესრულება უნდა ეფუძნებოდეს ასიმეტრიული კრიპტოგრაფიის პრინციპებს.

ელექტრონული ხელმოწერის განხორციელებისას მნიშვნელოვანია დროის აღნიშვნა, რომელიც წარმოადგენს მტკიცებულებას, რომ ელექტრონული მონაცემები არსებობდა დროის მოცემულ მონაკვეთში. ელექტრონული სერტიფიკატის გაუქმების შემთხვევაში დროის აღნიშვნა საშუალებას იძლევა განისაზღვროს ხელმოწერა შესრულდა თუ არა სერტიფიკატის მოქმედების პერიოდში.

თავი 3. ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მოწყობილობის ისტორია და დღევანდელი მდგომარეობა

მსოფლიო მასშტაბით ელექტრონული ხელმოწერის შექმნის ერთ-ერთი გავრცელებული მეთოდია მისი შექმნა Sign Pad-ის გამოყენებით. ამ მოცემულობის გათვალისწინებით განვიხილეთ ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მოწყობილობების ევოლუცია. ასევე, შევისწავლეთ და გავანალიზეთ სენსორული მოწყობილობების მიმწოდებელი ლიდერი მწარმოებლების მიერ შექმნილი, დღეს მსოფლიო ბაზარზე ყველაზე მოთხოვნადი, Sign Pad-ების ტექნიკური მონაცემები.

3.1. ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მოწყობილობის ევოლუცია

თანამედროვე პლანშეტების პირველი წინამორბედი პროტოტიპი კომპიუტერული ეპოქის გაჩენამდე დიდი ხნით ადრე გამოჩნდა. ის 1888 წელს ცნობილმა ამერიკელმა გამომგონებელმა ილაიშა გრემ დააპატენტა.[33]

გრემის მიერ შექმნილ პლანშეტს „ტელეგრაფი“ (teleautograph) ერქვა. მომხმარებელი სპეციალურ ელექტრომაგიდაზე ქმნიდა ნახატს. მაგიდისა და „კალმის“ შეხების წერტილები გარდაიქმნებოდა ელექტრონულ იმპულსებად და გადაეცემოდა მიმღებ სადგურს. ტელეგრაფი პირველ რიგში განკუთვნილი იყო დისტანციაზე არსებული მნიშვნელოვანი დოკუმენტების ხელმოსაწერად. ამერიკის შეერთებულ შტატებში ტელეგრაფი გამოიყენებოდა 1960-იანი წლების ბოლომდე.



„პლანშეტი“, თანამედროვე გაგებით, ინჟინერ ტომ დაიმონდის მიერ 1957 წელს შეიქმნა. მისი სახელწოდება იყო სტილატორი Stylator (stylus translator). სისტემის მუშაობის საფუძველს წარმოადგენდა ჩვეულებრივი მართკუთხა კოორდინატთა სისტემა. პროგრამა ნულოვან წერტილთან მიმართებაში აღიქვავდა სტილუსის ყოველ ახალ შეხებას, შედეგებს ინახავდა კომპიუტერის მეხსიერებაში. ამ მოწყობილობას

პრაქტიკული გამოყენება არ ჰქონია.[34]

შემდეგი ეტაპი იყო ციფრულ ფორმატში გადაყვანა ე.წ. დიგიტალიზაცია.



დღეს ტერმინი „ციფრული პლანშეტი“ მოიცავს მოწყობილობების კონკრეტულ ჯგუფს, რომელსაც ჯერ კიდევ 20 წლის წინ მოიხსენიებდნენ სახელწოდებით - „დიგიტაიზერი“.

ამ ელექტრონულ მოწყობილობებში ერთერთი ყველაზე გავრცელებული და პოპულარული ტაბლეტი

1964 წელს გამოუშვა კომპანია „რანდ“-მა (RAND) სახელწოდებით რანდ ტაბლეტი (RAND Tablet / Grafacon, graphic converter). ის საკმაოდ კომფორტული იყო და იმდენად იაფი, რომ სხვადასხვა უნივერსიტეტს, ლაბორატორიასა და ინსტიტუტს შეძლებოდათ მისი შეძენა.[35]

პლანშეტის ამ „წინაპრის“ ეკრანის ქვეშ განთავსებული იყო მავთულების მკვრივი ქსელი. მათ და სტილუსს შორის წარმოიქმნებოდა მაგნიტური ურთიერთქმედება და მიღებული სიგნალები მიეწოდებოდა კომპიუტერის მეხსიერებას. ეს იყო პირველი ე.წ. ელექტრონული პლანშეტი. „RAND Tablet“ იყო ძალიან წარმატებული მოდელი და გამოიყენებოდა სამოციანი წლების ბოლომდე.

1981 წელს ამერიკელმა მუსიკოსმა ტოდ რანდგრენმა მოიფიქრა და დააპატენტა ტექნოლოგია, რომელიც საშუალებას იძლეოდა შექმნილიყო ფერადი პლანშეტი. მან პატენტი მიყიდა კომპანია „Apple“-ს. ეფლის ნიშნის ქვეშ პლანშეტმა მიიღო დასახელება „Utopia Graphics Tablet System“.

დაახლოებით ამავე დროს გამოჩნდა სხვა ტექნოლოგია, რომელიც აფიქსირებდა სტილუსის გადაადგილებას. ეს იყო აკუსტიკური პლანშეტი. ამ ტიპის პლანშეტის ეკრანის ქვეშ განლაგებული იყო მიკროფონების ქსელი, ხოლო სტილუსი ადამიანის ყურისათვის აღუქმელ უწყვეტ ხმას გამოსცემდა. სწორედ პლანშეტის მიკროფონების მიერ მიღებული ხმა „ხატავდა“ ეკრანზე გამოსახულებას. პირველი აკუსტიკური პლანშეტი დაპატენტდა 1971 წელს კომპანია „ScienceAccessoriesCorporation“-ის



ინჟინრების მიერ. სისტემა საკმაოდ ძვირადღირებული იყო, ხოლო პლანშეტის მიკროფონები ზედმეტად მგრძობიარენი იყვნენ სხვა ხმაურის მიმართ.[36]


1970-1980 წლებში ყველაზე პოპულარული იყო კომპანია „SummagraphicsCorp“-ის მიერ წარმოებული პლანშეტები ID (IntelligentDigitizer) და BitPad.

1970-1980 იანი წლების მიჯნაზე Apple-მა BitPad-ისგან იყიდა „Summagraphics“-ის ბოლო ვერსია, დაამუშავა და თავისი მარკის ქვეშ გამოუშვა ახალი „Apple Graphics Tablet“-ის სახელწოდებით ცნობილი პლანშეტი.

ეს პლანშეტები იყენებდნენ მაგნიტოსტრიქციის ფუნქციას. ეკრანის ქვეშ მდებარე თხელი მავთულები თავის პარამეტრებს იცვლიდნენ მაგნიტიზირებული სტილუსის ზეგავლენის ქვეშ. [37]

ამ დროისათვის ინჟინრებმა გააცნობიერეს, რომ არსებობდა ათასობით ტექნოლოგია, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელი იქნებოდა სტილუსის მოძრაობის წასაკითხად.

1984 წელს გამოჩნდა პირველი გრაფიკული პლანშეტი, რომელიც მომხმარებლის ფართო ფენებისთვის იყო ხელმისაწვდომი. ეს იყო „KoalaPad“. პლანშეტი მუშაობდა რვაბიტთან პერსონალურ კომპიუტერთან ერთად და მუშაობდა „Graphics Exhibitor“ პროგრამაზე, რომელიც საშუა-



ლებას იძლეოდა შენახული სურათების გამოყენებით ეკრანზე მოეწყობოთ სლაიდ-შოუ.

„KoalaPad“ მენიუს პუნქტებზე გადაადგილება შესაძლებელი იყო სტილუსის გარეშე, თითების მეშვეობით. ამ გზით ეს პლანშეტი გახდა დღევანდელი სენსორული ეკრანების წინამორბედი.

შემდეგი წლების განმავლობაში არაერთმა ცნობილმა თუ ნაკლებად სახელოვანმა კომპანიამ გამოუშვა პადების საკუთარი ვერსია.

1980-იანი წლებიდან ელექტრონული პადების მწარმოებლებს შორის



მსოფლიო ლიდერის პოზიცია დაიკავა იაპონურმა კომპანია - „Wacom“-მა. მისი პირველი უსადენო „კალმიანი“ პლანშეტი შეიქმნა 1984 წელს.[38]

ამ დრომდე გამოშვებული ყველა პლანშეტი, ელექტრომაგნიტური იქნებოდა თუ ელექტროსტატიკური (სადაც ელექტრონული „კალმის“ დაწოლის ქვეშ იცვლებოდა ელექტრული პოტენციალი), - აუცილებლად მოითხოვდა კვების წყაროს, როგორც ეკრანისათვის, ისე „კალმისათვის“.

„Wacom“-ის მიერ დანერგილი ტექნოლოგია ეფუძნებოდა ელექტრომაგნიტური რეზონანსის ფენომენს. ამ შემთხვევაში ქსელს შეეძლო არა მხოლოდ სიგნალის მიღება, არამედ გამოსახულების გადაცემა მონიტორზე. ინჟინრებმა სტილუსის ენერგომომარაგება დაუკავშირეს უშუალოდ ეკრანს, რაც მოსახერხებლობის თვალსაზრისით გახდა დიდი წინგაგადგმული ნაბიჯი.

ასევე „Wacom“-ის ინჟინერების შემდგომ ინიციატივას წარმოადგენდა „ფრთა“ („კალამი“), რომლებითაც შესაძლებელი იყო დაწოლის ძალის აღქმა.

ამ გზით პლანშეტზე შესრულებული სამუშაო მაქსიმალურად მიახლოებული იყო კალმით ქაღალდზე შესრულებულ ნამუშევართან. გარდა ამისა „Wacom“-ის პლანშეტები აღიქვამენ კალმის დახრის კუთხეს ეკრანთან მიმართებაში.

ამრიგად, მუშაობის პრინციპისა და ტექნოლოგიის მიხედვით არსებობს პლანშეტის რამოდენიმე ტიპი:

ელექტროსტატიკური პლანშეტი, რომელშიც ქსელის (ზადის) ელექტრონული პოტენციალის ცვლილება აღიქმება კალმის დაწოლის ქვეშ.

ელექტრომაგნიტურ პლანშეტში „ფრთა“ ასხივებს ელექტრომაგნიტურ ტალღებს, ხოლო ქსელი (ზადე) ანხორციელებს მიმღების ფუნქციას.

აღნიშნულ ორივე შემთხვევაში „ფრთას“ უნდა მიეწოდებოდეს ელექტროენერგია.

ყველაზე თანამედროვე (მაგ.: „Wacom“-ის მოდელი) ელექტრომაგნიტო რეზონანსზე მომუშავე პლანშეტია, რომლის ქსელი (ზადე) ერთდროულად ასხივებს და იღებს სიგნალს. ქსელის მიერ გამოსხივებული ელექტრომაგნიტური სიგნალი გამოიყენება „ფრთის“ კვების წყაროდ, ეს უკანასკნელი კი საპასუხო სიგნალს უგზავნის პლანშეტს. საპასუხო სიგნალი არ არის „ტალღის“ უბრალო ასახვა ან გამეორება. ის აინდენტიფიცირებს კონკრეტულ „ფრთას“ და შეიცავს სრულებით ახალ, დამუშავებულ ინფორმაციას „ფრთის“ დაწოლის ძალის და კოორდინატების შესახებ, ასევე, ინფორმაციას იმაზე, მუშაობისას გამოიყენება საწერი/სამუშაო წვერი თუ საშლელი და სხვა.

3.2. Sign Pads - შედარებითი ანალიზი

კვლევის ფარგლებში განხილულია ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მოწყობილობის არაერთი მწარმოებლის მოდელი. ტექნიკური შესაძლებლობისა და მონაცემების საილუსტრაციოდ შერჩეულ იქნა მსოფლიო რეიტინგებით ლიდერი მწარმოებლების Topaz-ისა და Wacom-ის ოთხი მოდელი და საქართველოში, საჯარო სამსახურის პრაქტიკაში დანერგილი ორი მწარმოებლის Signotec-ისა და Step Over-ის ოთხი მოდელი. გამოკვეთილია ის ძირითადი პარამეტრები, რომლებსაც ეფუძნება Sign Pad-ების ფუნქციონირება და რასაც მომხმარებელი მისი შერჩევისას აქცევს ყურადღებას.

შედარების განსახორციელებლად შერჩეულია შემდეგი მონაცემები: პადის ზომები, სენსორის, მონიტორის მონაცემები, კალმის დაწოლის ძალის მონაცემები, დაცვის და უსაფრთხოების კომპონენტი, ინტერფეისი, ადაპტირებული ოპერატიული სისტემები.

პადების განხილული მონაცემები არსებითად მსგავსია. განსხვავებულია ზედაპირის ზომის, სენსორის მგრძობელობის, კალმის დაწოლის აქტის, ეკრანის ფერის, მონოქრომულობის, კალმის მოდელის, ინტეგრირებული ოპერატიული სისტემების მრავალფეროვნების, კვების წყაროს საჭიროების, ეკრანის გამძლეობის (მაგ.: ნაწრთობი მინა), სხვადასხვა მოწყობილობებთან დაკავშირების შესაძლებლობის, ეკრანზე პროგრამული

ლილაკების განთავსების მეთოდების, შესრულებული ხელმოწერების შენახვის რაოდენობის მიხედვით და სხვა.

გამოშვების თარიღების მიხედვით, შედარებით ძველსა და ახალ მოდელს შორის განსხვავებულია ხელმოწერისა და ხელმოსაწერი დოკუმენტის ხილვადობასთან დაკავშირებული პარამეტრები. ასევე, დისპლეიზე ფუნქციური ლილაკებისა და ხელმოწერილ დოკუმენტებზე ფაილების მიმაგრების შესაძლებლობა.

განვიხილეთ დღეისათვის მსოფლიო მასშტაბით ყველაზე მოთხოვნილი მწარმოებლების მიერ შექმნილი Sign Pad-ის რამოდენიმე მოდელი:

Step Over, naturaSign Pad Economy [39] (იხ.დანართი N01)



Dimensions	6.42 inch x 5.16 inch x 0.37 inch 16.3 cm x 13.1 cm x 0.95 cm
Sensor / Monitor	3.74 inch x 2.09 inch 9.5 cm x 5.3 cm 320 x 181 Pixels (native 320 x 160 Pixels)
Signature capture	500 4D Coordinates per second (X, Y, Pressure and Time) – internal sampling time of over 7,000 captures/second, 512 pressure levels, no need for a special pen
Security	Up to RSA 4096 Bit Signature capturing device, Pad-internal encryption of the biometric data with notarised, Public-Key (up to RSA 4096 Bit)
Interface	USB 2.0 and/or 1.1, HID (no driver required)
Operating system	Windows10, Windows 7, Windows 8, and Mac OS 10.9 and 10.10 with VMware Fusion or webSignatureOffice.

Step Over, duraSign Pad US 10.0 [40] (იხ.დანართი N02)



Dimensions	11.4 inch x 8.65 inch x 0.81 inch 29 cm x 22 cm x 2.1 cm
Sensor / Monitor	8.82 x 4.98 inch 22.41 x 12.67 cm 1024 x 600 Pixels with 64,000 Colors
Signature capture	330 4D coordinates per second (X, Y, pressure and time history) - captured X and Y coordinates X=2560 Y=2560 dpi, 2048 pressure levels, special stylus (duraPen 2) required
Security	Up to RSA 4096-bit signature capturing device, Pad-internal encryption of the biometric data with notarised, Public-Key (up to RSA 4096-bit)
Interface	USB 2.0 and/or 1.1, HID (no driver required)
Operating system	Win10, Win7, Win8, Mac OS 10.9 and 10.10 via VMware Fusion or our webSignatureOffice.

Signotec, Sigma LITE [41] (იხ.დანიშნულება N03)



Dimensions	4" (10,4 cm) large writing surface
Sensor / Monitor	Very high sensor resolution of 2.214 x 1.130 ppi. Extremely robust surface without display
Signature capture	Transmission rate of the 4D signature data at 500 Hz. Batteryless pen with special spring-loaded refill. Battery-less pen with special, spring-loaded lead (changeable).
Security	Special signing surface for precise signature capturing. Signature capturing with 500 Hz 4D samples and 1.024 pressure stages (x, y, z, t).. RSA encryption of the handwriting characteristics in the pad, Internal secure signature creation device. Supplied with protective bag for safe transport
Interface	Only one USB cable required for connection, HID-USB and approx. 2 m USB-cable
Operating system	Windows 7 and newer, Windows Server 2012 and newer, 32- and 64-Bit, Linux

Signotec, Delta [42] (იხ.დანიშნულება N04)



Dimensions	10.1" (25.6 cm) colour display with a resolution of 1,280 x 800 pixels
Sensor / Monitor	Resolution of the sensor of 1.264 x 1.292 dpi. Batteryless pen with 2,048 pressure levels
Signature capture	Transmission rate of the 4D biometric data at 500 Hz. Ergonomic pen holder. Batteryless pen with 2,048 pressure levels. Recording of the pen movement up to 15 mm height
Security	RSA-Encryption unit inside the pad. Signature capturing with 500 Hz 4D samples and 2.048 pressure stages (x, y, z, t).
Interface	Only one USB cable for connection. Optional Ethernet port for network integration
Operating system	Windows 7 and newer, Windows Server 2012 and newer, 32- and 64-Bit, Linux

Wacom, STU-540[43] (იხ.დანართი N05)



Dimensions	6.41 x 6.18 x 0.39 inches / 163 x 157 x 10 mm
Sensor / Monitor	2540 lpi / 0.01 mm/pt (non-interpolated). Signature pad, cordless and battery-free pen, USB cable (9.84 ft / 3 m), quick start guide, pen tether (nylon fiber, 19.7 inch / 50 cm),
Signature capture	using the digital pen with 1024 levels of pressure sensitivity
Security	AES256 / RSA2048 encryption
Interface	USB cable locking system. Real time image capture without data storage. Internal memory for images only
Operating system	Compatible with Windows signature / eSign software and Wacom's sign pro PDF and sign pro PDF Plug-in for Adobe Acrobat. For Windows, C++, .Net and Java development libraries available for developers (contact us for library and software availability in other development languages and platforms)

Wacom, STU-430 [44] (იხ.დანართი N06)



Dimensions	6.35 x 6.86 x 0.42 inches / 162 x 174 x 11 mm
Sensor / Monitor	F-STN Positive Reflective, Tempered glass, 320 x 200 pixels
Signature capture	Electromagnetic Resonance (EMR), 3.77 x 2.36 inches / 96 x 60 mm, 2540 lpi / 0.01 mm/pt (non-interpolated), 200 points per second (non-interpolated), 1024 (non-interpolated)
Security	AES256 / RSA 2048
Interface	USB cable locking system, Real time signature capture without internal pad memory
Operating system	Compatible with Windows signature / eSign software and Wacom's sign pro PDF and sign pro PDF Plug-in for Adobe Acrobat. For Windows, C++, .Net and Java development libraries available for developers (contact us for library and software availability in other development languages and platforms)

Topaz, TM-LBK460 [45] (იხ.დანართი N07)



Dimensions	6.0" x 3.8" x 1.4" 152mm x 95mm x 36mm
Sensor / Monitor	3rd-generation touch-screen Rated to 1 million signatures,
Signature capture	Create applications to capture/embed eSignatures in digital signature fields in PDF documents.
Security	High-quality biometric and forensic capture
Interface	Virtual Serial via USB Attached MSR Citrix Ready
Operating system	Supports Firefox, Chrome, Edge, and Opera under Windows. Can be used locally or remotely. Integrate sig capture functionality into a web app using Firefox, Chrome, Edge, IE 11+, and Opera. Incorporate eSignatures into existing document-processing work flows.

Topaz, SigGem Color 5.7 T-LBK57GC [46] (იხ.დანართი N08)



Dimensions	7.2" x 6.6" x 2.1" sloping 180mm x 160mm x 54mm
Sensor / Monitor	Tempered glass surface Rated to 2 million signatures High-performance E/M digitizer
Signature capture	Create applications to capture/embed eSignatures in digital signature fields in PDF documents.
Security	High-quality biometric and forensic capture
Interface	Dual Serial/Virtual Serial via USB Citrix Ready
Operating system	Supports Firefox, Chrome, Edge, and Opera under Windows. Can be used locally or remotely. Integrate sig capture functionality into a web app using Firefox, Chrome, Edge, IE 11+, and Opera. Incorporate eSignatures into existing document-processing work flows.

რაც შეეხება პალების განმასხვავებელ ფუნქციებს:

კომპანია Wacom-ის „Wacom feel IT“ ტექნოლოგია უზრუნველყოფს:

1. პლანშეტის ეკრანის მიერ „კალმის“ ისეთი ხარისხით აღქმას, რომლის მეშვეობით წერისას მიიღება საწერკალმით/ვანქრით წერის ბუნებრივი ეფექტი.

2. კალმის მაღალი სიზუსტე უზრუნველყოფს პადზე შესრულებული ხელმოწერის ბიომეტრიული სიზუსტით „დაჭერას“,

3. პადის უნიკალური იდენტიფიკატორი საშუალებას იძლევა ზუსტად დადგინდეს მოწყობილობა, რომლის გამოყენებითაც განხორციელდა ხელმოწერა.

4. სწორედ უსადენო „კალამი“ და მისი შესაძლებლობების მეტად განვითარება წარმოადგენს კომპანიის ძირითად მიზანს.

სხვა მწარმოებლებისაგან განსხვავდება კომპანია Topaz-ის პროდუქტი, რომელიც ერთ-ერთი გამორჩეულია. მისი განმასხვავებელი მახასიათებელია ხელმოწერის დადასტურების პროგრამული უზრუნველყოფების არსებობა. ეს პროგრამებია SigCompare™ და SigAnalyze.

პროგრამა SigCompare™ მომენტალურად ახდენს ელექტრონული ხელმოწერების შესწავლას და დადასტურებას ნიმუშების შექმნის ან შენახვის საჭიროების გარეშე. პროგრამა SigCompare-ის გამოყენებით თანამშრომლებს შეუძლიათ შეადარონ თითოეული მომხმარებლის ხელმოწერა ერთადერთ მოქმედ საკონტროლო ნიმუშს. კომპანია Topaz-ს გააჩნია დაპატენტებული Dynamic Pressure™ კომპონენტი, რომლის გამოყენებითაც კალმის სისქე იცვლება ხელმოწერის სიჩქარის შესაბამისად, რაც ხელმოწერის დინამიკური მახასიათებლებიდან გამომდინარე, იძლევა მისი ზუსტი დადასტურების შესაძლებლობას.

SigAnalyze® არის ხელმოწერის ანალიზის პროგრამა, რომელიც გაუმჯდავნებლობის ხელშეკრულების თანახმად, გამოიყენება საექვო დოკუმენტების ექსპერტიზისას. ამ პროგრამის დანიშნულებას Topaz-ის პადებზე დაფიქსირებული ხელმოწერების ნამდვილობის შესახებ დასკვნების მომზადება წარმოადგენს. პროგრამა SigAnalyze იმავე ძირითადი პრინციპებით ხელმძღვანელობს, რომლებსაც დოკუმენტების ექსპერტები ათეული წლებია იყენებენ.

ეს პროგრამა ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო დოკუმენტების ექსპერტებისთვის ხელმოწერებთან დაკავშირებით მიმდინარე დავების დროს.

თავი 4. ელექტრონული ხელმოწერის დანერგვისა და გავრცელების მაჩვენებლები საქართველოში

მსოფლიო პრაქტიკიდან ნათლად იკვეთება, რომ ელექტრონული ტექნოლოგიების მხრივ მოწინავე ქვეყნებშიც ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის მხრივ პრობლემა გადაუჭრელია და ხშირია სასამართლო დავა მისი ნამდვილობის შესახებ. დღევანდელ საქართველოში ელექტრონული ხელმოწერის დანერგვა-განვითარებისა და ექსპერტიზის საკითხთან ერთად კვლევის ინტერესს წარმოადგენდა კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/შტამპის გავრცელებისა და გამოყენების დონე როგორც საჯარო სამსახურის სისტემაში, ისე კერძო სექტორში. ასევე, ქვეყანაში არსებული სასამართლო დავებისა და ექსპერტიზის პრაქტიკა ამ მიმართულებით.

4.1. მონაცემთა შეგროვების და კვლევის მეთოდოლოგია

საქართველოში კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის გავრცელების მაჩვენებლების სტატისტიკური ანალიზი განხორციელდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ (SDA) მონაცემების საფუძველზე. სტატისტიკურ ანალიზზე დაყრდნობით გამოკვლეული იქნა საქართველოს მაშტაბით კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის გავრცელების მაჩვენებელი. განხორციელდა სამი პერიოდის - 2018, 2019 და 2020 წლების სტატისტიკური მონაცემების ანალიზი და შედარება.

საჯარო სამსახურის სისტემაში კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/შტამპის დანერგვისა და გავრცელების მაჩვენებლის სტატისტიკური ანალიზი განხორციელდა ადგილობრივი თვითმმართველობის მაგალითზე. კერძოდ, „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო“-ს (MSDA) მიერ მოწოდებული მონაცემების საფუძველზე განხორციელდა ოთხი პერიოდის - 2017, 2018, 2019, 2020 წლების სტატისტიკური მონაცემების ანალიზი და შედარება.

საქართველოში კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის

ექსპერტიზის კუთხით ვითარების ანალიზისათვის ინფორმაცია ოფიციალურად გამოვითხოვეთ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტიდან.

საქართველოში კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის სასამართლო პრაქტიკის გასაანალიზებლად ინფორმაცია ოფიციალურად გამოვითხოვეთ თბილისის საქალაქო სასამართლოდან. ამასთანავე, გაანალიზებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები.

ამასთანავე, ახალი მოწყობილობის შექმნისა და დანერგვის საკითხებთან, ამ გზით შექმნილი ელექტრონული ხელმოწერის ავთენტურობასთან და დაცულობასთან დაკავშირებით კონსულტაციები და ინტერვიუები შედგა სხვადასხვა სფეროს მაღალი კლასის პროფესიონალებთან. კერძოდ, შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის გრაფიკული და დოკუმენტების ტექნიკური ექსპერტიზის განყოფილების უფროსთან/მთავარ ექსპერტთან - ქალბატონ მარინა გოგიჩაიშვილთან; კომპანია სოფთლაინ საქართველოს ბიზნეს განვითარების მენეჯერთან, Check Point-ის სერტიფიცირებულ უსაფრთხოების ექსპერტთან - ბატონ გიორგი ღონლაძესთან; კომპანია „ლომსა“-ს (lomsa.com) CTO - ტექნიკურ დირექტორთან - ბატონ გიორგი კურტანიძესთან.

განხორციელებული კვლევა საშუალებას იძლევა განისაზღვროს ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის, გავრცელების, ავთენტურობისა და ექსპერტიზის მიმართულებით არსებული პრობლემები, გაკეთდეს შეფასებები და მოიძებნოს გამოსავალი არსებული მდგომარეობიდან.

4.2. ელექტრონული ხელმოწერის ექსპერტიზის პრაქტიკა საქართველოში

ელექტრონული ხელმოწერის ექსპერტიზის ქართული პრაქტიკის გაცნობის, ელექტრონული ხელმოწერის ექსპერტიზის კრიტერიუმების, არსებული საექსპერტო დასკვნების მოძიების მიზნით და ამ მიმართულებით საქართველოში ზოგადი სურათის მისაღებად ოფიციალურად

მიმართეთ ჩვენს ქვეყანაში ამ დროისათვის არსებულ საექსპერტო ბიურო-თაგან ორ ყველაზე სანდო, ტექნიკურად გამართულ, პროფესიონალებით დაკომპლექტებულ და ავტორიტეტულ ექსპერტიზის ბიუროს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტი არ ახორციელებს ფასიან მომსახურებას, ის მხოლოდ ოპერატიულ-სამძებრო და საგამომიებო სამსახურის მომართვის საფუძველზე უზრუნველყოფს სხვადასხვა მიმართულებით ექსპერტიზის ჩატარებას, მათ მიერ განხორციელებულ ქმედებებში ექსპერტების ჩართვას, საექსპერტო-კრიმინალისტიკური და სპეციალური კვლევების ჩატარებას, მრავალი მიმართულებით ექსპერტიზას და სხვა, რაც განსაზღვრულია „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 სექტემბრის №746 ბრძანებით.[47.1-7]

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი. მისი ფუნქციაა სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლო ექსპერტიზის ჩატარება და შესაბამისი დასკვნის, დასკვნის შედგენის შეუძლებლობის შესახებ აქტის, ცნობის გაცემა, ასევე სასამართლო-საექსპერტო მომსახურების განხორციელება ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე და სხვა.

ის უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს სხვადასხვა სახის ექსპერტიზა, რაც განსაზღვრულია „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N255 დადგენილების საფუძველზე.[48.1-13]

კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე, შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტიდან ოფიციალურად მოვითხოვეთ ისეთი ტიპის ინფორმაცია, როგორცაა: დეპარტამენტში

ჩატარებული ელექტრონული ხელმოწერის ექსპერტიზის, ექსპერტიზის კრიტერიუმებისა და ასეთის არსებობის შემთხვევაში დეპარტამენტის მიერ შედგენილი დასკვნა. (იხ.დანართი 09)

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან ოფიციალურად მოვითხოვეთ შემდეგი ინფორმაცია, როგორცაა: კერძო პირის ან და სახელმწიფო დაწესებულების მიმართვის საფუძველზე ელექტრონული ხელმოწერის ნამდვილობაზე ჩატარებული ექსპერტიზის, ექსპერტიზის კრიტერიუმებისა და ასეთის არსებობის შემთხვევაში ბიუროს მიერ შედგენილი დასკვნა. (იხ.დანართი 10)

საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის პასუხიდან ირკვევა, რომ დეპარტამენტში კვალიფიციურ ელექტრონულ ხელმოწერაზე ექსპერტიზა არ ტარდება.(იხ. დანართი 11)

პირადი გასაუბრებისას დეპარტამენტის შესაბამისმა თანამდებობის პირებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ დღეს მსოფლიო მასშტაბით არსებული ხელმოწერის მოწყობილობები არ შეიცავს ისეთ პარამეტრებს, რომლებიც საშუალებას მისცემდნენ ექსპერტებს განხორციელდეს შესაბამისი ექსპერტიზა, რაც მათი აზრით არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოში ქმნის ელექტრონული ხელმოწერის ავთენტურობის უდიდეს პრობლემას.

რაც შეეხება ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან მიღებულ ინფორმაციას, წერილში ნათქვამია, რომ კომერციული იურიდიული პირის დაკვეთის საფუძველზე (საბანკო დაწესებულება) ბიუროს კომპიუტერული ექსპერტიზის სამმართველოში მომზადდა ექსპერტის დასკვნა, რომელსაც უნდა დაედგინა კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის ნამდვილობა.

ბიურომ განმარტა, რომ ამ სახის მხოლოდ ერთი ექსპერტიზა იყო დანიშნული და რადგანაც საექსპერტო დასკვნა არ წარმოადგენს საჯარო ინფორმაციის მატარებელ დოკუმენტს, მის გადმოცემაზე უარი გვეთქვა.

ამასთანავე, ბიურომ აღნიშნა, რომ ექსპერტიზისას გამოიყენა „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმები და საქართველოს იუსტიციის

სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ვებ-გვერდზე არსებული „კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის ინტრუქციის ნორმები“. (იხ. დანართი 12)

აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქვეყანაში კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის ექსპერტიზის ნულოვანი პრაქტიკა გვაქვს, რომლის ერთერთი ძირითადი მიზეზი ისეთი მოწყობილობის არ არსებობაა, რომელზე შესრულებული ელექტრონული ხელმოწერის ექსპერტიზაც იქნებოდა შესაძლებელი.

სტატისტიკა, მაღალი ალბათობით, ელექტრონული ხელმოწერის იმპლემენტაციის პრობლემაზეც მიანიშნებს.

ანალიზისას გამოყენებული იქნა Excel-ის ვიზუალიზაციის საშუალებები. ნაშრომში მოცემული ცხრილები შედგენილია ჩვენს მიერ.

4.3. კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის დანერგვისა და გავრცელების მაჩვენებლები საჯარო სექტორში (ადგილობრივი თვითმმართველობის მაგალითზე)

2017 წლიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ხოლო 2020 წლიდან საქართველოს მასშტაბით, ადგილობრივ თვითმმართველობაში ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვისა და ელექტრონული სერვისების მიწოდებას უზრუნველყოფს ა.ა.ი.პ. „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო“ (MSDA). ის თავის ფუნქციებს ახორციელებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო“-ს 2018 წლის წესდების შესაბამისად. [49.1-12]

მის სამოქმედო არეალს თანდათან ემატება საქართველოს სხვადასხვა რეგიონი და შესაბამისად სავარაუდოა, რომ ახლო მომავალში სრულიად საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობა ჩართული იქნება ერთიან ელექტრონულ სისტემაში, რაც რა თქმა უნდა, გააუმჯობესებს ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან მოქალაქეთა მომსახურების ხარისხს, ელექტრონული სერვისებისა და ელექტრონული სანდო მომსახურების მიწოდებას, გააუმჯობესებს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის

ერთიანი სისტემის გამართულად მუშაობას. ყოველივე ზემოთქმული ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე ელექტრონული მმართველობის დანერგვას შეუწყობს ხელს.

საჯარო სამსახურებში კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის დონის დასადგენად ოფიციალური ინფორმაცია მოვითხოვეთ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო“-საგან (MSDA) შემდეგი მიმართულებებით:

1. რომელ საჯარო დაწესებულებებში (ასევე სსიპ-ებსა და ააიპ-ებში) ვრცელდება მათი სერვისი;
2. რამდენი იუზერია რეგისტრირებული ორგანიზაციების მიხედვით (წლების მიხედვით);
3. რამდენ იუზერს აქვს კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერისათვის საჭირო პროგრამა ინსტალირებული;
4. MSDA ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის ამოქმედებიდან დღემდე რამდენი იუზერის მიერ ხორციელდება კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა (წლების მიხედვით);
5. იმ დაწესებულებებში, სადაც MSDA-ს სერვისი ვრცელდება, თუ გამოიყენება ელექტრონული ხელმოწერის მოწყობილობა ე.წ. Sign Pad. (იხ. დანართი 13)

MSDA-ს მხრიდან მოსული საკმაოდ ამომწურავი პასუხი ვფიქრობნათლად გვიჩვენებს ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე ელექტრონული სერვისებისა და კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის დანერგვა-გავრცელების მიმართულებით არსებულ მდგომარეობას.

მიღებული ინფორმაციიდან დადგინდა, რომ MSDA საქართველოს მასშტაბით ემსახურება 961 ორგანიზაციას, რომელთა შორის არის როგორც თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია (საქალაქო სამსახურები, გამგეობები), ასევე, მის დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ-ები და ააიპ-ები და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო - სულ 51 ორგანიზაცია, ასევე, ბათუმის, რუსთავის, ფოთის, ქუთაისის, ოზურგეთის, სენაკის, ჩოხატა-

ურის, წყალტუბოს, ხობის, ლანჩხუთის, მარნეულის, მცხეთის, აბაშის, ახალციხის, ბორჯომის, გარდაბნის, გორის, ზესტაფონის, ზუგდიდის, თელავის, თერჯოლის ადგილობრივი თვითმმართველობები - სულ 21 ერთეული, რომლებშიც ჯამურად 910 ორგანიზაციაა თავმოყრილი. (იხ. დანართი 14, 41.1, 14.2, 14.3)

MSDA-ს მიერ მოწოდებული ინფორმაციის დამუშავების შედეგად ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული ინფრასტრუქტურის განვითარების მაჩვენებლები:


ადგილობრივი თვითმმართველობაში შემავალი ორგანიზაციების რიცხოვნობა, რომელსაც ემსახურება MSDA /2020/ ცხრილი N1 (იხ. დანართი 14, 41.1, 14.2, 14.3)

ცხრილი 1. ადგილობრივი თვითმმართველობაში შემავალი ორგანიზაციების რიცხოვნობა, რომელსაც ემსახურება MSDA 2020

MSDA სერვისის გავრცელება			
ქალაქი	ორგანიზაციების რიცხოვნობა	ქალაქი	ორგანიზაციების რიცხოვნობა
თბილისი	51	მარნეული	84
აბაშა	30	მცხეთა	38
ახალციხე	53	ოზურგეთი	62
ბორჯომი	34	სენაკი	30
გარდაბანი	45	ბათუმი	34
გორი	48	რუსთავი	37
ზესტაფონი	55	ფოთი	36
ზუგდიდი	68	ქუთაისი	27
თელავი	57	ჩოხატაური	44
თერჯოლა	38	წყალტუბო	34
ლანჩხუთი	15	ხობი	41


წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

5 დიდი ქალაქის შედარებითი ანალიზი, MSDA მიერ რეგისტრირებული იუზერები 2017-2020 წლებში ასახულია დიაგრამა 1-ზე (იხ. დანართი 14, 41.1, 14.2, 14.3)



დიაგრამა 1.5 დიდი ქალაქის შედარებითი ანალიზი, MSDA მიერ რეგისტრირებული იუზერები - /2017-2020/

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ




დიაგრამა 2. MSDA შედარებითი ანალიზი თბილისი და სხვა მუნიციპალიტეტები (ჯამური მონაცემი)

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

მოცემული სტატისტიკა უდავოდ ადასტურებს ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის მიმართულებით არსებულ პროგრესს, განსაკუთრებით 2020 წლიდან, რაც ცალსახად ხელს შეუწყობს კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის გავრცელებას მთელი ქვეყნის მასშტაბით (იხ. დანართი 14, 41.1, 14.2, 14.3).

გაანალიზებულია MSDA-ს ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის პროგრამით განხორციელებული კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერების/შტამპების შესრულების 2018, 2019 და 2020 წლების მონაცემები.

ID ბარათის გამოყენებით განხორციელებული კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/შტამპის მეშვეობით განხორციელებული ხელმოწერების რაოდენობა ასახულია დიაგრამა 3-ზე (იხ. დანართი 14, 14.1)



დიაგრამა 3. ID ბარათის გამოყენებით განხორციელებული კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/შტამპის მეშვეობით განხორციელებული ხელმოწერების რაოდენობა.

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

რაც შეეხება ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მოწყობილობის ე.წ. Sign Pad გამოყენებას - მიღებული ინფორმაციის მიხედვით MSDA-ს სერვისით მოსარგებლე არც ერთ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში, რომელთა რიცხვი საკმაოდ შთამბეჭდავია, ამ დროისათვის დანერგილი არ არის ელექტრონული ხელმოწერის შექმნისათვის საჭირო ე.წ. ხელმოწერის დაფა.

4.4. ID ბარათისა და მისი წამკითხველის გავრცელების მაჩვენებელი

საქართველოში ელექტრონული მმართველობის განვითარებისა და ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის პროცესში უმნიშვნელოვანესი როლი ეკისრება „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“-ს, რომელიც შეიქმნა სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ბაზაზე 2012 წლის ივლისში.

სააგენტოს ფუნქციას როგორც საკუთარი, ისე ზოგადად, სახელმწიფო მომსახურების განვითარების ხელშეწყობა, ინოვაციური სერვისების დანერგვა საჯარო სექტორში, მოსახლეობის რეესტრის წარმოება, მუდმივი სრულყოფა და მის მიერ გაწეულ მომსახურებებთან დაკავშირებული დოკუმენტების გაცემა.

სააგენტოს აქვს სამოქალაქო რეესტრის ფუნქციები: მოსახლეობის ერთიანი რეესტრის წარმოება, სამოქალაქო აქტების რეგისტრაცია, საიდენტიფიკაციო დოკუმენტების გაცემა, მოქალაქეობასთან დაკავშირებული პროცედურების წარმართვა, მიგრაციასთან დაკავშირებული საქმიანობა, დოკუმენტის აპოსტილირებისა და ლეგალიზაციის წარმოება.

სააგენტოს მრავალ ფუნქციას შორის შედარებით ახალი მიმართულებაა - სახელმწიფო სერვისების განვითარების ხელშეწყობა, რაც გულისხმობს საჯარო უწყებების დახმარებას არსებული მომსახურების სრულყოფაში, ახალი მომსახურების შექმნაში, იდეების გენერირებაში, პროცესების დიაგნოსტიკასა და საჭიროების იდენტიფიცირებაში, პრობლემების ოპტიმალური გადაჭრის გზებზე რეკომენდაციების მომზადებაში, პროცესების

ოპტიმიზაციის გეგმის მომზადებაში, მის დანერგვაში და მუდმივი განვითარების პროცესებში.

სააგენტო მონაწილეობს რამდენიმე მნიშვნელოვან პროექტში, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესია 2011 წლის 07 დეკემბრიდან ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე პროექტი - „**ელექტრონული მმართველობის დანერგვა ადგილობრივ თვითმმართველობებში**“.

პროექტის ძირითად კომპონენტებს შორის ერთერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა - „ერთი ფანჯრის“ პრინციპით მოქმედი უსაფრთხო და ეფექტიანი მუნიციპალური ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მოქალაქეებისათვის. რის ყველაზე ნათელ მაგალითად გვევლინება პორტალი My.gov.ge.

აღნიშნული პროექტის მიმდინარეობა რამოდენიმე ფაზადაა განაწილებული (2011-2014 (I ფაზა); 2014-2016 (II ფაზა); 2016-2017 (III ფაზა); 2017 – 2020 (IV ფაზა)) და დღემდე „მიმდინარეს“ სტატუსს ატარებს.

ამრიგად, „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“ წარმოადგენს ქვეყნის მასშტაბით იმ მნიშვნელოვან უწყებათაგან ერთერთს, რომელიც ინიციატორი და პასუხისმგებელია ელექტრონული მმართველობის ეფექტიან განვითარებაზე.

ამასთანავე, სააგენტოს კომპეტენციას მიეკუთვნება საქართველოს მოქალაქეებისათვის ID ბარათის, მისი წამკითხველისა და შესაბამისი კოდების გაცემა, რომლებიც აუცილებელი პირობაა კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შექმნისათვის.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს მასშტაბით, სანდო, საერთო მონაცემების მიღებისა და შემდგომი ანალიზის მიზნით „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“-საგან ოფიციალურად მოვითხოვეთ შემდეგი ინფორმაცია (იხ.დანართი 15):

2020 წლის მონაცემებით საქართველოს რამდენი მოქალაქეა რეგისტრირებული, ID ბარათის შემოღებიდან დღემდე საქართველოში სულ რამდენი ID ბარათია გაცემული (წლების მიხედვით), ID ბარათის შემოღებიდან დღემდე რამდენ მოქალაქეზეა გაცემული ID ბარათის

წამკითხველი (წლების მიხედვით), თუ იყენებენ ხელმოწერის დაფას. ე.წ. Sign Pad-ს, რომელი წლიდან და რა მოდელს.


აღნიშნული ინფორმაციის განმეორებით მოთხოვნის შემდეგ სააგენტომ მოგვაწოდა მონაცემები (დანართი 16).

სააგენტოსაგან მიღებული ინფორმაციით, 2021 წლის 01 იანვრის მდგომარეობით მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში რეგისტრირებულია 4 702 859 საქართველოს მოქალაქე. აღნიშნულ მონაცემში შედის როგორც მისამართზე აქტიური რეგისტრაციის მქონე მოქალაქეები, ასევე რეგისტრაციიდან მოხსნილი პირებიც.

გაცემული ID ბარათებისა და ID ბარათების წამკითხველების შესახებ სააგენტომ ინფორმაცია მოგვაწოდა მონაცემთა ბაზის 2021 წლის 2 ივნისის მდგომარეობით.

საქართველოში ID ბარათების გაცემა დაიწყო 2011 წლიდან, ხოლო მისი წამკითხველის გაცემა 2012 წლიდან (იხ. დანართი 17, 17.1).

რაც შეეხება ID ბარათებისა მისი წამკითხველის გაცემის სტატისტიკას 2011- 2020 წლებში - შემდეგნაირად გამოიყურება:



დიაგრამა 4. ID ბარათებისა მისი წამკითხველის გაცემის სტატისტიკას 2011/2012 - 2020 წლებში

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ


ცხრილი 2. ID ბარათების მისი წამკითხველის გაცემის სტატისტიკას 2011- 2020 წლებში

წელი	გაცემული ID ბარათი	გაცემული ID ბარათის წამკითხველი
2011	11836	0
2012	492739	8654
2013	450742	3364
2014	499683	1767
2015	610327	1724
2016	568725	6944
2017	358398	1513
2018	361147	33183
2019	384271	62468
2020	189412	12113

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

ID ბარათების გაცემის ჯამური მაჩვენებელი 2011-2020 წლებში არის 4 027 280 ერთეული.


ID ბარათის წამკითხველის გაცემის ჯამური მაჩვენებელი 2012-2020 წლებში არის 131 730 ერთეული.



დიაგრამა 5. ID ბარათის წამკითხველის გაცემის ჯამური მაჩვენებელი 2012-2020 წლებში

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

აღნიშნული მონაცემებიდან გამომდინარეობს (თუ მივიჩნევთ, რომ წამკითხველს მხოლოდ მფლობელი ერთი პირი გამოიყენებს), რომ ID ბარათების მფლობელი საქართველოს მოქალაქეების 3.27%-ს აქვს კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის განხორციელების შესაძლებლობა.



დიაგრამა 6. ID ბარათისა და მისი წამკითხველის გაცემის ჯამური მაჩვენებელი 2012-2020 წლებში

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

განხორციელებული ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რაოდენ გამართული ელექტრონული მმართველობის სისტემა და საკანონმდებლო ბაზაც არ უნდა არსებობდეს ქვეყანაში, უახლოეს მომავალში იმისი ალბათობა, რომ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების რაოდენობა რადიკალურად გაიზრდება - არ არსებობს.

რაც შეეხება ID ბარათების და მისი წამკითხველების გაცემის სტატისტიკას, ჩვენს ხელთ არსებული ინფრომაციით, 2021 წლის 02 ივნისის მდგომარეობით ციფრები (რაოდენობა) შემდეგნაირად გამოიყურება:

გაცემული ID ბარათები: - 91203.

გაცემული ID ბარათების წამკითხველები: - 2272.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება, რომელიც 2021 წლიდან მცირე ბიძგს მოახდენს კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის გავრცელების მაჩვენებელზე. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საჯარო

სექტორში დასაქმებული თანამდებობის პირი სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროში თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციას წარადგენს ელექტრონული ფორმით, დეკლარირების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით www.declaration.gov.ge .

დეკლარირების პროცესის დახვეწის, თანამდებობის პირის იდენტიფიცირების, ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების სტანდარტების დაცვის მიზნით, მიმდინარეობს დეკლარირების ერთიანი ელექტრონული სისტემის მოდიფიცირება. ნოვაციის ფარგლებში 2021 წლის 01 ივნისიდან თანამდებობის პირის მიერ დეკლარირების ერთიანი ელექტრონულ სისტემაში www.declaration.gov.ge - ზე ავტორიზაცია და დეკლარაციის წარდგენა შესაძლებელი იქნება მხოლოდ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებით.[50]

4.5. ელექტრონული ხელმოწერის დაფა - საქართველოში

რაც შეეხება საქართველოში ელექტრონული ხელმოწერის დაფების - Sign Pad-ების მოხმარებას, ამ მხივ ჩვენი ოფიციალური მოთხოვნის საფუძველზე ინფორმაცია მოგვაწოდა „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ“.

სააგენტო 2010 წლიდან ახორციელებს ხელმოწერის ნიმუშის ასაღები მოწყობილობის შესყიდვას. მიმწოდებელი კომპანიების მიერ მოწოდებულია ხელმოწერის ნიმუშის ასაღები მოწყობილობის შემდეგი მოდელები: NaturalSign Pad Mobile, StepOver GmbH და Signotec sigma, signotec GmbH, რომელთაც იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი არაერთი სახელმწიფო მნიშვნელობის უწყება იყენებს.

NaturalSign Pad Mobile, StepOver GmbH - მწარმოებელია კომპანია StepOver.

StepOver-ის ხელმოწერის შექმნის მოწყობილობის თითოეული მოდელი ფლობს ციფრული ხელმოწერის განსახორციელებელ უნიკალურ სერთიფიკატს (4096-bit RSA). ხელმოწერა ხორციელდება ღია გასაღების მეშვეობით, რომელიც ახდენს ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების

სანდო შიფრაციას მოწყობილობაზე. ამგვარი მეთოდით დაშიფრული მონაცემების დეშიფრაცია ვერასდროს განხორციელდება სათანადო დაცვის არ მქონე გარემოში. პლანშეტი მომხმარებელს სთავაზობს მაქსიმალურ დაცვას, რამდენადაც მისი მონაცემები ვარგისია სასამართლოზე წარსადგენად, ხოლო მასზე განხორციელებული ხელმოწერა დაცულია მომხმარებლის მხრიდან ცვლილების შეტანის შესაძლებლობისაგან. პლანშეტზე შესაძლებელია დამოუკიდებელი ტექსტის ჩასმა, ფუნქციური დილაკებისა და ლოგოს დამაგრება დისპლეიზე და სხვა.

StepOver-ის naturalSign Pad Mobile ხელმოწერის შექმნის მოწყობილობის ტექნიკური მონაცემები: [51]

Technical data	
Dimensions	6.42 inch x 5.16 inch x 0.37 inch 16.3 cm x 13.1 cm x 0.95 cm
Sensor / Monitor	3.74 inch x 2.09 inch 9.5 cm x 5.3 cm 320 x 181 Pixels (native 320 x 160 Pixels)
Signature capture	500 4D Coordinates per second (X, Y, Pressure and Time) – internal sampling time of over 7,000 captures/second, 512 pressure levels, no need for a special pen
Security	Up to RSA 4096 Bit Signature capturing device, Pad-internal encryption of the biometric data with notarised, Public-Key (up to RSA 4096 Bit)
Interface	USB 2.0 and/or 1.1, HID (no driver required)
Operating system	Windows10, Windows 7, Windows 8, and Mac OS 10.9 and 10.10 with VMware Fusion or webSignatureOffice. For Linux or thin client systems please contact our consulting team.

Signotec sigma, signotec GmbH - მწარმოებელი კომპანია Signotec.

რაც შეეხება Signotec sigma-ს უსაფრთხოების გარანტი RSA ალგორითმია. PDF დოკუმენტების ხელმოწერა შესაძლებელია ხელმოწერის დაფის შიგნით და არა ნაკლებად დაცულ პერსონალურ კომპიუტერში. ბიომეტრიული ხელმოწერის მონაცემები დაშიფრულია (RSA) ხელმოწერის მოწყობილობაში ღია გასაღების გამოყენებით. ხელმოწერისას ეკრანზე ნაჩვენებია ხელმოსაწერი დოკუმენტის შინაარსი და ხელმოწერა. თითოეული პლანშეტი ფლობს უნიკალური ხელმოწერის სერტიფიკატს. პლანშეტის მხარდაჭერა: RSA PKCS # 1 v1.5, PKCS # 1 v2.1; სერტიფიკატების დამოწმება შესაძლებელია Root Authority-ის მიერ; მხარდაჭერი ჰემის ალგორითმებია: SHA-1, SHA-256 და SHA-512.

Signotec sigma-ს ხელმოწერის შექმნის მოწყობილობის ტექნიკური მახასიათებლებია: [52]

Signotec sigma (Signature pads) Specs		
DISPLAY	Type	10,5 cm (4») Mono-LCD, optional with LED backlight
	Colours	Monochrome
	Resolution	320 x 160 pixels
	Scroll-Function	No
SENSOR	Type	RTP (Resistive-Touch-Panel)
	Pen	Pen with special, resilient pen tip (changeable)
	Surface	Special foil surface for RTP sensors
	Life expectancy	approx. 1 Million Signatures
	Pressure Stages	1.024
	Sample Rate	500 Hz, 4D Samples (x, y, z, t)
	Active Signing Area	91 x 45 mm
SECURITY	Resolution	4.096 x 4.096 Pixel absolute \pm 2.214 x 1.130 ppi
	Encryption	AES- and RSA-Encryption
	Secure Mode	Real-time display of the signature without usable biometrics
	PDF-Signature	RSA signature creation device inside the pad
CONNECTION	Hash-Algorithms	SHA-256 und SHA-512
	Connection	USB (approx. 2,0 meters cable length)
	Power Supply	USB
	Network (TCP/IP)	Yes, with optional signotec USB-Ethernet-Adaptor
	Terminal Server / Citrix	Yes, optional with hardware FTDI chip or signotec vCOM driver
OTHERS	Citrix Virtual Channel	Yes, optional with signotec Virtual Channel driver
	Dimensions (W x D x H)	160 x 120 x 10 mm
	Weight	approx. 180g
	Status LED	2-colour status LED
	Slideshow	Yes, you can configure one standby image inside the pad.
Customization	Change of housing color and logo print (on request)	

თავი 5. საქართველოს საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის დანერგვისა და განვითარების საკანონმდებლო საფუძვლების ზოგადი მიმოხილვა საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან მიმართებაში

საქართველოში, საჯარო სექტორთან ერთად, ელექტრონული ხელმოწერის დანერგვისა და გავრცელების მაჩვენებლის შესწავლისას, მნიშვნელოვანია კერძო სექტორში არსებული ვითარების დადგენა. ამ მიზნით შესწავლილი და გაანალიზებულია ელექტრონულ ხელმოწერასთან დაკავშირებით საბანკო სექტორში არსებული მდგომარეობა.

5.1. საქართველოს საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის საკანონმდებლო ბაზის მიმოხილვა

საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის შექმნას საფუძვლად დაედო საქართველოს კანონები „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“, „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“ და „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“ და მათ საფუძველზე შექმნილი, ელექტრონულ ხელმოწერასთან დაკავშირებული სპეციალური ნორმები და გამოყენებისთვის საჭირო სამართლებრივი აქტები.

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის (მე-15 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი და 67-ე მუხლის მე-4, მე-5 პუნქტების) და „კომერციული ბანკების შესახებ“ საქართველოს კანონის (მე-19 მუხლი) შესაბამისად, საგადასახადო სისტემაში ელექტრონული დოკუმენტისა და ციფრული ხელმოწერის გამოყენების უზრუნველსაყოფად, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა 2010 წლის 24 ნოემბერს გამოსცა N145/01 ბრძანება „საგადასახადო სისტემაში ელექტრონული საქმიანობის განხორციელების, საგადასახადო და ფასიანი ქაღალდების სისტემაში (GPSS) ელექტრონული დოკუმენტისა და ციფრული ხელმოწერის შესახებ დებულებების დამტკიცების თაობაზე“. აღნიშნული დოკუმენტით ქართულ საბანკო სივრცეში პირველად გაჩნდა რეგულაციები

ელექტრონული დოკუმენტისა და ციფრული ხელმოწერის დანერგვასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება ელექტრონული ხელმოწერის უშუალოდ დანერგვის პროცესს - მოგვიანებით, 2013 წლის თებერვალში განხორციელდა, როდესაც შეიქმნა კონკრეტული პროექტი და სახელმძღვანელო ამ სფეროსათვის.

კომერციულ ბანკებში ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის სტანდარტებსა და უსაფრთხოებას არეგულირებს შემდეგი დოკუმენტები:

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2013 წლის 04 დეკემბრის „კომერციული ბანკის მიერ შექმნილი ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების უსაფრთხოების პოლიტიკის საქართველოს ეროვნულ ბანკში წარდგენისა და შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ“ N122/04 ბრძანება.

საქართველოს ეროვნული ბანკის 2013 წლის დეკემბრის „ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის პროექტი“.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2014 წლის 30 სექტემბერს N94/04 ბრძანება - „ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს დამტკიცების თაობაზე“.

„ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 23 თებერვალს N18/04 ბრძანებაში დეტალურადაა მოცემული კონკრეტული მითითებები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოახდინოს კომერციულმა ბანკმა ელექტრონული ხელმოწერის დანერგვა.

საქართველოს ეროვნული ბანკი, როგორც საბანკო სექტორის რეგულატორი, გვევლინება „ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის პროექტი“-ს ინიციატორად და კომერციული ბანკებისათვის აწესებს ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის მინიმალური მოთხოვნების ზღვარს, რომლის დაცვა აუცილებელ პირობად მიიჩნევა. ასევე, ანხორციელებს აღნიშნული პროცესისათვის სანდო და დაცული გარემოს უზრუნველყოფას.

ეროვნული ბანკის მიერ შედგენილი დოკუმენტი განსაზღვრავს, რომ „ელექტრონული ხელმოწერის პრაქტიკაში გამოყენება გულისხმობს საქართველოს საბანკო სექტორში ქალაქებში შესრულებული ხელმოწერის

ჩანაცვლებას ელექტრონული ხელმოწერითა და ელექტრონული დოკუმენტბრუნვით ყველა იმ შესაძლო ოპერაციაზე, რომლებზეც კონკრეტული კომერციული ბანკი მიიღებს გადაწყვეტილებას”. [53.2]

ეროვნული ბანკის მიზანია იმ ძირითადი მოდელის განსაზღვრა, რომლის შესაბამისად შესრულებული ელექტრონული ხელმოწერა იქნება ქალაქებზე შესრულებული სველი ხელმოწერის თანაბარი ძალის მქონე. მხოლოდ ეროვნულ ბანკთან შეთანხმებული უსაფრთხოების პოლიტიკის შესაბამისად შექმნილი ელექტრონული ხელმოწერა იძენს ქალაქებზე მატერიალური ხელმოწერის თანაბარ იურიდიულ ძალას. [53.11]

საქართველოს საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის დანერგვა და უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავება დამყარებულია საქართველოს კანონმდებლობაზე, ევროკავშირის სივრცეში და იმ ქვეყნებში მოქმედ რეგულაციებზე, სტანდარტებსა და რეკომენდაციებზე, სადაც უკვე არსებობს ელექტრონული ხელმოწერის პრაქტიკა.

საქართველოს ეროვნული ბანკი ელექტრონული ხელმოწერის დანერგვაში გულისხმობს კომერციული ბანკის ნებას და არა იძულებას - გამოიყენოს ელექტრონული ხელმოწერა, ამასთანავე, ელექტრონული ხელმოწერის გამოყენება არ გულისხმობს საბანკო საქმიანობაში ქალაქებზე შესრულებული მატერიალური ხელმოწერის მთლიანად ამოღებას.

ტექნოლოგიების განვითარებასთან და უსაფრთხოების ზომების ცვლილებასთან ერთად ის იზრუნველყოფს ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების გარემოსა და აუცილებელი მინიმალური / რეკომენდირებული მოთხოვნების განახლება-გადახედვას;

პროექტი მიზნად ისახავდა საქართველოს საბანკო სექტორში, სულ მცირე, „განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის” დანერგვას. [53.10.15-16]

როგორც უკვე ითქვა, დირექტივის მიზანს წარმოადგენს ელექტრონული ხელმოწერის, სასერთიფიკატო მომსახურების განვითარებისა და მისი აღიარებისათვის ბიძგის მიცემა და სამართლებრივი ჩარჩოს შექმნა. (დირექტივა, ნაწილი I) [10.3]

„განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის“ განმარტების ზოგადი და „ტექნოლოგიურად ნეიტრალური“ ბუნებიდან გამომდინარე, მისი პრაქტიკაში გამოყენება გულისხმობს ხელმოწერის იდენტიფიცირებისთვის საჭირო მონაცემების შიფრაციას, მათ დაკავშირებას ხელმოსაწერ დოკუმენტზე და ხელმოწერის განხორციელებისას სერტიფიკატზე დამყარებულ ასიმეტრიულ შიფრაციას რეკომენდირებული ალგორითმებით და PKI-ს სხვა პრინციპების გამოყენებით.

გათვალისწინებულია სერტიფიკატის გამცემი უფლებამოსილი პირის მომსახურება (CA), დროის აღნიშვნა (Time stamp services), ელექტრონული დოკუმენტის არქივირება და გრძელვადიანი ვალიდაცია.[53.18]

ელექტრონული ხელმოწერის დანერგვისას უსაფრთხოების მინიმალური მოთხოვნები მოიცავს: ხელმოწერი ფლობს ხელმოწერის შექმნის მოწყობილობას და მასზე აქვს ერთპიროვნული კონტროლი; გარანტირებულია დოკუმენტის მთლიანობა, ავთენტურობა და უცვლელობა, უზრუნველყოფილია სანდო და მოწინავე ტექნოლოგიების გამოყენებით აღჭურვილი ხელმოწერის შექმნის მოწყობილობის გამოყენება, მომსახურების გამწევი სანდო პირის მიერ უზრუნველყოფილია დოკუმენტზე დროის აღნიშვნა, დაცულია ხელმოწერის ბიომეტრიული ან/და სხვა საიდენტიფიკაციო მონაცემები, ხელმოწერამდე დოკუმენტის გაცნობის, მის ორიგინალზე ხელმისაწვდომობისა და ექსპერტიზის ჩატარების შესაძლებლობა და სხვა. [53.23]

საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის მიუხედავად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს გარკვეული კატეგორიის დოკუმენტებს, რომლებიც სავალდებულოა შეიქმნას მატერიალური სახით და მათზე განხორციელდეს ტრადიციული, სველი ხელმოწერა. ეს იმპერატიული მოთხოვნა ეხება: ვალის აღიარებას, თავდებობას, სამიდღემშიო რჩენას და ანდერძს. [54]

საბანკო სექტორში გამოყენებული ელექტრონული ხელმოწერის ექსპერტიზის შესაძლებლობის უზრუნველყოფის მიზნით, პროექტში ჩართული კომერციული ბანკები თანამშრომლობენ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან.

რაც შეეხება „სახელმძღვანელოს“ კომერციული ბანკებისათვის, ის წარმოადგენს „ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების უსაფრთხოების პოლიტიკის“ შემუშავების საფუძველს.

სახელმძღვანელო შექმნილია საქართველოს კანონმდებლობის, ევროკავშირის eIDAS რეგულაციებით განსაზღვრული ტექნიკური, პროცედურული და ხარისხობრივი მოთხოვნების, ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს „ელექტრონული ხელმოწერის სახელმძღვანელო ჩარჩო“-ს შესახებ 1999/96/EC დირექტივისა და „ელექტრონული ხელმოწერის სტანდარტიზაციის ევროპის ინიციატივის“ (EESSI) ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციების შესაბამისად.

„საქართველოს საბანკო სექტორში გამოყენებული „ელექტრონული ხელმოწერა“ განიხილება მატერიალურ დოკუმენტზე შესრულებული ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალის მქონედ, თუ მისი გამოყენება დაკავშირებული იქნება მხოლოდ ღია/დახურული გასაღების პრინციპის, ასიმეტრიული კრიპტოგრაფიისა და სერტიფიკატზე დამყარებული ხელმოწერის შესრულებასთან“.[55.3]

5.2. საბანკო სისტემაში განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის პრაქტიკაში დანერგვა

საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერისათვის უსაფრთხო და დაცული გარემოს შექმნის მიზნით საქართველოს ეროვნული ბანკი თანამშრომლობს სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან. ისინი საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ასრულებენ 2013 წლის 10 ოქტომბრის „საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების პროცესში თანამშრომლობის შესახებ“ სამმხრივი მემორანდუმით განსაზღვრულ ფუნქციებს.

ბიუროსა და სააგენტოსათვის მემორანდუმით მინიჭებული ფუნქცია შესაძლოა შეასრულოს სხვა, ნებისმიერმა შესაბამისი კვალიფიკაციის და

ტექნიკური შესაძლებლობების მქონე პირმა.

იდენტიფიკაციისთვის PIN-ის, პაროლის ან ბიომეტრიული მონაცემების გამოყენებით შექმნილი „განვითარებული ელექტრონული ხელმოწერა“ (1999/93/EC დირექტივის შესაბამისად) უნდა აკმაყოფილებდეს არაერთ კრიტერიუმს, რომლებიც ზემოთ განვიხილეთ.

მისი შექმნისათვის გამოყენებული უნდა იყოს „კვალიფიციური სერტიფიკატი“, ხოლო „ხელმოწერის შექმნის მოწყობილობა“ - თავისი შინაარსით აკმაყოფილებდეს უსაფრთხო ხელმოწერის შექმნის მოთხოვნებს.

კომერციული ბანკის მიერ ეროვნულ ბანკთან შეუთანხმებულად ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მოწყობილობის გამოყენება ითვლება შემუშავებული უსაფრთხოების პოლიტიკის დარღვევად და ასეთი გზით შექმნილ ელექტრონულ ხელმოწერას არ ქნება რაიმე სახის იურიდიული ძალა.

ევროკავშირის წევრი ქვეყნების დაარსებული და მათ ტერიტორიაზე ოპერირებადი CSP-ზე ზედამხედველობის ვალდებულება განსაზღვრულია დირექტივით (პუნქტი 3.3). საზედამხედველო ორგანიზაციის ფუნქციაა განახორციელოს CSP-ს უწყვეტი ზედამხედველობა და მათი საქმიანობის შესაბამისობის კონტროლი დირექტივის დანართ II-თან, ხოლო მათ მიერ გამოშვებული კვალიფიციური სერტიფიკატისა - დირექტივის დანართ I-თან.

რაც შეეხება ხელმოწერის შექმნის მოწყობილობას, ის წარმოადგენს ხელმოწერის შექმნის სანდო და დაცული გარემოს ნაწილს. დირექტივის დანართი III-დან გამომდინარე, „უსაფრთხო ხელმოწერის შექმნის მოწყობილობის“ მინიმალური ტექნიკური და პროცედურული მოთხოვნებია:

შეუძლებელი უნდა იყოს:

ხელმოწერის შექმნის მონაცემების განმეორებით წარმოქმნა; ორი მომხმარებლის წვდომა გასაღებების ერთსა და იმავე წყვილზე; დახურული გასაღების მეორედ შექმნა ან/და კოპირება; ხელმოწერის შექმნის მონაცემების მოპოვება, რაც შეეხება ელექტრონული ხელმოწერის დაცვისა და უსაფრთხოების გარანტიებს:

მიღებული ხელმოწერა გაყალბებისაგან დაცული იქნება დროის მოცემული მომენტისათვის არსებული მოწინავე ტექნოლოგიებით, კრიპტოგ-

რაფიული ალგორითმი იქნება იმდენად უსაფრთხო, რომ ღია გასაღების მეშვეობით დახურული გასაღების გამოთვლას გახდის შეუძლებელს, ხელმოწერის შექმნის მონაცემები საიმედოდ იქნება დაცული მოსალოდნელი შეტევებისაგან, აუცილებელია პაროლის გამოთვლის ხელშემშლელი მექანიზმის არსებობა, ხელმოწერის შექმნის მოწყობილობა უნდა უზრუნველყოფდეს ხელმოსაწერად შეთანხმებული მონაცემების უცვლელობას.

დირექტივის შესაბამისად არ არსებობს ხელმოწერის გადამოწმების (ნამდვილობის დადგენის – verification) საშუალებების ოფიციალური კრიტერიუმები.

რაც შეეხება ელექტრონული ხელმოწერის ვერიფიკაციის მექანიზმებს:

ხელმოწერის დროის აღნიშვნა (Signature Time-Stamp) სრულდება ციფრული სერტიფიკატის გამოყენების შემდეგ დაუყოვნებლივ, იმდენად მცირე დროის ინტერვალით, რომ ეს დრო მიიჩნევა არაარსებით განსხვავებად. დროის აღნიშვნა მიუთითებს, რომ ხელმოწერა შესრულდა მოცემულ დრომდე, ხოლო ციფრული სერტიფიკატის გამოყენებასა და დროის აღნიშვნის სერვისის მიღებას შორის აღნიშნული დროის სხვაობის სიმცირის გამო, მიიჩნევა, რომ ხელმოწერა შესრულდა იმ დროს, როცა მასზე განხორციელდა დროის აღნიშვნა.

ხელმოწერის შემდგომი ვერიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა არქივირების სერვისის სანდო მიმწოდებელი (Trusted Archival Services), რამდენადაც ამ მომსახურებით გაკეთებული ჩანაწერები იძლევა ინფორმაციას ხელმოწერის არსებობის და ვალიდურობის შესახებ.

რაც შეეხება საბანკო სექტორში ბიომეტრიულ მონაცემებზე შექმნილ ელექტრონულ ხელმოწერას - ის გულისხმობს ელექტრონული ხელმოწერის იმ მოდელის გამოყენებას, რომელიც შესრულებული იქნება მომხმარებელთან საბანკო მომსახურების გაწევისას ე. წ. ხელმოწერის დაფის საშუალებით. ბიომეტრიული ელექტრონული ხელმოწერის იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა სტატიკური და დინამიკური მონაცემების ერთობლიობა. ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მოწყობილობა კი უნდა უზრუნველყოფდეს ბიომეტრიული მონაცემების ექსპერტიზის

ჩატარებისათვის საჭირო ხარისხით მიღებას.[55.17-18]

ელექტრონული ხელმოწერისათვის სავალდებულოა საერთაშორისოდ აღიარებული ყველა იმ სტანდარტისა და მოთხოვნის დაკმაყოფილება, რომლებიც აღიარებულია და წარმოადგენს მისი სანდოობის, უცვლელობისა და უსაფრთხოების გარანტს: ელექტრონული ხელმოწერის მთლიანობის დაცვა და დაურღვეველ მდგომარეობაში შენარჩუნება, ელექტრონულ დოკუმენტში ნებისმიერი ჩარევის შემჩნევა/დაფიქსირება, ბიომეტრიული მონაცემის დეშიფრაციის შეუძლებლობის გარანტია, ღია გასაღების ინფრასტრუქტურის (PKI) პრინციპების გამოყენება, რომელიც თავის მხრივ გულისხმობს ღია და დახურულ გასაღებს, სერტიფიკატის გამცემ უფლებამოსილ პირს (CA) და სხვა სერტიფიცირების სერვისის მიმწოდებელს (CSP).

საბანკო სექტორში იურიდიული პირის ხელმოწერის შესაძლებლობა დაშვებულია, თუ ის გამოიყენება კონკრეტული ოპერაციის მიმართ და წარმოადგენს განვითარებულ ელექტრონულ ხელმოწერას, რაც თავის მხრივ გულისხმობს ღია/დახურული გასაღების პრინციპის, ასიმეტრიული კრიპტოგრაფიისა და სერტიფიკატზე დამყარებული ხელმოწერის გამოყენებას.

ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მოწყობილობა და მისი პროგრამული უზრუნველყოფა უნდა წარმოადგენდეს ერთი მწარმოებლის პროდუქტს.

ისევე, როგორც მთელს მსოფლიოში, საქართველოს საბანკო სექტორშიც, უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, ელექტრონული ხელმოწერისთვის რეკომენდებულია მხოლოდ PDF ფორმატის ფაილის გამოყენება, რომელიც ხელმოწერის შემდეგ დასრულებული დოკუმენტის სახით გადადის ელექტრონულ არქივში. „ამასთანავე, PDF ფორმატის ფაილის გამოყენებასთან ერთად, დაცული უნდა იქნეს დოკუმენტზე „დროის აღნიშვნის“, მისი გრძელვადიანი არქივირებისა და დროის ნებისმიერ პერიოდში დოკუმენტის და მასზე შესრულებული ელექტრონული ხელმოწერის ვალიდაციის შემოწმების შესაძლებლობა. ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების გამოყენების შემთხვევაში, ამ მონაცემების ელექტრონულ ხელმოწერაში ისეთი მდგომარეობით შენარჩუნება, რომ დოკუმენტის კანონმდებლობით განსაზღვრული სავალდებულო შენახვის

ვადის ნებისმიერი მომენტისთვის შესაძლებელი იყოს ამ მონაცემებით ხელმოწერის ექსპერტიზის განხორციელება“.[55.19]

კომერციული ბანკის მიერ დანერგილი ელექტრონული ხელმოწერის მეთოდი უნდა აკმაყოფილებდეს და უზრუნველყოფდეს ისეთ პირობებს, როგორებიცაა: მთლიანობა, უარყოფის შეუძლებლობა, მომხმარებელთა ავთენტიფიკაცია, ატრიბუტების დამატების შესაძლებლობა, ხელმოწერის გამოყენების უწყვეტობა, ხელმოწერის დროის განსაზღვრა (დროითი ანალიზის შესაძლებლობა), დამოუკიდებელი დადასტურება (ხელმოწერის ფიზიკური თანდასწრების გარეშე), მრავალი ხელმოწერის შესაძლებლობა (ორი ან მეტი მხარისათვის ხელმოწერის შესაძლებლობა), მონაცემთა ტრანსპორტაბელურობა (დაუცველი ქსელის ან/და გარემოს პირობებში ელექტრონული ხელმოწერით დამოწმებული დოკუმენტის გაგზავნა/შენახვის შესაძლებლობა), კომუნიკაციის დაცულობა (არასანქცირებული წვდომისაგან ინფორმაციის დაცვა და ცვლილებების განხორციელების შეუძლებლობა) და სხვა.

სახელმძღვანელოში მითითებულია საქართველოს საბანკო სექტორში იმ დროისათვის არსებული ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის ტექნიკური პარამეტრები, რომლებიც ასე გამოიყურება: [55.36]

ღია გასაღების სერტიფიკატის ფორმატი	X.509
გასაღების ტიპი	RSA
გასაღების ზომა	2048 ბიტი
კრიპტოგრაფიული ჰეშ ფუნქცია	SHA-256
დროის აღნიშვნის პროტოკოლი	RFC 3161
ხელმოსაწერი დოკუმენტის ფორმატი	PDF A/ - 1a; PDF A/ - 2a
ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების მინიმალური ხარისხი	<ul style="list-style-type: none"> ●Minimum X resolution and variation The minimum value should be 40 dots per centimetre. ●Minimum Y resolution and variation The minimum value should be 40 dots per centimetre. Minimum sample frequency and variation The minimum value should be 50 samples per second. There should be no sequential sample points with $F > 0$ separated by more than 20 milliseconds. ●Force Where force measurements are returned the values should be within 10% of the equivalent millinewtons determined at calibration.

5.3. დღევანდელ საქართველოში საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის/შტამპის განვითარების მაჩვენებელი

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი არის კომერციული ბანკების მარეგულირებელი, ქართულ საბანკო სივრცეში ელექტრონული ხელმოწერის განვითარების მაჩვენებლის დასადგენად ოფიციალურად მივმართეთ სწორედ მას. გამოვითხოვეთ შემდეგი სახის ინფორმაცია: რამდენი კომერციული ბანკია საქართველოში, რამდენ მათგანშია დანერგილი ელექტრონული ხელმოწერა და რომელი წლიდან, რამდენ მათგანში გამოიყენება ე.წ Sign Pad (თუ გამოიყენება - რომელი მოდელი?) (იხ.დანართი N18).

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით საქართველოში ლიცენზირებული კომერციული საბანკო დაწესებულების რაოდენობა შეადგენს 15 ერთეულს: სს „თიბისი ბანკი«, სს „საქართველოს ბანკი«, სს „ლიბერთი ბანკი«, სს „ბაზისბანკი«, სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია«, სს „ბანკი ქართუ«, სს „პროკრედიტ ბანკი«, სს „სილქ როულ ბანკი«, სს „ზირათ ბანკი საქართველო«, სს »იმ ბანკი საქართველო«, სს „ტერაბანკი«, სს „ხალიკ ბანკი საქართველო«, სს „პაშა ბანკი საქართველო«, სს „ფინკა ბანკი საქართველო“, სს „კრედო ბანკი“. (იხ. დანართი N19)


ზემოაღნიშნული 15 კომერციული ბანკიდან საქართველოს ეროვნულ ბანკს განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის/შტამპის გამოყენების შესახებ ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი გამოცემული აქვს მხოლოდ 3 (სამი) მათგანზე: სს „პროკრედიტ ბანკი“, სს „თიბისი ბანკი“, სს „ლიბერთი ბანკი“ (დანართი N19).

აღნიშნული სამართლებრივი აქტი ასევე გამოცემული იყო სს „ბანკი რესპუბლიკა“-სათვის, რომელიც ამ დროისათვის რეორგანიზებულია.

შესაბამისად, განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის/შტამპის დანერგვის მაჩვენებელი ქართულ საბანკო სექტორში დღევანდელი დღისათვის შეადგენს მხოლოდ 20 %-ს (დიაგრამა 7).

რაც შეეხება ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მოწყობილობის ე.წ.

Sign Pad-ის გამოყენებას, ეროვნულმა ბანკმა განმარტა, რომ რამდენადაც ხელმოწერის დაფისა და ხელმოწერის ტექნიკური მოდელები წარმოადგენენ ბანკის შიდა ინფორმაციას, მოკლებულია შესაძლებლობას მოგვაწოდოს ცნობები Sign Pad-ების დანერგვის, გავრცელებისა და გამოყენებული მოდელების შესახებ (დანართი N19).



დიაგრამა 7. ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებადობა

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

აღნიშნული ინფორმაციისა და კვლევის წინა ეპიზოდში ასახული მონაცემების შესახებ, რომელშიც ვიკვლევდით ელექტრონული ხელმოწერის სასამართლო და საექსპერტო მიმართულებას - ნათელია რომ დღევანდელ საბანკო სექტორში, რომელიც უდავოდ მეტად განვითარებულია კერძო სექტორის წარმომადგენელ სფეროებს შორის, ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის და გავრცელების მაჩვენებელი არც თუ მაღალია და თუ არ ჩავთვლით ქართული საბანკო სისტემის იმ 20%-ს, რომელმაც წარმატებით დანერგა როგორც განვითარებული ელექტრონული ხელმოწერა, ისე განვითარებული ელექტრონული შტამპი, მდგომარეობა არც ისე სახარბიელოდ გამოიყურება.

თავი 6. ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული გზით შექმნილი დოკუმენტების ავთენტურობასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკა

ელექტრონული ხელმოწერის ავთენტურობის პრობლემა ერთგვარ ასახვას სასამართლო პრაქტიკაშიც ჰპოვებს. ელექტრონული ხელმოწერის ექსპერტიზის შეუძლებლობა და მხოლოდ კომპიუტერული ექსპერტიზა ნათლად მეტყველებს ელექტრონული ხელმოწერის იდენტიფიცირების პრობლემებზე. რიგ შემთხვევებში ვერ ხორციელდება ხელმოწერის ავთენტურობის დადგენა. გადაწყვეტილებების გამოტანა მოსამართლეების მიერ ხდება მხოლოდ ელექტრონული ხელმოწერის/ელექტრონული დოკუმენტის დასაშვებობისა და კომპიუტერული ექსპერტიზის, ელექტრონული კვალის ანალიზის შედეგად.

6.1. სასამართლო პრაქტიკა - საქართველო

ელექტრონული ხელმოწერის ავთენტურობის საკითხის კვლევისას ძალზე მნიშვნელოვანია ინფორმაცია საქართველოში ამ მხივ არსებული სასამართლო დავების პრაქტიკის შესახებ. ინტერესის შესაბამისად, ინფორმაციისათვის ოფიციალურად მივმართეთ თბილისის საქალაქო სასამართლოს: თბილისის საქალაქო სასამართლოს პრაქტიკაში თუ ყოფილა განსახილველად დავა, რომელიც ეხებოდა კვალიფიციურ ელექტრონულ ხელმოწერას და ასეთის არსებობის შემთხვევაში ვითხოვეთ დამდგარი განაჩენის გადმოგზავნა. (იხ. დანართი 20)

მიღებული პასუხით დადგინდა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლო არ ახორციელებს როგორც განსახილველად შესული საქმეების, ასევე სასამართლო გადაწყვეტილებების სტატისტიკურ აღრიცხვასა და დამუშავებას, რის გამოც ვერ მოგვაწოდეს ვერანაირი ინფორმაცია იმის შესახებ, საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში ყოფილა თუ არა განხილული კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერების შესახებ სარჩელი და არსებობს თუ არა დამდგარი განაჩენი. (იხ. დანართი 21).

თბილისის საქალაქო სასამართლოდან მიღებული პასუხის მიუხედავად, გავაგრძელებთ ინფორმაციის ძიებას. გაანალიზებულ იქნა საქართველოში ბოლო 10 წლის განმავლობაში უზენაესი სასამართლოს მიერ ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული საშუალებით შექმნილი დოკუმენტების სადავობასთან დაკავშირებული 5 საქმე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ 2013 წლის 23 იანვარს განხილული საქმე N ბს-745-729(კს-12) და მიღებული გადაწყვეტილება ეხება დ.გ.-ს სარჩელს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზაციის კახეთის სამხარეო სამმართველოსა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წინააღმდეგ. მესამე პირი - შ.ზ.

მოსარჩელე დ.გ. მოითხოვდა სახელმწიფოს მხრიდან შ.ზ.-სათვის გადაცემული მიწისა და სხვა უძრავი ქონების შეძენის დამადასტურებელი ოქმის ბათილად ცნობას. ასევე, გასაჩივრებული იყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 27 აგვისტოს განჩინება იმ მიზეზით, რომ განჩინება ხარვეზის დადგენის შესახებ მას არ ჩაბარებია და მისი მეუღლის სახელით განხორციელებული ელექტრონული ხელმოწერა სინამდვილეში არ ეკუთვნის ხელმომწერს.

დ.გ-ს ერთერთი სასარჩელო მოთხოვნა მოიცავდა დავას ელექტრონული გზით განხორციელებული ხელმოწერის შესახებ, კერძოდ „საჩივრის ავტორის მითითებით, საქმეში არსებულ დოკუმენტზე გაკეთებული ხელმოწერა მის მეუღლეს - ქ. დ-ს არ ეკუთვნის. შესაბამისად, მას ხარვეზის განჩინება სასამართლოსგან არ მიუღია“.

პალატამ არ დააკმაყოფილა დ.გ-ს საჩივარი და უცვლელად დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება შემდეგი საფუძველით: „ადრესატის არყოფნის შემთხვევაში ოჯახის ქმედუნარიანი წევრის მიერ სასამართლოს გზავნილის ჩაბარება ითვლება ადრესატისათვის ჩაბარებად. განჩინება ხარვეზის დადგენის შესახებ გაიგზავნა დ. გ-ის საცხოვრებელი ადგილის მისამართზე და ჩაბარდა მის მეუღლეს - ქ. დ-ს, რაც დასტურდება შეტყობინების ბარათით გზავნილის ჩაბარების შესახებ. შპს „...“-ს

წერილით დგინდება, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება ჩაბარდა ადრესატის – დ. გ-ის მეუღლეს – ქ. დ-ს, რომლის რეკვიზიტების შევსება მოხდა ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „შპს „...“ მიერ საფოსტო ან საკურიერო მომსახურების განხორციელებისას ელექტრონული საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების შესახებ” საქართველოს პრეზიდენტის 22.03.12წ. #234 ბრძანებულების 1-ლი პუნქტის თანახმად, შპს „...“ მიერ საფოსტო ან საკურიერო გზავნილის (წერილი, შეტყობინება, სასამართლო უწყება, ამანათი, ფულადი გზავნილი და სხვ.) მიღების, გაგზავნის, ჩაბარების ან ჩაუბარებლობის თაობაზე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შექმნილი, გაგზავნილი, მიღებული, ჩაბარებული ან/და შენახული ელექტრონული დოკუმენტი ითვლება იურიდიული ძალის მქონედ, ხოლო ელექტრონულ დოკუმენტზე შესრულებული ელექტრონული ხელმოწერა ან/და ჩანაწერი ითვლება მატერიალურ დოკუმენტზე ხელმოწერის ან/და ჩანაწერის თანაბარი იურიდიული ძალის მქონედ. ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი არ არის საწინააღმდეგო მტკიცებულება, სასამართლო დადასტურებულად მიიჩნევს ქ. დ-ის გზავნილზე ხელმოწერის ნამდვილობას“.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ **2013 წლის 7 მაისს განხილული საქმე Nას-102-97-2013** და მიღებული გადაწყვეტილება ეხება ნ.მ-ს სარჩელს ნ.მ-ს წინააღმდეგ. გასაჩივრებულია - თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 13 სექტემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და მისი ძალაში დატოვების შესახებ ამავე პალატის 2012 წლის 27 ნოემბრის განჩინება.

ერთერთი სასარჩელო მოთხოვნა ეხებოდა სააპელაციო საჩივრისა და თანდართული მასალების არა უშუალოდ მოსარჩელეზე, არამედ მის დედაზე გადაცემის ფაქტს, რომელმაც არ იცის ქართული ენა.

გარემოების გამოკვლევის მიზნით პალატამ ჩაატარა მოკვლევა. „დადგენილი წესით შემოწმებისას ირკვევა შეტყობინების პირადად ნ. მ-

ასათვის ჩაბარება, რაც ციფრული ხელმოწერითვეა დადასტურებული, ხოლო შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ საფოსტო ან საკურიერო მომსახურების განხორციელებისას ელექტრონული საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 22 მარტის N234 ბრძანებულების პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ საფოსტო ან საკურიერო გზავნილის (წერილი, შეტყობინება, სასამართლო უწყება, ამანათი, ბანდეროლი, ფულადი გზავნილი და სხვ.) მიღების, გაგზავნის, ჩაბარების ან ჩაუბარებლობის თაობაზე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შექმნილი, გაგზავნილი, მიღებული, ჩაბარებული ან/და შენახული ელექტრონული დოკუმენტი, აგრეთვე ამ ბრძანებულების მე-4 და მე-5 პუნქტებით დადგენილი წესით დამოწმებული ან/და დადასტურებული მისი ამონაბეჭდი, ჩაითვალოს იურიდიული ძალის მქონედ, „ხოლო ელექტრონულ დოკუმენტზე შესრულებული ელექტრონული ხელმოწერა ან/და ჩანაწერი ჩაითვალოს მატერიალურ დოკუმენტზე ხელმოწერის ან/და ჩანაწერის თანაბარი იურიდიული ძალის მქონედ“. „საფოსტო ან საკურიერო გზავნილის გამგზავნის, ადრესატის ან კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებული ელექტრონული ხელმოწერა ან/და ჩანაწერი, რომელიც ამ ბრძანებულების პირველი პუნქტის შესაბამისად ადასტურებს საფოსტო ან საკურიერო გზავნილის გასაგზავნად გადაცემას ან/და მის მიღებას/ჩაბარებას, ითვლება მატერიალურ დოკუმენტზე ხელმოწერის ან/და ჩანაწერის თანაბარი იურიდიული ძალის მქონედ.“ [56.1]

შედეგად, თბილისის სააკელაციო სასამართლოს 2012 წლის 13 სექტემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ 2012 წლის 27 ნოემბრის განჩინება დარჩა უცვლელად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ **2014 წლის 8 მაისს განხილული საქმე Nას-1275-1217-2013** და მიღებული გადაწყვეტილება ეხება მოსარჩელე ზ.მ-ს მიერ გასაჩივრებულ

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 20 ნოემბრის განჩინებას და მოპასუხე შპს „რ-ს“ მოთხოვნას გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე.

სარჩელი მოიცავს ზ.მ-სა და შპს „რ-ს“ დირექტორს შორის დადებული ზეპირი სესხის ხელშეკრულებას. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ მსესხებლის მიერ არ არის შესრულებული მხარეებს შორის დადებული რეალური ხელშეკრულების პირობები.

მოსარჩელე მიუთითებს, რომ უტყუარ მტკიცებულებას წარმოადგენს კომპიუტერული ექსპერტიზის დასკვნა, რომლითაც დასტურდება სესხის აღება. მისი განმარტებით საზოგადოების გენერალური დირექტორის თ.მ-ის, ფინანსური დირექტორის გ.ც-ისა და საზოგადოების ფინანსისტის ნ.ე-ის მიმოწერები ადასტურებენ მოსარჩელის მიერ საზოგადოებისათვის თანხის გადარიცხვას.

შპს „რ-მა“ სარჩელი არ ცნო და შესაგებელში მიუთითა, რომ არ არსებობს არც ზეპირი და არც წერილობითი ფორმით შპს „რ“-სა და ზ. მ-ს შორის დადებული სესხის ხელშეკრულება და საბანკო გადარიცხვის ქვითარი არ წარმოადგენს უპირობოდ იმის მტკიცებულებას, რომ მხარეებს შორის წარმოშობილია სასესხო ვალდებულება.

სასარჩელო მოთხოვნაში ერთერთ ძირითად მტკიცებულებას წარმოადგენს მოსარჩელისა და მოპასუხის, ასევე ამ გარიგებაში ჩართული სხვა პირების მიმოწერა ელექტრონული მეილის საშუალებით.

სამსამართლოს პირველმა ინსტანციამ არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა - ელექტრონული ფოსტით განხორციელებული მიმოწერა არ ჩათვალა ელექტრონულ დოკუმენტის ტოლფასად.

სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრების შემდგომ, სასამართლო გამოვიდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 134-ე მუხლის 11 ნაწილისა და „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნებიდან - „ციფრული ხელმოწერით დადასტურებულ ან/და დამოწმებულ ელექტრონულ

დოკუმენტს აქვს მტკიცებულების ძალა“. „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა.ა“ პუნქტის თანახმად კი, ელექტრონულ დოკუმენტში მოიაზრება ელექტრონული, ოპტიკური ან სხვა მსგავსი საშუალების გამოყენებით შექმნილი, გაგზავნილი, მიღებული ან შენახული წერილობითი ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ან არ მქონე ფაქტს. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ საქმეში მრავლად მოიპოვებოდა ისეთი ელექტრონული დოკუმენტი, რომლებიც სარჩელის ფაქტობრივ საფუძვლებთან კავშირში მყოფ ინფორმაციას შეიცავს.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ელექტრონული დოკუმენტები (ელექტრონული ფოსტით განხორციელებული მიმოწერა) იყო წერილობით დოკუმენტებთან გათანაბრებული მტკიცებულებები, რომლითაც შეიძლება დადასტურებულიყო საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სადავო გარემოებები და რომლებიც, საქმის ხელახლა განხილვისას, სათანადოდ უნდა შეფასებულიყო პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ.

ამასთანავე სააპელაციო სასამართლომ ელექტრონული ფოსტით განხორციელებული მიმოწერა გაუთანაბრა ელექტრონულად ხელმოწერილ ელექტრონულ დოკუმენტს და მიანიჭა მტკიცებულებითი ძალა.

ელექტრონული მტკიცებულებების საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელის მოთხოვნა დააკმაყოფილა ნაწილობრივ (შპს „რ..“-ს დაეკისრა ზ.მ-სათვის 300 000 ა.შ.შ დოლარის ექვივალენტის ლარის გადახდა (ნასესხები თანხა პროცენტის გარეშე).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ **2014 წლის 23 სექტემბერს განხილული საქმე Nზს-226-223 (2კ-14)** და მიღებული გადაწყვეტილება ეხება მოსარჩელე შპს „...“ და მოპასუხეებს - სსიპ შემოსავლების სამსახურს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს. გასაჩივრებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

დავის საგანს წარმოადგენს შემოსავლების სამსახურის აუდიტის

დეპარტამენტის მიერ შპს „...“ საგადასახადო შემოწმების შედეგად გადასახდელოდ დარიცხული თანხა, ჯარიმა და შესაბამისი საგადასახადო მოთხოვნა.

საგადასახადო მოთხოვნა შპს-ს გაეგზავნა ელექტრონულად, ელექტრონული ხელმოწერის გარეშე. ერთი თვის შემდეგ შპს-სათვის გადაგზავნილი საგადასახადო მოთხოვნა უკვე შეიცავდა რეკვიზიტს-ელექტრონული ხელმოწერას. შემოსავლების სამსახურში საჩივრის შეტანის ვადა აითვალა პირველი მოთხოვნის გაგზავნიდან. აღნიშნულის გათვალისწინებით, მოსარჩევლე შპს-ს მიერ შეტანილი საჩივარი 30 დღიანი ვადის გაშვების გამო ხანდაზმულად ჩაითვალა.

თბილისის საქალაქო სამსამართლომ მოსარჩელის მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა და ფინანსთა მინისტროს დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილება ბათილად ცნო. მას დაევალა შპს-ს მიმართ ახალი აქტის გამოცემა, ამასთანავე უდავოდ იქნა მიჩნეული დარიცხული და ჯარიმის თანხის დაკისრება.

სასამართლომ სადავოდ მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

შპსს მიმართ გამოცემული პირველი საგადასახადო მოთხოვნა მხარეს გაეგზავნა ელექტრონული ხელმოწერის გარეშე. შემოსავლების სამსახურის დავების დეპარტამენტის 2012 წლის №1270 21-21-1227 დეკემბრის წერილის და ერთიანი ელექტრონული ბაზის მონაცემების მიხედვით, შპს საგადასახადო მოთხოვნას გაეცნო იმავე დღეს. ამავე ბაზის მონაცემების მიხედვით შპს მეორე, უკვე ელექტრონული ხელმოწერის მქონე საგადასახადო მოთხოვნასაც გაეცნო იმავე დღეს;

სადავოა საჩივრის შეტანის ვადის ათვლის საკითხი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებული „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ ინსტრუქციის მე-11 მუხლის სწორი განმარტების შედეგად, ცალსახაა, რომ ელექტრონული ხელმოწერის გარეშე საგადასახადო შეტყობინების გაგზავნა შეესაბამება კანონს, შედეგად, საგადასახადო კოდექსის 264-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, იგი

ჩაბარებულად ითვლება ადრესატის მიერ მისი გაცნობისთანავე, რაც განაპირობებს მისი გასაჩივრების 30 დღიანი ვადის ათვლის დაწყებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ **2021 წლის 19 ოქტომბერს განხილული საქმე Nას-709-2021** და მიღებული გადაწყვეტილება ეხება მოსარჩელე ნ.თ-ს სარჩელს გ.კ-ს წინააღმდეგ. გასაჩივრებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 28 აპრილის განჩინება. დავის საგანია ფულადი ვალდებულების შესრულება.

მოსარჩელის განმარტებით საბანკო გადარიცხვის გზით მოპასუხეს სესხად გადასცა თანხა, მოპასუხემ თანხის ნაწილი დააბრუნა და დარჩენილი თანხის დაბრუნებაზე უარს აცხადებდა, რაც დასტურდებოდა ელექტრონულ ფოსტაზე მიმოწერით. მოპასუხემ არ უარყო აღნიშნული გარემოებები, თუმცა მიიჩნია, რომ მოსარჩელემ მას თანხა გადასცა საჩუქრად, პირადი ხასიათის ახლო ურთიერთობების ჩამოყალიბების მიზნით.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სესხის ხელშეკრულება ცალმხრივი და რეალური ხელშეკრულებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ის დადებულად ითვლება და მხარეთა უფლება-მოვალეობები წარმოიშობა მხოლოდ გამსესხებლის მიერ მსესხებლისათვის ფულის ან სხვა გვაროვნული ნივთის საკუთრებაში გადაცემის მომენტიდან. ამასთან მოქმედი კანონი არ ადგენს გარიგების ფორმის შეზღუდვას და უშვებს სესხის ხელშეკრულების როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმით დადების შესაძლებლობას.

მასალებით უდავოდ დგინდება მოპასუხის მიერ მოსარჩელისაგან თანხის მიღებისა და შემდგომში ნაწილის უკან დაბრუნების ფაქტი.

სააპელაციო პალატა დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს მსჯელობას, რომ ნაწილ საგადასახადო დავალებებში დანიშნულების გრაფაში მოსარჩელის მიერ გაკეთებული ჩანაწერი „მეოცნების დაავადება“ ერთმნიშვნელოვნად არ ადასტურებს მხარეთა შორის ჩუქების ხელშეკრულების არსებობას. პალატამ ყურადღება გაამახვილა, რომ დანიშნულების გრაფაში მოსარჩელეს ასევე მითითებული აქვს „დივიდენდის კაპიტალში

დაბრუნება ივნისამდე“, „პირადი გადარიცხვა“, რაც მიუთითებს, რომ მოსარჩელე თავისი შეხედულებისამებრ ავსებდა დასახელებულ გრაფას და აღნიშნული არ შეიძლება გახდეს მხარეთა შორის სასესხო ურთიერთობის არსებობის გამომრიცხველი გარემოება. ამასთან, საქმეზე დადგენილი უდავო გარემოებების თანახმად, მოპასუხე ელექტრონული წერილით დაპირდა მოსარჩელეს თანხის დარჩენილი ნაწილის ჩარიცხვას. რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს სასესხო ურთიერთობის არსებობას.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით მოპასუხემ ვერ დაადასტურა გარემოება, რომ მის მიერ თანხის ნაწილის გადარიცხვა იყო არა სესხის დაფარვის მიზნით, არამედ საჩუქარზე უარის თქმის გამო.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების - ელექტრონული ფოსტით მიმოწერისა და საბანკო გადარიცხვების დამადასტურებელი დოკუმენტაციის საფუძველზე დაადასტურა მხარეებს შორის სესხის ხელშეკრულება. მოპასუხემ კი აღნიშნულის გაქარწყლება შესაბამისი მტკიცებულებით ვერ შეძლო.

აღნიშნულის საფუძველზე უზენაესმა სასამართლომ საქმე განუხილველად დატოვა დაუშვებლობის გამო და წინა ინსტანციის გადაწყვეტილება დატოვა ძალაში.

აღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილებების გაანალიზების შედეგად ნათლად ჩანს, რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის ავთენტურობისა და დაცულობის საკითხს და რაოდენ დიდი პრობლემების წინაშე დგება ხელმომწერი, როდესაც მტკიცების ვალდებულება ენიჭება.

6.2. სასამართლო პრაქტიკა - საზღვარგარეთის ქვეყნები

2016 წელს ა.შ.შ-ში, კალიფორნიის შტატში, საკრამენტოს სასამართლოში განიხილებოდა საინტერესო შემთხვევა, რომელიც ეხებოდა ადვოკატ (გაკოტრების საქმეებზე) პოლ ბეინსის მიერ პროფესიულ საქმიანობაში DocuSign-ის საშუალებით განხორციელებული ხელმოწერის

ნამდვილობის საკითხს.

ბეინსი საჭირო დოკუმენტაციის გაფორმებისას იყენებდა DocuSign-ის პროგრამულ უზრუნველყოფას.

მოსამართლე რობერტ ბარდვილმა დაადგინა, რომ მიუხედავად სხვადასხვა სფეროში DocuSign-ი ფართოდ გამოყენებისა, მისი მეშვეობით შესრულებული ელექტრონული ხელმოწერა არ ცვლის სველ ხელმოწერას იურიდიულ დოკუმენტებზე.

შეერთებული შტატების რწმუნებულმა (UST) სანქცია დაუწესა ადვოკატს, რასაც საფუძვლად დაუდო გაკოტრების შესახებ ადგილობრივი კანონმდებლობა, სადაც ნათქვამია, რომ ელექტრონულად ხელმოწერილი დოკუმენტი შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იმავდროულად ხელმისაწვდომია დოკუმენტის ასლი „სველი“ ხელმოწერით. გარდა ამისა, მონაცემთა შენახვის ადგილობრივი რეგულაციების შესაბამისად, თავდაპირველად ხელმოწერილი დოკუმენტები შენახული უნდა იყოს 3 წლის განმავლობაში მოთხოვნის შემთხვევაში სასამართლოში მტკიცებულებების სახით წარსადგენად. ბეინსის მიერ შექმნილ დოკუმენტებს არ ჰქონდა სველი ხელმოწერა. გამოყენებული იყო მხოლოდ DocuSign-ის მეშვეობით შექმნილი ხელმოწერა, რაც ამ საქმეში ყველაზე დიდი პრობლემა იყო.

მთავარი პრობლემა იყო ის, რომ DocuSign ხელმოწერებით მანიპულირება ან გაყალბება ძალზე ადვილია, რაც კარს უხნის მხარეებს განაცხადონ, რომ ისინი არ არიან ხელმომწერები. ეს კი გავლენას მოახდენს სამართლებრივი სისტემის მთლიანობაზე. მნიშვნელოვანი ისაა, რომ ადვოკატს სთხოვეს დაემტკიცებინა ელექტრონული ხელმოწერა ნამდვილად ეკუთვნოდა თუ არა ლეგიტიმურ ხელმომწერს. აღმოჩნდა, რომ ეს შეუძლებელი იყო, რადგან DocuSign-ის ელექტრონული ხელმოწერა წარმოიქმნება უბრალოდ ღილაკ - „ხელმოწერა“-ზე „დაწკაპუნებით“. არ არსებობს არანაირი მექანიზმი იმის დასადგენად, ნამდვილად იმ პირის მიერ განხორციელდა „ხელმოწერაზე“ თანხმობის მიცემა, ვისი ხელმოწერაც აისახა, თუ სხვა პირმა ისარგებმა მისი იუზერით და განახორციელა

„ხელმოწერა“, რამდენადაც ეს არის მონაცემის უბრალოდ შევსება/ატვირთვა და მისი შევსება ნებისმიერს შეუძლია.

აშშ-ს სამართლებრივ სისტემაში ეს გადაწყვეტილება ციფრული ავთენტიფიკაციის პლატფორმის მეშვეობით შექმნილი ელექტრონული ხელმოწერის უარყოფის პირველი პრეცედენტი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ ეს გადაწყვეტილება შეეხო კალიფორნიის ერთ რაიონს, ჩვეულებრივი პრაქტიკაა სხვა ქალაქებისა და შტატებისთვის წინასწარ დადგენილი შემთხვევების ციტირება, რაც პრეცედენტს ქმნის აშშ-ში.

ხელმოწერის ბათილად ცნობისათვის უნდა არსებობდეს საკმარისი მიზეზი. ამ შემთხვევაში პლატფორმამ ვერ უზრუნველყო მისი მეშვეობით შესრულებული ელექტრონული ხელმოწერის გაყალბებისაგან დაცულობისა და ავთენტურობისათვის საჭირო მონაცემების შექმნა/წარდგენა.

მიღებულმა გადაწყვეტილებამ შესაძლოა სერიოზული გავლენა მოახდინოს DocuSign-ზე, რამდენადაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგება იურიდიული თვალსაზრისით მასზე შესრულებული ელექტრონული ხელმოწერის სანდოობა და ელექტრონულად შემოწმების შესაძლებლობა.

ელექტრონული ავთენტიფიკაცია ძალიან მნიშვნელოვანი კონცეფციაა დღევანდელ მსოფლიოში.

უნდა არსებობდეს კონტროლის საშუალება ხელმოწერის ავთენტურობის უზრუნველსაყოფად და გზა იმის დასადასტურებლად, რომ ხელმოწერა მართლაც ლეგიტიმური პირის მიერ იყო მოწოდებული. DocuSign-მა ვერ შეძლო სასამართლოში დაემტკიცებინა ხელმოწერის ნამდვილობა და ავტორის ავთენტურობა. სწორედ ეს ფაქტი აყენებს ციფრული ხელმოწერის პლატფორმებს უდიდეს ზიანს და გვევლინება მათ ფატალურ ხარვეზად.[57]

2018 წელს ჩრდილოეთ კაროლინას სააპელაციო სასამართლომ მხარი დაუჭირა Bank of America-ს შემაჯამებელ გადაწყვეტილებას, რომელიც ნაწილობრივ დაფუძნებულია DocuSign ჩანაწერებზე. **IO Moonwalkers, Inc. v Banc of America Merchant Services**, 814 S.E.2d 583 (N.C. App. 2018). სასამართლომ ძალაში დატოვა ელექტრონულად ხელმოწერილი ხელშეკ-

რულება, თუმცა მან ეს გააკეთა რატიფიკაციის თეორიის საფუძველზე, რაც ხაზს უსვამს რისკს, რომ სადავო ელექტრონული ხელმოწერის შემთხვევაში მხარეს, რომელიც ცდილობს ხელმოწერის აღსრულებას, შეიძლება დასჭირდეს დამატებითი მტკიცებულება უბრალო ციფრული კვალის მიღმა.

Banc of America Merchant Services (BAMS) საკრედიტო ბარათების დამუშავების მომსახურებას უწევდა კომპანია „IO Moonwalkers“-ს. მხარეებს შორის წარმოიშვა დავა თაღლითური გზით განხორციელებული შესყიდვების გამო თანხის უკან დაბრუნებაზე. კომპანიამ განაცხადა, რომ ბანკთან არასოდეს გაუფორმებია კონტრაქტი ელექტრონული ფორმით. სასამართლოს სხდომაზე ბანკმა წარადგინა DocuSign ჩანაწერები, სადაც ნაჩვენებია იყო თარიღი და დრო, როდესაც კომპანიამ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ნახა ხელშეკრულება, მოაწერა ხელი და შემდეგ ნახა საბოლოო, ხელმოწერილი ვერსია. Moonwalkers არ დაობდა ბანკის მიერ წარდგენილ დოკუმენტებზე, ის ამტკიცებდა, რომ ხელშეკრულების ხელმოწერი იყო არაუფლებამოსილი პირი.

პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებმა მტკიცებულებების საფუძველზე აღიარეს ხელშეკრულების ნამდვილობა. თუმცა ვერ შეძლეს დაედგინათ, რომ კომპანიის მხრიდან ნამდვილად უფლებამოსილი პირის მიერ განხორციელდა ელექტრონული გზით დადებულ ხელშეკრულებაზე ხელმოწერა. ნაცვლად ამისა სასამართლოებმა დაადგინეს, რომ DocuSign-ის ჩანაწერებით დასტურდება Moonwalkers-ის მიერ კონტრაქტის პირობების შესწავლის და მისი ხელმოწერის ფაქტი.

სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებიდან ნათლად იკვეთება, რომ DocuSign-ის ჩანაწერები იყო დამაჯერებელი მტკიცებულება, მაგრამ თავისთავად არ მიუთითებდა ხელშეკრულების ნამდვილობაზე და სავალდებულო ბუნებაზე, ვინაიდან ვერ ახდენდა ხელმოწერის ავთენტიფიკაციას.[58]

2012 წლის მარტში განიხილებოდა საქმე **Golden Ocean Group Ltd v Salgaocar Mining Industries Pvt Ltd**. სააპელაციო სასამართლოს უნდა განეხილა, იყო თუ არა საგარანტიო ხელშეკრულება აღსასრულებლად

სავალდებულო. ხელშეკრულება გარანტიის ერთი დოკუმენტის ნაცვლად შეიცავდა დოკუმენტების სერიას, მათ შორის ელექტრონული ფოსტით გაგზავნილ წერილებს, რომლებიც სავარაუდოდ ხელმოწერილი იყო დამკვეთის მიერ.

დავა ეხებოდა Golden Ocean-ის პრეტენზიას სავარაუდო გარანტიის შესახებ დაახლოებით 57 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით, რაც გამოწვეული იყო სავარაუდო გრძელვადიან ჩარტერზე უარით. 2008 წლის დასაწყისში Golden Ocean-მა შესთავაზა SMI-ის (ან SMI გარანტირებული ანგარიშის) გემის დაქირავება იმ პირობით, რომ ჩარტერული პერიოდის ბოლოს ექნებოდა გემის შეძენის შესაძლებლობა. წესდების შესაქმნელად შეირჩა კომპანია Trustworth Shipping Pte Ltd. ამ გადაწყვეტილების შემდეგ მოლაპარაკებები ტარდებოდა ელექტრონული ფოსტით და ნდობა სრულად გარანტირებული იყო SMI-ს მიერ.

დაპირისპირების წარმოშობის შემდეგ ამტკიცებდნენ, რომ ელექტრონული ფოსტის ჯაჭვი იყო ძალიან ფრაგმენტული და არასაკმარისი გარანტიის შესაქმნელად. არ არსებობდა არც ერთი დოკუმენტი, რომელიც შეიძლებოდა ყოფილიყო იდენტიფიცირებული, როგორც საგარანტიო ხელშეკრულება. სწორედ ამიტომ შემდგომში ითქვა, რომ გარანტია არ არის აღრასრულებლად სავალდებულო.

პირველმა მოსამართლემ, კრისტოფერ კლარკმა განაცხადა:

„ძალზე სასურველია, რომ კანონს მოქმედებაში მოჰყავდეს შეთანხმებები, რომლებიც დადებულია ელექტრონული ფოსტის შეტყობინებების სერიის მეშვეობით, რომლებიც უფრო მკაფიოდ ასახავენ დადებულ შეთანხმებებს. აქ უფრო ნათლად ჩანს თანმიმდევრობა, საპასუხო შეთავაზებები და საბოლოოდ მიღებული გადაწყვეტილება, ვიდრე ბევრ მოლაპარაკებაში ბიზნესმენებს შორის“.

გარდა ამისა, მოსამართლემ დაადგინა ფაქტი, რომ კონტრაქტის შემადგენელი ელექტრონული წერილები ხელმოწერილი იყო მათი გამომგზავნი პირების ელექტრონულად დაბეჭდილი ხელმოწერებით - ეს საკმარისი იყო თაღლითობის შესახებ დებულების (Statute of Frauds)

მიზნებისთვის. მოსამართლის ამ მიდგომას მხარი დაუჭირა სააპელაციო სასამართლომაც.

სააპელაციო სასამართლოში მოსამართლე ლორდ ტომლინსონის განმარტებით თაღლითობის შესახებ დებულებაში არ არსებობს პირდაპირი მითითება, რომელიც ცალსახად აცხადებს, რომ წერილობითი შეთანხმება უნდა შედგებოდეს ერთი ან თუნდაც შეზღუდული რაოდენობის დოკუმენტებისაგან. გადამწყვეტია იმის უზრუნველყოფა, რომ მხარეებმა ზუსტად იცოდნენ, რას დაჰპირდნენ ერთმანეთს, თავიდან იქნეს აცილებული ორაზროვნება და გაურკვევლობა და არსებობდეს დასაბუთება იმის გადასაწყვეტად, რომელი მხარე ამბობს სიმართლეს, იყო თუ არა გაცემული სიტყვიერი დაპირება.

დღევანდელ მსოფლიოში კომერციული ხელშეკრულებების დადება ძალზე მოსახერხებელია გარანტიის ხელშეკრულების ერთ დოკუმენტში მოთავსების გზით, თუმცა ასევე მიღებული და გავრცელებულია ელექტრონული ფოსტის გაცვლის გზით დადებული გარიგებების მრავალი განსხვავებული ფორმა.

ფაქტობრივად, მკაფიო თანხმობის დასადგენად საჭიროა მხოლოდ ორი ელექტრონული წერილის განხილვა.

თუ ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული დოკუმენტები გულისხმობს შემდეგი ხელშეკრულების შესრულებას, ჩნდება საკითხი, არის თუ არა ამ დამატებითი ხელშეკრულების შესრულება გარიგების პირობა, თუ ეს უბრალოდ მხარის ნების გამოხატვაა. თავდებს შეეძლო მკაფიოდ ეთქვა, რომ იგი არ იქნებოდა ვალდებული, სანამ რაიმე სახის ოფიციალურ დოკუმენტს არ მოაწერდა ხელს. ანალოგიურად შეეძლო მოქცევა მფლობელს. ეს არც ერთმა მხარემ არ გააკეთა.

როდესაც განხილვა მივიდა ელექტრონულ ხელმოწერამდე, მიიჩნიეს, რომ მთავარი იყო დოკუმენტზე არსებულიყო თავდების ხელმოწერა ნებისმიერი ფორმით. დოკუმენტი, რომელიც ადასტურებდა გარანტიას - იყო ელექტრონული წერილი, რომელსაც ბოლოში ერთვოდა ბროკერის სახელი. გამოითქვა მოსაზრება, რომ ეს სრულებითაც არ წარმოადგენდა

ელექტრონულ ხელმოწერას და არ გამოდგებოდა გარანტიის დოკუმენტის დასამოწმებლად. სასამართლოს აზრით, საკუთარი სახელის მითითებით ელექტრონული წერილის ბოლოს ბროკერმა დაადასტურა წერილის შემცველობაზე თანხმობა და თავისი უფლებამოსილების ფარგლებში აიღო პასუხისმგებლობა. გარდა ამისა, სასამართლომ აღნიშნა, რომ პროფესიონალი ბროკერები იაზრებენ, რომ მათ ქმედებებს და კომუნიკაციას მოყვება შედეგები. ამ შემთხვევაში ეს არ იყო უბრალო უშინაარსო მიმოწერა, მიმოწერის შედეგად განხორციელდა ჩარტერი და ასევე გაიცა გარანტია. შესაბამისად, სრულებით საკმარისია რომ წერილის ბოლოს სახელის მინაწერი განიხილებოდეს როგორც ხელმოწერა (როგორც ამას მოითხოვს თაღლითობის შესახებ დებულება).

სასამართლომ ელექტრონული ფოსტის გაცვლის გზით დადებულ ელექტრონულ ხელშეკრულებად მიიჩნია მხარეთა შორის გარიგების საკითხზე არსებული მიმოწერა და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება. [59]

2014 წელს ა.შ.შ-ში მეცხრე ოლქის სააპელაციო სასამართლოში განიხილებოდა სარჩელი (*J.B.B. Inv. Partners, Ltd. v. Fair* - 232 Cal. App. 4th 974, 182 Cal. Rptr. 3d 154), რომლის მიზანიც იყო ელექტრონული ხელმოწერის ნამდვილობის დადგენა. მხარეთა შორის არსებული ელექტრონული ფოსტით მიმოწერის, ტექსტური და ხმოვანი შეტყობინებების მიუხედავად, რომლებშიც მითითებული იყო შეთანხმების პირობები, მეცხრე ოლქის სააპელაციო სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება არ ჩაეთვალა ელექტრონული ხელმოწერა ნამდვილად. რადგან სასამართლოსათვის წარდგენილი იქნა დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც მხარეები არასოდეს შეთანხმებულან გარიგების ელექტრონული ფორმით ჩატარებაზე. ამრიგად, მოპასუხე მხარის სახელი, რომელიც იბეჭდება ელექტრონულ წერილზე და რომლითაც განისაზღვრებოდა შეთანხმების პირობები, არ ჩაითვალა როგორც აღსასრულებლად სავალდებულო ელექტრონული ხელმოწერა.

UETA-ს თანახმად, თუკი დასაქმებული ასაჩივრებს, რომ დოკუმენტზე განხორციელებული ელექტრონული ხელმოწერა მის მიერ არ არის

შესრულებული, მტკიცების ტვირთი ეკისრება დამსაქმებელს.[60]

2014 წელს სააპელაციო სასამართლო განიხილავდა დავას ყოფილ დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის (**Ruiz v. Moss Bros. Auto Grp., Inc.** - 232 Cal. App. 4th 836, 181 Cal. Rptr. 3d 781). დამსაქმებელს პრობლემა შეექმნა, როდესაც ყოფილმა თანამშრომელმა უარი განაცხადა, რომ მიიღო და ხელი მოაწერა საარბიტრაჟო შეთანხმებას. ყოფილი თანამშრომელი ამბობდა, რომ მისი კომპიუტერიდან ამობეჭდილი სახელი, გვარი და შაბლონზე მოცემული რიცხვების და ასოების შემთხვევითი სერია წარმოადგენდა მის გაყალბებულ თანხმობას არბიტრაჟზე და სინამდვილეში მას ხელი არაფერზე მოუწერია.

დამსაქმებელმა იმისათვის, რომ ეჩვენებინა ელექტრონული ხელმოწერის ნამდვილობა განმარტა და სასამართლოს წარუდგინა მტკიცებულება, რომ ყველა დასაქმებული პერსონალური, უნიკალური სახელითა და მხოლოდ მისთვის ცნობილი პაროლით შედიოდა პროგრამაში პერსონალური კომპიუტერის მეშვეობით, საიდანაც მოხდა საარბიტრაჟო დოკუმენტის ნახვა და ხელმოწერა.

მიუხედავად ზემოხსენებულისა, სააპელაციო სასამართლომ საკმარისად არ მიიჩნია დამსაქმებლის არგუმენტები იმის შესახებ, რომ ელექტრონული ხელმოწერა ნამდვილად ყოფილმა თანამშრომელმა განახორციელა. სასამართლომ მიიჩნია, რომ დამსაქმებლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები ვერ ადასტურებდა იმას, რომ ელექტრონული ხელმოწერის შესრულება შეეძლო მხოლოდ ამ პიროვნებას, რომ მხოლოდ მას ჰქონდა დაშვება კონკრეტულ კომპიუტერთან და კონკრეტულ იუზერთან და სისტემაში ხელმოწერის განხორციელების საშუალება მისი უნიკალური სახელითა და პაროლით სხვას არავის შეეძლო.[61]

2016 წელს ა.შ.შ-ში კალიფორნიის შტატის სააპელაციო სასამართლოში (**Espejo v. Southern California Permanente Medical Group**) დავა მიდიოდა სამხრეთ კალიფორნიის პერმანენტული მედიცინის ჯგუფსა და მის ექიმს ესპეხო ვ-ს შორის.

ესპეხო ამტკიცებდა რომ მას ელექტრონული ხელმოწერა არ

განუხორციელება საარბიტრაჟო შეთანხმებაზე.

დამსაქმებელმა უზრუნველყო საკმარისი მტკიცებულების წარდგენა, რომ ელექტრონული ხელმოწერა ეკუთვნოდა ესპეხოს -ის სისტემაში შესასვლელად იყენებდა უნიკალურ სახელს და პაროლს, შემდეგ კი სისტემამ მას პაროლის განახლება სთხოვა, რათა მიეღო დოკუმენტი, რომლის შესახებაც მხოლოდ ესპეხომ იცოდა. დამსაქმებელმა ასევე აჩვენა, რომ სისტემამ შტამში დასვა ელექტრონული ხელმოწერის ზუსტი თარიღისა და დროის მითითებით, ამ დოკუმენტში ასევე მოცემული იყო ინტერნეტ მიმწოდებლის მისამართი, რომლიდანაც ესპეხომ ხელი მოაწერა დოკუმენტს. ამ მტკიცებულებების საფუძველზე, სასამართლომ დაასკვნა, რომ საარბიტრაჟო შეთანხმებაზე ელექტრონული ხელმოწერა შესრულდა სათანადოდ და ნამდვილად ესპეხოს მიერ იყო განხორციელებული. შესაბამისად, ხელმოწერილ საარბიტრაჟო შეთანხმებაში მოცემული პირობები დაექვემდებარა აღსრულებას.[62]

ამრიგად, განხილული სასამართლო გადაწყვეტილებები ნათლად აჩვენებს, რომ ელექტრონული ხელმოწერის ექსპერტიზის შეუძლებლობა უდიდეს პრობლემას წარმოადგენს მსოფლიო მასშტაბით სხვადასხვა მიმართულებით ოპერირებადი მრავალი ორგანიზაციისათვის, რასაც ხშირ შემთხვევაში დიდი ფინანსური დანაკარგები მოსდევს.

ასევე, სასამართლო გადაწყვეტილებებით ნაჩვენებია მოცემულობა, რომ ელექტრონული ხელმოწერის ნამდვილობის განხილვისას (ექსპერტიზის შეუძლებლობის ფონზე) გამოყენებული მაჩვენებლები არასაიმედოა და ერთგვაროვანი საკითხების განხილვისას ხშირად განაპირობებენ სხვადასხვა სახის გადაწყვეტილების მიღებას.

ლაბორატორიული ექსპერიმენტი.

კვლევის ფარგლებში კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების სირთულის დასდგენად ჩატარდა ლაბორატორიული ექსპერიმენტი. ასევე, შესწავლილ იქნა საქართველოში კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის განხორციელებისათვის საჭირო დრო.

კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა სპეციალური მოწყობი-

ლობის საშუალებით ელექტრონულად შესრულებული ხელმოწერაა. ელექტრონულ დოკუმენტზე კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერისათვის საჭიროა ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ID ბარათი, მისი წამკითხველი, შესაბამისი კოდები და პროგრამები: პირადობის ელექტრონული მოწმობის უნივერსალური პროგრამა (რეკომენდირებულია :- Microsoft Windows 64-bit) ან PSDA NexU და Adobe Reader, რომელთა გადმოწერა შესაძლებელია www.id.ge-დან.

ექსპერიმენტი ჩატარდა მოცემულობით, რომ მოქალაქე უკვე ფლობს ID ბარათს, მის წამკითხველს და შესაბამის კოდებს.

აღნიშნული პროგრამების ჩამოტვირთვისა და ინსტალაციის შემდეგ, კომპიუტერზე ერთდება ID ბარათის წამკითხველი და მასში თავსდება ID ბარათი. პირადობის ელექტრონული მოწმობის უნივერსალური პროგრამის გასაშვებად საჭიროა პროგრამის პიკტოგრამაზე ორჯერ დაწკაპუნება, პროგრამის მენიუში ღილაკ „ციფრული ხელმოწერა“-ს არჩევა, გამოსულ ფანჯარაში ფაილის ველის გასწვრივ ღილაკ „არჩევა“-სა და ხელმოსაწერი PDF ფაილის მონიშვნა. აღნიშნული ქმედებების შემდეგ ხდება სასურველი ხელმოწერის ტიპის არჩევა. დოკუმენტზე შესაძლებელია დამატებითი ფაილის მიბმაც. პროცესის დასასრულებლად საჭიროა ღილაკ „ხელმოწერა“-ს არჩევა, შესაბამისი ელექტრონული ხელმოწერის პინ კოდის შეყვანა და ღილაკ „დადასტურება“-ს არჩევა.

კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შესამოწმებლად საჭიროა კომპიუტერში დაინსტალირებული იყოს პროგრამა Adobe Reader. ამ პროგრამის მეშვეობით გახსნილი ხელმოწერილი PDF ფაილი მარცხენა ზოლში ჩანართ „signichers“ არჩევისას აჩენს ელექტრონულ ხელმოწერას.

თუ დოკუმენტზე ხელს აწერს ორი ან მეტი პირი, საჭიროა ხელმომწერებთან ელექტრონულად ხელმოწერილი დოკუმენტის გაგზავნა.

ექსპერიმენტის მიზანი იყო დადგენილიყო კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის განხორციელებისათვის საჭირო საერთო დრო. გათვალისწინებული იყო დამატებითი პროგრამისა და პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაციისათვის საჭირო დრო.

ექსპერიმენტი განხორციელდა მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის პირობებში IT სპეციალისტის მიერ. ცდა გამეორდა 50-ჯერ.

ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგად დადგინდა შემდეგი:- კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის განხორციელებისათვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერში ჩამოტვირთვისა და ინსტალაციისათვის საჭირო დრომ საშუალოდ შეადგინა 3 წუთი და 51 წამი.

Adobe Reader -ის ჩამოტვირთვისა და ინსტალაციისათვის საჭირო დრომ საშუალოდ შეადგინა 1 წუთი და 05 წამი.

ID ბარათით კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის განხორციელების საშუალო დრომ შეადგინა 1 წუთი და 58 წამი (გათვალისწინებული არ არის დამატებითი ფაილის მიმაგრების შემთხვევა).

ექსპერიმენტების შედეგებიდან გამომდინარე დადგინდა, რომ მაღალსიჩქარიანი ინტერნეტისა და IT ტექნოლოგიების სპეციალისტის მიერ შესრულებული ქმედებების შედეგად, იმის გათვალისწინებით, რომ განხორციელდა საჭირო პროგრამისა და პროგრამული უზრუნველყოფის დაინსტალირება, ჯამურად კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შექმნისათვის საშუალოდ საჭიროა 6 წუთი და 14 წამი. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის განხორციელება ხდება უკვე დაინსტალირებულ პროგრამაზე, იგივე მოცემულობით, ჯამური საშუალო დრო შეადგენს 2 წუთსა და 63 წამს.

ჩატარებული ლაბორატორიული კვლევის შედეგად გამოიკვეთა კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის განხორციელებისათვის საჭირო საშუალო მინიმალური დრო. (იხ. დანართი N22)

დასკვნა

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის პროცესში გაანალიზებულია მსოფლიოსა და საქართველოში ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის, გავრცელებისა და ექსპერტიზის მიმართულებით არსებული მდგომარეობა და პრობლემები.

საქართველოში ელექტრონული ხელმოწერის იმპლემენტაციის მიმართულებით არსებული ვითარების დასადგენად გაანალიზებულია როგორც საჯარო (ადგილობრივი თვითმმართველობის მაგალითზე), ისე კერძო (საბანკო სექტორის მაგალითზე) სექტორში არსებული მდგომარეობა. გამოკვეთილია ამ მიმართულებით მიღწეული წარმატებები და არსებული პრობლემები.

ანალიზისათვის გამოყენებულია: „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“, „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მოწოდებული სტატისტიკური მონაცემები. ასევე, საქალაქო და უზენაესი სასამართლოების, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული მონაცემები.

ასევე, გაანალიზებულია საქართველოს, ევროკავშირის ქვეყნების, დიდი ბრიტანეთის, კანადის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის ფედერაციის საკანონმდებლო ბაზები. გამოკვეთილია ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის როგორც წარმატებული, ისე წარუმატებელი მაგალითები.

საქართველოში არსებული საკანონმდებლო ბაზის საერთაშორისო მოთხოვნებთან შესაბამისობისა და მსოფლიო მასშტაბით არსებული პრაქტიკის შესწავლის მიზნით, განხილულია მსოფლიოს ლიდერ სახელმწიფოებში ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის, განვითარების, ავთენტურობისა და ექსპერტიზის კუთხით არსებული ვითარება.

განხორციელებულ ანალიზში ნათლადაა მოცემული, ამ ეტაპზე,

ელექტრონული ხელმოწერების სხვადასხვა ტიპის ავთენტურობისა და ექსპერტიზის მიმართულებით არსებული ყველა პრობლემა, რომლებიც მსოფლიოს განვითარებული ქვეყნებისათვისაც კი დღემდე გადაულახავ დაბრკოლებად რჩება.

საქართველოში ელექტრონული ხელმოწერის დანერგვა მეტ-ნაკლებად წარმატებულად მიმდინარეობს. კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის იმპლემენტაციის პრობლემებზე მეტყველებენ ის კანონქვემდებარე აქტები, რომლებშიც ცვლილებებად აისახა იმპლემენტაციის ვადების გაგრძელების საკითხები. სადოქტორო კვლევის ფარგლებში მოძიებული ინფორმაციისა და სტატისტიკური მონაცემების ანალიზის შედეგად მიღებული მასალა სრულად ასახავს ამ დროისათვის კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შესახებ ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას.

საქართველოში (ადგილობრივ თვითმმართველობასა და საბანკო სექტორში) კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის კუთხით არსებული სტატისტიკური მონაცემების ანალიზის საფუძველზე დადგენილია, რომ გატარებული რეფორმებისა და შესაბამისი ღონისძიებების მიუხედავად, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის იმპლემენტაცია სათანადოდ ვერ მიმდინარეობს.

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ინფორმაციაზე დაყრდნობით დადგენილია, რომ არსებობს ექსპერტიზის მხოლოდ ერთი ფაქტი, ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტისაგან მიღებული ინფორმაციით დასტურდება, რომ ელექტრონულ ხელმოწერაზე ექსპერტიზა არ ტარდება.

ქართული და საზღვარგარეთის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე დადგენილია, რომ ელექტრონული ხელმოწერის ექსპერტიზის შეუძლებლობის გამო, ექსპერტიზა ტარდება კომპიუტერებზე ან ელექტრონულ კვალზე. სასამართლოებში ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული გზით შექმნილი დოკუმენტების ნამდვილობის შესახებ მსჯელობისას, ელექტრონული ხელმოწერის ექსპერტიზის შეუძლებლობის

გამო ვერ ხორციელდება სანდო მონაცემებზე დარყდნობით შესრულებული დასკვნის დადება, ხოლო გამოყენებული ალტერნატიული მაჩვენებლები არასაიმედოა და ერთგვაროვანი საკითხების განხილვისას ხშირად განაპირობებენ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღებას.

საქართველოს მიერ მიღებული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების და გატარებული რეფორმების მიუხედავად, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის მაჩვენებელი დაბალია. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის საკანონმდებლო ბაზა სრულად შეესაბამება საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს.

ანალიზის შედეგად დადგენილია ელექტრონული ხელმოწერის მიმართულებით არსებული ძირითადი პრობლემები. კერძოდ, გავრცელების სირთულის მიზეზები და სასამართლო ექსპერტიზის შეუძლებლობის საკითხი.

ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ საქართველოსა და მსოფლიოს სასამართლო პრაქტიკისა და ექსპერტიზის კუთხით გაანალიზებული მონაცემებით დადგენილია დღეს არსებული ტექნოლოგიების, ელექტრონული ხელმოწერის პლატფორმების ხარვეზები და პრობლემები.

ხელმოწერის შექმნის თანამედროვე მოწყობილობების Sign Pad-ების ტექნიკური მახასიათებლების ანალიზით დასაბუთებულია ელექტრონული ხელმოწერის ექსპერტიზისათვის არასაკმარისი ტექნიკური მონაცემების არსებობა.

მომიებული სტატისტიკური მონაცემებისა და ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, ასევე საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, ნაპოვნია არსებული პრობლემების გადაჭრის ინოვაციური გზა.

შემუშავებულია ინოვაციური კონცეფცია და ინიციატივა, რომლის თანაავტორი არის ასოცირებული პროფესორი, ბატონი დავით ლელაძე.

კვლევის ფარგლებში შეთავაზებული ინოვაციური კონცეფცია ეხება იდეას ახალი ტიპის ელექტრონული მოწყობილობის შექმნის შესახებ. მისი ტექნიკური მახასიათებლებიდან გამომდინარე, შესაძლებელი გახდება

ელექტრონულ ხელმოწერასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრა. აღნიშნული კონცეფცია უზრუნველყოფს ახალი ტექნოლოგიის დანერგვას, რომელიც განაპირობებს ელექტრონული ხელმოწერის ავთენტურობას, უსაფრთხოების მაღალ დონესა და ექსპერტიზის შესაძლებლობას. კონცეფციის დანერგვის შემთხვევაში, აღნიშნული ინიციატივა გულისხმობს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ბაზაზე არსებულ სერვერებზე „დაშიფრული ელექტრონული ხელმოწერების საცავის“ შექმნას.

გამოვლენილ პრობლემებზე დაკვირვების, გაანალიზებული მონაცემების, არსებული სტატისტიკის, განხილული სასამართლო და საექსპერტო პრაქტიკის, სფეროს სპეციალისტების მიერ ჩატარებული კვლევების ანალიზისა და არსებული სამეცნიერო ლიტერატურის განხილვის შედეგად ნაპოვნია გამოსავალი, თუ როგორ უნდა გადაიჭრას ელექტრონული ხელმოწერის ავთენტურობის, ვერიფიკაციის და ექსპერტიზის შეუძლებლობის მიმართულებით არსებული პრობლემები.

კონცეფციის ფარგლებში შემუშავებულ მოწყობილობაზე შექმნილი ელექტრონული ხელმოწერის ტიპი სანდობისა და ავთენტურობის დონით გაუთანაბრდება კვალიფიციურ ელექტრონულ ხელმოწერას, ხოლო ხელმოწერის პროცედურის განხორციელება გახდება მეტად მარტივი, მოქნილი, სწრაფი და ყველასათვის ხელმისაწვდომი.

კვლევის მიგნებას წარმოადგენს თანამედროვე ტექნოლოგიებისა და სენსორული მოწყობილობების გამოყენებით ახალი ტიპის Sign Pad-ის შექმნა, რომელიც მოგვცემს სხვადასხვაგვარი ინფორმაციის **შეკრების, შენახვის და გადაცემის** საშუალებას. იგი დღეს არსებული პადებისაგან განსხვავებული იქნება ინფორმაციის წაკითხვისა და დამახსოვრების, მინიმუმ, შემდეგი უნარით: კალმის დაწოლის ძალა, კალმის დახრის კუთხე, ხელმოწერის ხანგრძლივობა, ხელმოწერის ვიზუალური მხარე (გრაფიკა), ხელმოწერის დრო, თარიღი და გეოლოკაცია.

ეს არის ის ძირითადი მარკერები, რომლებიც ექსპერტს საშუალებას მისცემენ დაადასტუროს ან უარყოს ელექტრონული ხელმოწერის ნამდვილობა.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი მიგნება წარმოადგენს უნიკალურ სისტემას, რომელსაც აქვს უნარი განვითარდეს და ადაპტირდეს. საჭიროების შემთხვევაში დაემატოს სხვადასხვა ტიპის მარკერი, რაც მიგნებას გახდის უფრო სრულყოფილსა და ყოვლისმომცველს.

კვლევის ფარგლებში შემოთავაზებული მიგნება - ახალი ტიპის საინჟინერინგო შექმნა, რომელსაც ექნება შემდეგი უპირატესობები:

მომხმარებელს აღარ დასჭირდება კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შექმნისათვის აუცილებელი - ID ბარათი, დამატებითი მოწყობილობა, კოდები და პაროლები, პროგრამული უზრუნველყოფა. ჩვენი მიგნების მიხედვით შექმნილი მოწყობილობა საშუალებას მოგვცემს ამ ყოველივეს გარეშე, შეიქმნას ავტენტური ელექტრონული ხელმოწერა და დაიტანებოდეს შესაბამის ელექტრონულ დოკუმენტზე.

აღნიშნული მიგნება არ საჭიროებს დამატებით პროცედურებს, კოდების დამახსოვრებას და სხვადასხვა მანიპულაციებს. იქნება ბევრად სწრაფი, ვიდრე დღეს არსებული მეთოდები. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს მიერ შემოთავაზებული მარკერების გაყალბება პრაქტიკულად შეუძლებელია.

ჩვენი მიგნება არის ინოვაციური გადაწყვეტილება, რომელსაც შეუძლია გადაჭრას ხელმოწერის სანდოობის და ექსპერტიზის კუთხით არსებული პრობლემები.

რაც შეეხება ელექტრონული ხელმოწერების ელექტრონულ დოკუმენტზე დატანისა და არქივირება/შენახვის საკითხს - საინჟინერინგო პადზე დატანის შემდეგ შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით ელექტრონული ხელმოწერა აისახება ელექტრონულ დოკუმენტზე.

საქართველოში ელექტრონული მმართველობის განვითარების ამ ეტაპზე, ელექტრონული ხელმოწერის გავრცელების/განვითარების მაჩვენებლებიდან გამომდინარე, სრულად ელექტრონული ხელმოწერის შექმნა ვერ იქნება თვითმყოფადი. საინჟინერინგო პადზე შექმნილ ელექტრონულ ხელმოწერას გამოვიყენებთ ორი მიმართულებით - ის ამოიბეჭდება მატერიალურ დოკუმენტზე და შეინახება ელექტრონულ დოკუმენტში.

ხელმოწერის შესახებ ინფორმაციის ასახვა მატერიალურ დოკუმენტზე შესაძლებელი იქნება როგორც QR კოდის, ისე გრაფიკული გამოსახულების დატანით.

ელექტრონული ხელმოწერა განხორციელებისთანავე გადაეცემა შესაბამის საცავს. მონაცემთა გადაცემის პროცესი, საიმედოობის მაღალი სტანდარტის დასაკმაყოფილებლად, განხორციელდება ბლოკჩეინ ტექნოლოგიის გამოყენებით.

მონაცემების სანდოობისა და დაცულობის მიზნით, ასევე ექსპერტებისათვის შემდგომი ექსპერტიზის განხორციელების შესაძლებლობის მიცემისათვის, **შემუშავებულია ინიციატივა** - საქართველოში იუსტიციის სამინისტროს ბაზაზე არსებულ სერვერებზე **„დაშიფრული ელექტრონული ხელმოწერების საცავის“** შექმნის შესახებ. სწორედ აღნიშნულ საცავში გადაიგზავნება ახალი ტიპის პაღზე შექმნილი ხელმოწერები ყველა შესაბამისი მაიდენტიფიცირებელი მონაცემის დართვით.

ამ გზით დაგროვებული ელექტრონული ხელმოწერის მონაცემები შესაძლებლობას მისცემს ექსპერტებს, ექსპერტიზისას ერთმანეთთან შესადარებლად, გამოიყენონ როგორც შემუშავებული მარკერები, ისე კონკრეტული პიროვნების მიერ სხვადასხვა დროს განხორციელებული ელექტრონული ხელმოწერა. დასკვნისათვის გამოყენებული იყოს მაგალითად, შედარების გზით, საშუალო მონაცემის გამოყვანის პრინციპი. შედარების განხორციელება, რა თქმა უნდა, შესაძლებელი იქნება ზემოთ განხილულ მარკერებზე. შედეგად ექსპერტს შესაძლებლობა მიეცემა მიიღოს გადაწყვეტილება ელექტრონული ხელმოწერის ავთენტურობის ან სიყალბის შესახებ.

ახალ მოწყობილობას, „დაშიფრული ელექტრონული ხელმოწერების საცავს“, სერვერებსა და ექსპერტების კომპიუტერებს შორის ინფორმაციის გაცვლისათვის გამოყენებული იქნება ბლოკჩეინ ტექნოლოგია.

ჩვენი მიგნება - ახალი ტიპის საინ პადის შექმნის შესახებ და ნოვაციური იდეა - „დაშიფრული ელექტრონული ხელმოწერების საცავის“ შექმნის შესახებ ერთიანობაში უზრუნველყოფს ელექტრონული ხელმოწე-

რის ძირითადი პრობლემების გადაჭრას.

ავთენტურობისა და სანდოობის მაღალი დონე, ექსპერტიზის შესაძლებლობა, ხელმისაწვდომობა, სისწრაფე, დამატებითი პროგრამული უზრუნველყოფების, კოდების, პაროლების საჭიროების არ ქონა - არის მიგნების მთავარი უპირატესობა.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომის ფარგლებში განხორციელებული კვლევებისგან მიღებული შედეგების საფუძველზე, ინოვაციური კონცეფციის შემუშავების პროცესში, ნაშრომის მთავარი მიგნების - ახალი ტიპის საინჟინერო შესაძლებლობის, საჭიროების, გამოსადეგობის, მასზე შესრულებული ელექტრონული ხელმოწერის ექსპერტიზის შესაძლებლობის, მისი უსაფრთხოებისა და დაცულობის საკითხებზე ექსპერტული შეფასებისათვის მივმართეთ სხვადასხვა დარგის წამყვან ექსპერტებს.

სხვადასხვა დროს კონსულტაციები და ინტერვიუ განხორციელდა: -

შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის გრაფიკული და დოკუმენტების ტექნიკური ექსპერტიზის განყოფილების უფროსთან/მთავარ ექსპერტთან - ქალბატონ მარინა გოგიჩაიშვილთან.

კომპანია სოფთლან საქართველოს ბიზნეს განვითარების მენეჯერთან, Check Point-ის სერტიფიცირებულ უსაფრთხოების ექსპერტთან - ბატონ გიორგი ღონდაძესთან.

კომპანია „ლომსა“-ს (lomsa.com) CTO - ტექნიკურ დირექტორთან - ბატონ გიორგი კურტანიძესთან.

კონცეფციის შემუშავებისას დასმულ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენდა ახალი ტიპის საინჟინერო შესაძლებლობა ელექტრონული ხელმოწერის ექსპერტიზის შესაძლებლობა. ტექნიკურ მონაცემებში შესატანი მარკერების ერთობლიობის შერჩევა განხორციელდა ქალბატონ მარინა გოგიჩაიშვილთან კონსულტაციების და დეტალური განხილვის შემდგომ. შერჩეული მარკერები სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ ელექტრონული ხელმოწერის ექსპერტიზისას ექსპერტული დასკვნის შედგენა იყოს შესაძლებელი, ხოლო ელექტრონული ხელმოწერის

ავთენტურობის საკითხი განისაზღვროს კატეგორიულად.

ახალი ტიპის საინჟინერო პადის, ელექტრონული ხელმოწერის შიფრაციისა და შენახვის, სქემის დაცულობისა და უსაფრთხოების საკითხები განხილული და შეჯერებულია ბატონ გიორგი ღონდაძესთან კონსულტაციებისას.

უშუალოდ მოწყობილობის შექმნის საკითხი დეტალურადაა განხილული ბატონ გიორგი კურტანიძესთან. დადასტურებულია, რომ მოწყობილობის ინჟინრულად დაგეგმვა და შექმნა სრულებით შესაძლებელია შერჩეული მარკერების ერთდროულად გამოყენებით.

შესაბამისი სფეროს პროფესიონალების მხრიდან მიღებული ექსპერტული შეფასებები ადასტურებს, რომ ახალი ტიპის მოწყობილობის შექმნა შესაძლებელია და რომ ის ავთენტური, უსაფრთხო და დანერგვისათვის გამოსადეგია.

ნაშრომის ფარგლებში შემუშავებული ინოვაციური კონცეფციის ერთგვარ თეორიულ ექსპერტიზას წარმოადგენს განხორციელებული კონსულტაციები და ინტერვიუები, რომლებიც გავლილია ყველა იმ სფეროს წარმომადგენელთან, რომელთა მონაწილეობა და ჩართულობა სამომავლოდ საჭირო იქნება ახალი ტიპის მოწყობილობისა და მისი პლატფორმის შესაქმნელად. მათგან მიღებული შეფასებები კი ჩვენი კონცეფციის წარმატების ერთგვარი წინაპირობაა.

შემუშავებული ინოვაციური კონცეფციის პრაქტიკაში დანერგვა დიდ გავლენას მოახდენს ელექტრონული მმართველობის, მთლიანობაში კი საჯარო მმართველობის შემდგომ განვითარებაზე.

რეკომენდაციები:

1. სასურველია სახელმწიფომ ხელი შეუწყოს ჩვენი ინოვაციური კონცეფციისა და მიგნების პრაქტიკაში დანერგვას, ვინაიდან ეს განაპირობებს როგორც ბიზნესის, ისე სახელმწიფო მართვისათვის პროცედურების გამარტივებას, პროცესების დაჩქარებას, მეტ მოქნილობას, ეფექტიანობას, კომფორტულობას, ეკონომიურობას, თანაბარ ხელმისაწვდომობასა და სხვა. სახელმწიფოს მიეცემა შესაძლებლობა ყველა დარგის მართვის პროცესი გახადოს

გამჭვირვალე, მოქნილი, ეფექტური და ეკონომიური.

2. სასურველია, პრაქტიკაში დაინერგოს ინოვაციური ინიციატივა - „დაშიფრული ელექტრონული ხელმოწერების საცავი“;
3. განხორციელდეს არსებული ინოვაციური გადაწყვეტილების პრაქტიკაში დანერგვისათვის აუცილებელი საკანონმდებლო ბაზის შექმნა.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა

1. Gabriel, Henry. "The New United States Uniform Electronic Transactions Act: Substantive Provisions, Drafting History and Comparison to the UNCITRAL Model Law on Electronic Commerce", Uniform Law Review, Volume 5, Issue 4, December 2000, Pages 651–664
2. "UNCITRAL : Model Law on Electronic Signatures with Guide to Enactment 2001", United Nations, NY, 2002. Pages 1-83. <https://uncitral.un.org/sites/uncitral.un.org/files/media-documents/uncitral/en/ml-elecsig-e.pdf> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.11.2020)
3. "FIPS PUB 186-4: Digital Signature Standard (DSS)", FEDERAL INFORMATION PROCESSING STANDARDS PUBLICATION, U.S. Department of Commerce Cameron F. Kerry, Acting Secretary National Institute of Standards and Technology Patrick D. Gallagher, Under Secretary of Commerce for Standards and Technology and Director, 2013, Pages 1-130. <https://nvlpubs.nist.gov/nistpubs/FIPS/NIST.FIPS.186-4.pdf> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.11.2020)
4. REGULATION (EU) No 910/2014 of 23 July 2014 on electronic identification and trust services for electronic transactions in the internal market and repealing Directive 1999/93/EC", Official Journal of the European Union, 2014. Pages 1-42. <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32014R0910&from=EN> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.11.2020)
5. UNIFORM ELECTRONIC TRANSACTIONS ACT – UETA , NATIONAL CONFERENCE OF COMMISSIONERS ON UNIFORM STATE LAWS, U.S.A., 1999, pages. 1-65 <http://euro.ecom.cmu.edu/program/law/08-732/Transactions/ueta.pdf> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.11.2020)
6. Electronic Signatures in Global and National Commerce Act (ESIGN), PUBLIC LAW, U.S.A., 2000; 106-229. 2000. pages. 1-14. <https://www.govinfo.gov/content/pkg/PLAW-106publ229/pdf/PLAW-106publ229.pdf> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.11.2020)
7. Personal Information Protection and Electronic Documents Act, Canada, 2000 , pages -1-66, <https://laws-lois.justice.gc.ca/PDF/P-8.6.pdf>
8. Electronic Communications Act, Printed in the UK by The Stationery Office Limited, 2000, pages 1-17. http://www.legislation.gov.uk/ukpga/2000/7/pdfs/ukpga_20000007_en.pdf (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.11.2020)
9. Brexit briefing: what is the impact on electronic signature laws in the UK?. CMS|Adobe. pages 1-14. 2021.

10. Directive 1999/93/EC of the European Parliament and of the Council of 13 December 1999 on a Community framework for electronic signatures, Official Journal of the European Communities. E. 2000. pages1-9. <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A31999L0093>
(უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.11.2020)
11. eIDAS Regulation (Regulation (EU) N°910/2) , Official Journal of the European Union, 2014, pages 1-42.
12. ГОСУДАРСТВЕННЫЙ СТАНДАРТ РОССИЙСКОЙ ФЕДЕРАЦИИ, ГОСТ Р 34.10-94.,москва, 1995, стр.1-23. <http://kaf403.rloc.ru/POVS/Crypto/GOST3410.pdf> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.11.2020)
13. „Об электронной цифровой подписи“ , РФ от 10 января 2002 г. № 1-ФЗ, москва, стр. 1-24, <http://base.garant.ru/184059/> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.11.2020)
14. Федеральный закон "О внесении изменений в часть первую и часть вторую Налогового кодекса Российской Федерации и некоторые другие законодательные акты Российской Федерации, а также о признании утратившими силу отдельных законодательных актов (положений законодательных актов) Российской Федерации в связи с урегулированием задолженности по уплате налогов, сборов, пеней и штрафов и некоторых иных вопросов налогового администрирования" от 27.07.2010 N 229-ФЗ (последняя редакция),москва, 1-25 стр. http://www.consultant.ru/document/cons_doc_LAW_103118/)
15. Федеральный закон "Об электронной подписи" , москва, 2011, стр. 1-38 http://www.consultant.ru/document/cons_doc_LAW_112701/ (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.11.2020)
16. Об утверждении плана мероприятий по переходу федеральных органов исполнительной власти на безбумажный документооборот при организации внутренней деятельности» № 176-р 2011, москва,1-6 стр. <https://digital.gov.ru/ru/documents/3003/> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.11.2020)
17. Приказ ФСБ РФ от 27.12.2011 N 796 "Об утверждении Требований к средствам электронной подписи и Требований к средствам удостоверяющего центра" (Зарегистрировано в Минюсте РФ 09.02.2012 N 23191), москва,2011, стр. 1-16 , <https://uc.kadastr.ru/doc/796-.pdf>
(უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.11.2020)
18. „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტაციის შესახებ“ საქართველოს კანონი.2008. 1-7გვ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე;
19. „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონი, 1-14 გვ. 2017.

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე;

20. „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის დებულებათა აღსრულების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის N 2503 განკარგულება, ქუთაისი, 2017, 1-6 გვ.
21. საქართველო გაეროს ელექტრონული მმართველობის ინდექსში - 2018 წლის შედეგების მიმოხილვა“. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი . 2018. https://idfi.ge/ge/georgia_in_und_e_governance_index_2018 (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.11.2020)
22. „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს პარლამენტის დადგენილება, გვ. 1-6. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე;
23. საქართველოს კანონი „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ“ ქუთაისი, 2015, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე;
24. Dr. Abdulhadi M. Alghamdi, The Law of E-Commerce: E-Contracts, E-Business, author house, 2011, page 41
25. Minnesota Legislature, Office of the Revisor of Statutes, 2009 Minnesota Statutes. Chapter 325L: Uniform Electronic Transactions Act. 2009
26. Security Tip (ST04-018) Understanding Digital Signatures. CISA. 2009. <https://us-cert.cisa.gov/ncas/tips/ST04-018> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.11.2020)
27. Signify. <https://signify.ge/about/#about> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.11.2020)
28. Manikpuri, M.M. (2017). Biometric Security Systems for Beginner. Educreation Publishing. pp. 20–26.
29. Matsumoto (2002). "Impact of artificial gummy fingers on fingerprint systems". Proceedings of SPIE. pp. 275–289.
30. "Bkav's new mask beats Face ID in "twin way": Severity level raised, do not use Face ID in business transactions". News In Focus. Bkav Corporation. 2017.
31. Heather Walker, Luis Balbas, Guillaume Forget, and Dawn M. Turner Selected articles on Authentication (2014-16)
32. Ashiq JA, Guillaume Forget, Peter Landrock, Torben Pedersen, Dawn M. Turner and Tricia Wittig , Selected articles on Electronic Signing and Digital Signatures (2014-16)
33. Gray, Elisha (1888-07-31), [rwservices.no-ip.info:81/pens/biblio70.html#Gray1888b Telautograph], United States

Patent 386,815

34. Dimond, Tom (1957-12-01), [rwservices.no-ip.info:81/pens/biblio70.html#Dimond57 Devices for reading handwritten characters], Proceedings of Eastern Joint Computer Conference, c. 232–237.
35. An Historical Timeline of Computer Graphics and Animation - https://web.archive.org/web/20070629061126/http://sophia.javeriana.edu.co/~ochavarr/computer_graphics_history/historia/ (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.11.2020)
36. Whetstone, A. Spark Pen. Science Accessories Corporation: United States Patent 3,626,483 (7 декабря 1971).
37. Отецвсехтачскринов: планшетRAND - <https://old.computerra.ru/vision/674529/> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.11.2020)
38. Wacom for creative world - <https://www.wacom.com/en-es/about-wacom> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.11.2020)
39. Step Over, naturaSign Pad Economy. <https://www.stepover.com/us/> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.11.2020)
40. Step Over, duraSign Pad US 10.0. <https://www.stepover.com/us/> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.11.2020)
41. Signotec, Sigma LITE. <https://www.signotec.com/> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.11.2020)
42. Signotec, Delta. <https://www.signotec.com/> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.11.2020)
43. Wacom, STU-540. <https://www.wacom.com/en-es> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.11.2020)
44. Wacom, STU-430. <https://www.wacom.com/en-es> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.11.2020)
45. Topaz, TM-LBK460. <https://www.topazsystems.com/index.html> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.11.2020)
46. Topaz, SigGem Color 5.7 T-LBK57GC
<https://www.topazsystems.com/index.html> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.11.2020)
47. „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 სექტემბრის №746 ბრძანება გვ.1-7. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე;
48. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს

დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N255 დადგენილება გვ. 1-13. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე;

49. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო“-ს 2018 წლის წესდება 1-12 გვ
50. საჯარო სამსახურის ბიუროს ოფიციალური ვებგვერდი <http://www.csb.gov.ge/> ნანახია: 28.09.2021 წ.
51. StepOver international. Signature pads.
<https://www.stepover.com/us/signature-pads/naturasign-pad-mobile-2/>(უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 08.06.2021)
52. Signotec Webstore. Signature pads.
<https://www.signotec-shop.com/webstore/en/>. (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 08.06.2021)
53. „ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის პროექტი (პროექტის აღწერა)“ საქართველოს ეროვნული ბანკი, N2-06/3948-13; 4.12.2013წ. გვ. 1-47
54. საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“ 1997 წ. 196 გვ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე
55. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 23 თებერვლის N 18/04 ბრძანება „ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს დამტკიცების თაობაზე“,დანართი 1, გვ. 1-38
56. საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 22 მარტის N234 ბრძანებულება „შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ საფოსტო ან საკურიერო მომსახურების განხორციელებისას ელექტრონული საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“, გვ. 1
57. 2016 WL 3958982, No. 16-22134-D-7 (E.D. Cal. July 15, 2016). https://www.govinfo.gov/content/pkg/USCOURTS-caeb-2_16-bk-22134/pdf/USCOURTS-caeb-2_16-bk-22134-0.pdf (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 04.05.2021)
58. IO Moonwalkers, Inc. v. Banc of America Merchant Services; <https://caselaw.findlaw.com/nc-court-of-appeals/1893052.html> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 04.05.2021)
59. Golden Ocean Group Ltd v Salgaocar Mining Industries Pvt Ltd and Anr, [2012] EWCA Civ 265. <https://www.casemine.com/judgement/uk/5a8ff7b560d03e7f57eb1672> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 25.05.2021)

60. J.B.B. Inv. Partners, Ltd. v. Fair , 2014 .FindLaw. <https://lp.findlaw.com/> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20.02.2021)
61. Ruiz v. Moss Bros. Auto Grp. , 2014, FindLaw. <https://lp.findlaw.com/> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20.02.2021)
62. Espejo v. Southern California Permanente Medical Group, 2016. FindLaw. <https://lp.findlaw.com/> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20.02.2021)
63. საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“, 23.02.1996 წ., საქართველოს საკანონმდებლო მაცნე;
64. საქართველოს კანონი „სახელმწიფო სერვისების სააგენტოს შესახებ“, 03.10.2013 წ., საქართველოს საკანონმდებლო მაცნე;
65. საქართველოს კანონი „უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“, 30.06.2006 წ., საქართველოს საკანონმდებლო მაცნე;
66. საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“, 12.12.1997 წ., საქართველოს საკანონმდებლო მაცნე;
67. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“, 01.12.2009 წ., საქართველოს საკანონმდებლო მაცნე;
68. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N255 დადგენილება „სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე;
69. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 მაისის N171 დადგენილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების ტარიფების დამტკიცების შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე;
70. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 13 ივლისის N117 ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე;
71. საქართველოს პარლამენტის N5589 დადგენილება „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ 23.12.2011, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე;
72. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 სექტემბრის №746 ბრძანება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე;
73. 2013 წლის 10 ოქტომბრის სამმხრივი მემორანდუმი „საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების პროცესში

თანამშრომლობის შესახებ“, საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური ვებგვერდი;

74. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისის პორტალის“ დაფუძნების შესახებ ქალაქ თბილისის მთავრობის 2013 წლის 10 დეკემბრის N30.86.1586 დადგენილებაში ცვლილების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 14 თებერვლის N06.30.185 დადგენილების შესაბამისად დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო“-ს 2018 წლის წესდება;
75. „საქართველო-გაეროს ელექტრონული მმართველობის ინდექსში - 2018 წლის შედეგების მიმოხილვა“, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი;
76. საქართველოს ეროვნული ბანკის 2013 წლის დეკემბრის „ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის პროექტი“, საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური ვებგვერდი;
77. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 24 ნოემბრის N145/01 ბრძანება „საგადასახადო სისტემაში ელექტრონული საქმიანობის განხორციელების, საგადასახადო და ფასიანი ქაღალდების სისტემაში (GPSS) ელექტრონული დოკუმენტისა და ციფრული ხელმოწერის შესახებ დებულებების დამტკიცების თაობაზე“, საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური ვებგვერდი;
78. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2013 წლის 04 დეკემბრის N122/04 ბრძანება „კომერციული ბანკის მიერ შექმნილი ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების უსაფრთხოების პოლიტიკის საქართველოს ეროვნულ ბანკში წარდგენისა და შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური ვებგვერდი;
79. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2014 წლის 30 სექტემბრის N94/04 ბრძანება - „ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს დამტკიცების თაობაზე“, საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური ვებგვერდი;
80. აღაპიშვილი ი., გუნაშვილი დ., გურემიძე თ., დვალიშვილი მ., ინაური ლ., მაგრაქველიძე გ., მიქაძე ი., პეტრიაშვილი მ., ფურცხვანიძე ნ., ღვალაძე ნ., ჩაჩანიძე ე., ჭკუასელი გ., ჯანიბეგაშვილი ნ., მართვა და ლიდერობა საჯარო სამსახურში, თბ.: გამოც. საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ.2020.108 გვ.
81. გაბისონია ზ., გაბრიელაშვილი გ., გაგნიძე ნ., პაიჭაძე გ., სამადაშვილი ლ., ელექტრონული მმართველობა და ლიდერობა, თბ.: გამოც. საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ. 2021.138 გვ.
82. გაბისონია ზ., გაგნიძე ნ., სამადაშვილი ლ., მართვა და ლიდერობა

- ელექტრონულ სამყაროში, თბ.: გამოც. საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ. 2021.98 გვ.
83. დარჯანია თ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I(მუხ. 1-146) , გამოცემის ელექტრონული ვერსია lawlibrary.info/ge,თბ. 2017.მუხლი 69, 833 გვ.
 84. დისტანციური მუშაობის სახელმძღვანელო - Guidelines on Remote Work. საჯარო სამსახურის ბიურო, 2021. 98 გვ.
 85. დოლონაძე ს., დოლონაძე შ., იაშვილი გ., საჯარო მმართველობის საფუძვლები. სახელმძღვანელო, თბ.: გამომც. „ტექნიკური უნივერსიტეტი“. 2018.
 86. დოლონაძე შ., იაშვილი გ., საჯარო სამსახური საქართველოში: რეფორმები, გამოწვევები. ელექტრონული მთავრობა. თბ.: გამომც. „ცის ნამი“. 2013.
 87. ზამბახიძე თ., ელექტრონული ვაჭრობის სამართლებრივი რეგლამენტაციის საფუძვლები (პრობლემები და პერსპექტივა), ქართული სამართლის მიმოხილვა, თბ. 2005.გვ.
 88. თუმანიშვილი გ., გარიგებები (სამართლებრივი ბუნება და ნორმატიული რეგულირება), თბ. 2012 145 გვ.
 89. ლებანიძე მ., ბერიშვილი თ., ბონე ე., დეპე ი., სვანიშვილი ს., ტურავა პ., ფუკნერი გ., ქარდავა ე., ყალიჩავა კ., ხიშტოვანი გ., ხუბუა გ., ადმინისტრაციული მეცნიერების სახელმძღვანელო, ტომი IV, გამომც.: „პეტიტი“, თბ. 2018 გვ. 484 (თავი XV, ელექტრონული მმართველობა, გვერდები 374-422)
 90. ციხილოვი ა., ბლოკჩეინი პრინციპები და საფუძვლები, თბ.: გამოცემ. საქართველოს აკადემიური გამომცემლობა. 2021.254 გვ.
 91. Canada Evidence Act (R.S.C., 1985, c. C-5);
 92. European Electronic Signature Standardization Initiative (EESSI) Final Report of the EESSI Expert Team 20th July 1999;
 93. Part 1: PAdES Overview - a framework document for PadES;
 94. Part 2: PAdES Basic - Profile based on ISO 32000-1;
 95. Part 4: PAdES Long Term - PAdES-LTV Profile;
 96. REGULATION (EU) No 910/2014 of 23 July 2014 on electronic identification and trust services for electronic transactions in the internal market and repealing Directive 1999/93/EC". THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL.
 97. Uniform Electronic Transactions Act (UETA), Drafted by the NATIONAL CONFERENCE OF COMMISSIONERS ON UNIFORM STATE LAWS , U.S.A., 1999;

98. Agadi, R., Patil, J. N. (2020).“Driving More Users towards E-Government Services” A Study on Improving Positioning and Usage of E-Government Services. *Studies in Indian Place Names*, 40(60);
99. Barbosa, A. F., Pozzebon, M., &Diniz, E. H. (2013).Rethinking e- government performance assessment from a citizen perspective. *Public Administration*, 91(3), 744-762;
100. Bisen, S.S., Deshpande, Y. (2018). The Impact of the Internet in twenty-first century addictions: An overview. In *Psychological, Social, and Cultural Aspects of Internet Addiction* (pp. 1-19).IGI Global;
101. Blankers V.L., Van den Heuvel C.E., FrankeK.Y., Vuurpijl L.G., The ICDAR 2009 Signature Verification Competition, *Proceedings of the 10th International Conference on Document Analysis and Recognition (ICDAR2009)*, pp. 1403-1407
102. Bolam P./Choi R. Electronic signatures: when are they effective? *Internet Law Bulletin LexisNexis* October 2012 Vol 15 .No 7.p, 118
103. Brynjolfsson E., (1993). The productivity paradox of information technology. *Communications of the ACM*, 36(12), 66-77.
104. Carter L., Belanger, F. (2004, January), Citizen adoption of electronic government initiatives.In *37th Annual Hawaii International Conference on System Sciences, 2004.Proceedings of the* (pp. 10-pp).IEEE;
105. Caves, R. W. *Encyclopedia of the City*. First published 2005 by Routledge 2 Park Square, Milton Park, Abingdon, Oxon, OX14 4RN Simultaneously published in the USA and Canada by Routledge 270 Madison Avenue, New York, NY 10016, USA , 2004, 903 pages;
106. Cederberg A., Eronen P. (2015). How can societies be defended against hybrid threats. *Strategic Security Analysis*, 9(1), 1-10;
107. Chadwick, A. (2003). Bringing e-democracy back in: Why it matters for future research on egovernance. *Social science computer review*, 21(4), 443-455;
108. Chen, Y. C. (2010). Citizen-centric e-government services: Understanding integrated citizen service information systems. *Social Science Computer Review*, 28(4), 427-442;
109. Diffie W., Hellman M. E., *New Directions in Cryptography*, *IEEE Transactions on information theory*, Vol. 22, Iss. 6 novmber 1976, PP. 644-654
110. Dunleavy, P., & Hood, C. (1994).From old public administration to new public management.*Public money & management*, 14(3), 9-16;
111. *Electronic Records Management Guidelines, Electronic and Digital Signatures*, Minnesota State Archives, Minnesota Historical Society

March 2012, Version 5, PP 1-10

112. Erdosi P., Egersezegi K., Problems in the implementation of the electronic signature, Department of Information and Knowledge Management Budapest University of Technology and Economics, H-1521 Budapest, Hungary. 2003. PP. 67- 82
113. Forum of European Supervisory Authorities for Electronic Signature, Working Paper on Advanced Electronic Signature, 2004;
114. Goldwasser Sh., Micali S., Rivest R., A digital signature scheme secure against adaptive chosen-message attacks, SIAM Journal on Computing, 17(2), PP 281—308, Apr. 1988;
115. Gordon T.F., Center E.C., (2004, January). eGovernance and its Value for Public Administration. In KDNNet Symposium on Knowledge-Based Services for the Public Sector: Bonn, June (pp. 3-4);
116. Government Paperwork Elimination Act (GPEA), PUBLIC LAW, U.S.A., 1998;
117. Grönlund Å., Horan T.A., (2005). Introducing e-gov: history, definitions, and issues. Communications of the association for information systems, 15(1), 39;
118. Hafemann L.G, Sabourin R, Oliveira L.S., Offline Handwritten Signature Verification - Literature Review, Seventh International Conference on Image Processing Theory, Tools and Applications (IPTA); 2017; Montreal, QC, Canada, p. 1–8.
119. Harralson H.H., Forensic document examination of electronically captured signatures, Pario Communications Limited, 2012 PP 67- 73
120. Henry G., "The New United States Uniform Electronic Transactions Act: Substantive Provisions, Drafting History and Comparison to the UNCITRAL Model Law on Electronic Commerce" (PDF). International Institute for the Unification of Private Law (UNIDROIT). Retrieved 30 April 2011; 14 pg. https://idfi.ge/ge/georgia_in_und_e_governance_index_2018;
121. Information Technology Laboratory National Institute of Standards and Technology. "FEDERAL INFORMATION PROCESSING STANDARDS PUBLICATION (FIPS PUB 186 -4): Digital Signature Standard (DSS)" (PDF). Retrieved 12 May 2016;
122. Jaeger P.T., Bertot J. C. (2010). Transparency and technological change: Ensuring equal and sustained public access to government information. Government Information Quarterly, 27(4), 371-376;
123. KOOPS B.J., THE CRYPTO CONTROVERSY: A KEY CONFLICT IN THE INFORMATION SOCIETY, Kluwer Law International, 1999, Pages 33-58;
124. Kuzkov s., Electronic vs. digital signatures: everything you need to know, 2020.
125. Linden, J., Marquis, R., Mazzella, W. Forensic Analysis of Digital Dynamic

Signatures: New Methods for Data Treatment and Feature Evaluation (2017)
Journal of Forensic Sciences, 62 (2), pp. 382-391.

126. Linden J., Marquis R., Mazzella W., Features of Digitally Captured Signatures vs. Pen and Paper Signatures: Similar or Completely Different?, Forensic Analysis of Digital Dynamic Signatures: New Methods for Treatment and Feature Evaluation, Journal of Forensic Sciences, 62 (2) PP 382-391
127. Mao W., Modern Cryptography: Theory & Practice, Prentice Hall Professional Technical Reference, New Jersey, 2004, pg. 308. ISBN 0-13-066943-1
128. Mason St. (March 19, 2012). Electronic Signatures in Law (Law Practitioner Series) Cambridge University Press; 3rd edition 408 pages;
